-133
1959
ეროვნული
ბიბლიოთეკა

F. 2347

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3 1959 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

46. მოზარდებისა და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩაბმის შესახებ.

47. ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის შემდგომი განვითარების, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების ზომების შესახებ.

48. მანქანათმშენებლობის და ლითონდასამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა მუშაკების შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადაყვანის, მათი ხელფასის გადიდებისა და მოწესრიგების შესახებ.

49. საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში თვითმომსახურების გაფართოების შესახებ.

50. ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოების მუშაკთა შვიდ და ექვსსაათიან სამუშაო დღეზე გადაყვანის და მათი ხელფასის მოწესრიგების შესახებ.

51. გარდამავალი წითელი დროშების მიკუთვნების იმ პირობებში ცვლილებათა შეტანის შესახებ, რომლებიც დაწესებულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგებისათვის.

№ 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

52. სამკერდე ნიშნების დაწესებისა და დამზადების წესის შესახებ.
53. საქართველოს სსრ სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდის ექსპლუატაციის და მისი მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების ზომების შესახებ.
54. საქართველოს სს რესპუბლიკაში პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის გარდაქმნის ღონისძიებათა შესახებ.
55. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 7 დეკემბრის № 851 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
56. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლებში მოსწავლეთა გახანგრძლივებული ჯგუფების პედაგოგ-აღმზრდელთა ხელფასის, შეღავათების და უპირატესობათა შესახებ.
57. იმ პრემიების ოდენობის შეცვლის შესახებ, რომლებიც საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკებს ეძლევათ საავტომობილო სალტეების ეკონომიისათვის.
58. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.
59. თვითმოქმედი სახალხო თეატრების ორგანიზაციის შესახებ.
60. ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოების მიერ დამზადებული სახალხო მოხმარების საქონლის საცალო ფასების დონის შესახებ.
61. ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების შესასყიდი ფასების შესახებ.
62. ავტომობილების, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების, აგრეთვე ავტოსატრაქტორო ელექტრომოწყობილობისა და ამ მანქანების რემონტისათვის საჭირო ნაკეთობათა ვაჭრობის ერთიანი სისტემის დაწესების შესახებ.
63. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.
64. მაგისტრალური მილსადენებისათვის მიწების გამოყოფის ნორმების შესახებ.
65. წიგნების გავრცელების გაუმჯობესების ზომების შესახებ.
66. ქარსაცავი და მინდორსაცავი სატყეო ზოლების შექმნის, მათი მოვლისა და შენარჩუნების საქმეში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის რაიონისათვის მინიჭების პირობების დამტკიცების შესახებ.
67. კოლმეურნეობათა იმ ყოფილი წევრების — ღრმა მოხუცებისა და ინვალიდების მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ, რომელთა მიწები საბჭოთა მეურნეობებს და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს გადაეცა.
68. სავაჭრო ორგანიზაციებისათვის კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, საზამთროს და ნესვის შემოზიდვის, შენახვისა და საბითუმო რეალიზაციის ზედნადები ხარჯების ნორმების დაწესების შესახებ.
69. მტს-ების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობებში სამუშაოდ გადასული სოფლის მეურნეობის სპეციალისტების შრომის ანაზღაურების შესახებ .

ეროვნული ბიბლიოთეკა

70. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს (საქართველოს სსრ მთავგაზის) დებულების დამტკიცების შესახებ.
71. ეკონომიური ბინებიანი საცხოვრებელი სახლების ტიპობრივი პროექტების დამტკიცების შესახებ.
72. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურების ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის ტიპობრივი შტატების შესახებ.
73. მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის, პროპაგანდისა და საგამომცემლო საქმიანობის გაუმჯობესების ზომების შესახებ.
74. საქართველოს სს რესპუბლიკაში სკოლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.
75. წყნეთში მოსახლეობისათვის მისაყიდი აგარაკების ფასების დამტკიცების შესახებ.
76. საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სარემონტო სახელოსნოების მუშათა შრომის ანაზღაურების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

46 მოზარდებისა და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩაბმის შესახებ

აღინიშნოს, რომ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩაბმის 1958 წლისათვის დაწესებული გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. გეგმით გათვალისწინებული 13.800 კაცის ნაცვლად, 1958 წლის მანძილზე ჩაბმულია წარმოებაში 14.734 კაცი. მაგრამ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით გეგმა არადამაკმაყოფილებლად შესრულდა. გეგმით გათვალისწინებული 5.000 კაცის ნაცვლად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში ჩაბმულია მხოლოდ 1.307 კაცი. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ახალგაზრდობის მიზიდვის გეგმის არადამაკმაყოფილებელი შესრულება იმის შედეგია, რომ საქართველოს კპ ბევრი რაიკომი და რაიაღმასკომი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდა ამ საქმეს, არ ეწეოდა სათანადო მუშაობას ახალგაზრდობაში, ხოლო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ იღებდა ქმედითს ზომებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ახალგაზრდობის მიზიდვის გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ ზოგიერთი საწარმო და ორგანიზაცია (მთავართბილმშენი, საქჰიდროენერგომშენი და სხვები) საჭირო პირობებს არ ქმნიან იმისათვის, რომ დაამაგრონ წარმოებაში ახალგაზრდები, რის შედეგადაც ადგილი აქვს სამუშაოზე მიღებული ახალგაზრდობის მნიშვნელოვან განთესვას.

ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მიზიდვის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ადგენენ:

1. დამტკიცდეს საშუალო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის და მოზარდების 1959 წელს რესპუბლიკის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩაბმის გეგმა 12.900 კაცის რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდენობით, რაც განაწილდეს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და საწარმოებისა და მშენებლობების მიხედვით, დანართის თანახმად.

2. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს მიიღონ საჭირო ზომები, რათა მიზიდულ იქნან სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში საშუალო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობა და მოზარდები, რომლებსაც საშუალო განათლება არ მიუღიათ; ჩააბან ისინი პროფესიულ სწავლაში; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გოგონების შრომითს მოწყობას; გადაჭრით აღკვეთონ საწარმოთა ცალკეული ხელმძღვანელების არასწორი მოქმედება, რომლებიც სამუშაოდ არ იღებენ საშუალო სკოლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდობასა და მოზარდებს.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელებს, საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომთან, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან ერთად, ათი დღის ვადაში გაანაწილონ და საწარმოებს, მშენებლობებს, სარემონტო-ტექნიკურ სადგურებს, საბჭოთა მეურნეობებსა და რესპუბლიკის სხვა ორგანიზაციებს აცნობონ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ახალგაზრდობის მიზიდვის გეგმა და სისტემატური კონტროლი გაუწიონ მის შესრულებას.

4. დაევალოთ რესპუბლიკის საწარმოების, მშენებლობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მიიღონ სამუშაოდ და ასწავლონ ახალგაზრდობასა და მოზარდებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების განაწილებით; იქონიონ მხედველობაში, რომ საშუალო სკოლების კურსდამთავრებულმა ახალგაზრდობამ, როგორც წესი, უნდა მიიღოს სპეციალობა და პროფესია, რომლებიც მოითხოვენ გადიდებულ ზოგადსაგანმანათლებლო დონეს.

5. სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა ყურადღება მიექცეს იმას, რომ შეუწყნარებელია შრომაზე მოწყობილი ახალგაზრდობის წასვლა საწარმოებიდან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენებლობებიდან. ამასთან დაევალოთ მათ მიიღონ ... ზომები იმისათვის, რომ მოეწყოს ახალგაზრდა მუშების კარგი პროფესიული მომზადება, შეიქმნას მათთვის საჭირო საბინაო-საყოფაცხოვრებო და სხვა პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალგაზრდობის დამაგრებას წარმოებაში.

6. დაევალოს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს გააძლიეროს აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობა შრომაზე მოწყობილ ახალგაზრდობაში, დახმარება გაუწიოს საწარმოების და მშენებლობათა ხელმძღვანელებს იმ მხრივ, რომ დამაგრებულ იქნან ახალგაზრდა მუშები წარმოებაში.

7. დაევალოთ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროების, უწყებების, ამ დადგენილების დანართში ჩამოთვლილი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მოახსენონ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 1 აგვისტოსათვის ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა, ხოლო 1960 წლის 5 იანვრისათვის — ამ დადგენილების შესრულების შედეგები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე.	**ბ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 5 მაისი, № 360

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ფრ.
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წ.
5 მაისის № 360 დადგენილებით დამტკიცებული

გ ე გ მ ა

საქართველოს სს რესპუბლიკაში საშუალო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის და მოზარდების ჩაბმისა წარმოებასა და სწავლებაში

(კაცი)

სამინისტროები, უწყებები და საწარმოები	მიღება სამუშაოდ და საწარმოო სწავლებისათვის
სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში	12900
მათ შორის:	
საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო	5000
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველო	120
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურეულის პროდუქტების მთავარი სამმართველო	30
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველო	20
საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრო	195
საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრო ქ. თბილისის გამოკლებით	150
ქ. თბილისის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველო	200
საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო	150
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო	3525
საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო	500
საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო	500
საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	270
ცეკავშირი	500
მთავართბილმშენი	250
სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს ტრესტი საქელექტროქსელმშენი	30
სახელმწიფო საკავშირო ტრესტი „სოიუზმონტაჟსტროი"	25
ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო	500
საკავშირო ტრესტ „მოსტორემონტტონელის" № 1 სპეციალური საგვირაბო კანტორა	50

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროები, უწყებები და საწარმოები	მიღება სამშაოდ და საწარმოო სწავლებისათვის
ტრესტ „სტალკონსტრუქციის“ რუსთავის სამმართველო . . .	25
სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს თბილმეტრომშენის სამმართველო	100
ტრესტ „კაველექტრომონტაჟის“ თბილისის სამონტაჟო სამმართველო	20
სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს „ზაკტრანსსტროი“	185
სსრ კავშირის ელექტროსადგურების სამინისტროს ტრესტ საქჰიდროენერგომშენი	300
ტრესტ „სოიუზტეპლოსტროის“ თბილისის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო	15
სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს რადიოფიკაციის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო	40
ა/კ რკინიგზის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა .	100
სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს თბილისის ელექტროტექნიკური ქარხანა	20
სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს „მოტორესტის“ მშენებლობა № 61	30
სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს წარმოებითი საწარმოების ქუთაისის კომბინატი . . .	10
სპორტინვენტარის თბილისის ფაბრიკა „დინამო“ . . .	40

47 ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის შემდგომი განვითარების, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების ზომების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ფართო ღონისძიებათა მეოხებით, მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებები სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სწორად აღზრდის საქმეში. რესპუბლიკის საბავშვო ბაგებსა და ბაღებში ამჟამად 49 ათასი ბავშვი იზრდება.

მაგრამ ამ საქმეში ადგილი აქვს არსებითს ნაკლოვანებებს. რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ არის საკმარისი ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებანი, ხოლო ახალი ობიექტების მშენებლობა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. მიმდინარე წლის 5 თვის მონაცემების მიხედვით ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობის გეგმის შესრულება 1959 წელს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში შეადგენს 17 პროცენტს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში კი—მხოლოდ 4 პროცენტს.

სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან აღმზრდელობითი მუშაობის დაყენებაში არა ჩანს ერთიანი თანმიმდევრული სისტემა ბავშვთა აღზრდისა ბაგებსა და საბავშვო ბაღებში. საზოგადოებრიობა ჯერ კიდევ სუსტად არის ჩაბმული ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობაში.

„ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის შემდგომი განვითარების, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 21 მაისის № 558 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად, მიმდინარე წლის 1 აგვისტოსათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის განვითარების 1959—1965

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლების გეგმა, რესპუბლიკისათვის დამტკიცებული გეგმა ლებში, დანართის თანახმად.

2. დაევალოთ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს მიიღონ ყოველგვარი საჭირო ზომები ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებისა, გაიაფებისა და მათი საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმის უცილობლივ შესრულებისათვის. საცხოვრებელი შენობებისა და კვარტალების დაპროექტების და მშენებლობის დროს უზრუნველყონ ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობის სსრ კავშირის სახმშენის მიერ დამტკიცებული ნორმებისა და საანგარიშო მაჩვენებლების მტკიცე დაცვა.

3. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდის ისეთი ერთიანი სისტემის განხორციელების ინტერესებისათვის, რაც სკოლაში შემდგომი აღზრდის ამოცანებს შეესაბამება:

ა) დაევალოთ საქართველოს სსრ განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს, სახალხო მეურნეობის სამინისტროებს, სახალხო მეურნეობის საბჭოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს და საქსარეწდამზღვევ სალაროს საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად, 1959 წლის 1 აგვისტომდე შეისწავლონ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ კონკრეტული წინადადებანი იმის შესახებ, რომ ორი ტიპის ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულება—ბაგა და საბავშვო ბაღი გაერთიანდეს ერთიან სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებად;

ბ) გაერთიანებული დაწესებულებებისადმი ხელმძღვანელობა, გარდა უწყებრივებისა, თავმოყრილ იქნას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაეკისროს პასუხისმგებლობა ბავშვთა სამკურნალო პროფილაქტიური მომსახურების მოწყობისათვის, საბავშვო დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვისა და სამედიცინო კადრებით მათი დაკომპლექტებისათვის.

4. ამიერიდან საბავშვო დაწესებულებათა მთელი ახალი მშენებლობა ჩატარდეს, როგორც წესი, გაერთიანებული სკოლამდელი და-

წესებულებების (ბაგა-ბაღი) ტიპობრივი პროექტების [illegible] ანგარიშით, რომ ეს დაწესებულებანი დაუახლოვდნენ [illegible] ცხოვრებელ ადგილს, რაც შეამცირებს მშობლების იმ დროის დანახარჯებს, რასაც ისინი ანდომებენ სკოლამდელ ბავშვთა გაცილებას საბავშვო დაწესებულებებში.

ამ მიზნით:

ა) დაევალოთ საქართველოს სსრ განათლების და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებს, მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან ერთად, ათი დღის ვადაში შეიმუშაონ და საპროექტო ინსტიტუტს—ქალაქმშენპროექტს გადასცენ გაერთიანებული საბავშვო სკოლამდელი დაწესებულების ტიპობრივი პროექტების შედგენის დავალებანი;

ბ) დაევალოს საპროექტო ინსტიტუტს—ქალაქმშენპროექტს ტიპობრივი დაპროექტების საერთო ლიმიტის ხარჯზე მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე წარმოადგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად გაერთიანებული ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულების აღნიშნული ტიპობრივი პროექტები.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სახალხო მეურნეობის საბჭოსთან ერთად, შეისწავლოს საკითხი, თუ რამდენად არიან უზრუნველყოფილი სკოლამდელი დაწესებულებანი საჭირო მაგარი და რბილი ინვენტარით, 15 ივლისისათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ბავშვთა ავეჯის, სათამაშოების და სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოების ასორტიმენტისა და წარმოების გაფართოების შესახებ.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს:

ა) საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშაონ და მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის დასამტკიცებლად წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული სკოლამდელი დაწესებულების სტრუქტურა და შტატები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) 1960 წლის 1 იანვრისათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულების დებულების პროექტი.

7. იმ მიზნით, რომ უფრო სრულად იქნას დაკმაყოფილებული მოსახლეობის მოთხოვნილება ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებზე:

ა) დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს მიიღონ ზომები, რათა დამატებით (დაწესებული გეგმის ზევით) გააფართოონ ქსელი, რისთვისაც გადააკეთონ გამოსადეგი შენობები, გაათავისუფლონ საბავშვო დაწესებულებათა ყოფილი სადგომები, რომლებიც ამჟამად გამოყენებულია არადანიშნულებისამებრ და გაიაფონ ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების გეგმური მშენებლობა;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და განათლების სამინისტრომ უზრუნველყონ ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის დამატებითი ზრდა სათანადო ასიგნობებით, მოწყობილობით, მასალებითა და შრომის ლიმიტებით;

გ) წინადადება მიეცეთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 21 მაისის № 558 დადგენილებით მათთვის მინიჭებული უფლების საფუძველზე, ნება დართონ დაქვემდებარებულ საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს გამოიყენონ ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობისათვის იმ სახსრების ნაწილი, რომლებიც საცხოვრებელი სახლების მშენებლობას ხმარდება.

8. რჩევა მიეცეთ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს ყოველნაირად წაახალისონ კოლმეურნეობათა ინიციატივა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მომსახურების ორგანიზაციის საქმეში, რისთვისაც უნდა მოეწყოს მუდმივი და სეზონური სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა კოლმეურნეობათა სახსრებით და მიმდინარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის 1 ოქტომბრისათვის აცნობონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, თუ რა ღონისძიებები განხორციელდა ამ საკითხზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ 1959 წლის 1 ნოემბრისათვის წარმოადგინოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ უზრუნველყოფილ იქნან საშენი მასალებით ის კოლმეურნეობები, რომლებიც ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობას ახორციელებენ.

9. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომსა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) მკაცრი კონტროლი გაუწიონ იმას, რომ შეუფერხებლივ იქნან მომარაგებული ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებანი ქალაქებსა და სოფელ ადგილებში მაღალხარისხოვანი კვების პროდუქტებით, განსაკუთრებით ახალი ხორცით, რძით, ხაჭოთი და რძის სხვა პროდუქტებით, ახალი ბოსტნეულითა და ხილით, პროდუქტების დამტკიცებული ნორმებისა და ასორტიმენტის შესაბამისად;

ბ) ყოველნაირად გააძლიერონ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების საქმიანობა იმ მხრივ, რომ უფრო ფართოდ ჩააბან საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თვით მშრომელები ბავშვთა აღზრდის საქმეში მიიღონ ზომები, რათა მოეწყოს საბავშვო პარკებში, სკვერებსა და სახლთა ეზოებში მოედნები სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის, რომლებიც საბავშვო დაწესებულებებში არ დადიან.

10. დაევალოთ პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებას, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს აამაღლონ მოსახლეობაში სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე ცოდნის პროპაგანდის დონე, უფრო ფართოდ შემოიღონ ლექციების კითხვა, საუბრების ჩატარება მოსახლეობისათვის, გაადიდონ იმ მასობრივი სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის რაოდენობა და გააუმჯობესონ ხარისხი, რომელიც ამ საკითხებზე გამოდის.

11. დაევალოთ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტს და საქართველოს მწერალთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირს უზრუნველყონ მხატვრული ლიტერატურის გამოცემის გა-
ფართოება, კინოფილმების წარმოება, რადიო და ტელევიზიის გა-
დაცემები, რომლებიც აშუქებენ სკოლამდელთა აღზრდისა და მათი
ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს.

12. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიო-
ნულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბ-
ჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრო-
მელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკო-
მებს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინის-
ტროებსა და უწყებებს 1960 წლის 1 იანვრისათვის წარმოადგინონ
მოხსენებანი ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის
შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე.	**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 22 ივნისი, № 516.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 22 ივნისის № 516
დადგენილების დანართი

გ ე გ მ ა

სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის განვითარებისა საქართველოს სს რესპუბლიკაში 1959—1965 წლებისათვის

(ათასი ადგ.)

წლები	ადგილების რიცხვი
1959	49,0
1960	51,5
1961	56,0
1962	60,4
1963	65,4
1964	70,4
1965	75,3

ეროვნული ბიბლიოთეკა

48 მანქანათმშენებლობის და ლითონდასამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა მუშაკების შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადაყვანის, მათი ხელფასის გადიდებისა და მოწესრიგების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 9 აპრილის № 377 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. გადაყვანილ იქნან, 1959 წლის 1 ოქტომბრიდან დაწყებული, შვიდსაათიან სამუშაო დღეზე მანქანათმშენებლობის და ლითონდასამუშავებელი მრეწველობის მუშაკები, აგრეთვე ამ საწარმოებისათვის მუშების მომამზადებელი შრომითი რეზერვების სკოლებისა და სასწავლებლების მუშაკები და იმავდროულად მოწესრიგდეს მათი ხელფასი, ამასთან დამთავრდეს ეს მუშაობა 1960 წელს.

2. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 9 აპრილის № 377 დადგენილება „მანქანათმშენებლობის და ლითონდასამუშავებელი მრეწველობის საწარმოების მუშაკთა შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადაყვანის, მათი ხელფასის გადიდებისა და მოწესრიგების შესახებ“ დაეგზავნოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს განუხრელ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს დააწესონ, შესაბამის პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, მანქანათმშენებლობის და ლითონდასამუშავებელი მრეწველობის საწარმოების მუშაკთა შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადაყვანის წესი და კონკრეტული ვადები, აგრეთვე შრომის ანაზღაურების ახალი პირობები, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად არიან მომზადებული საწარმოები ახალ პირობებში მუშაობისათვის, რათა არ იქნას დაშვებული წარმოების მოცულობის, შრომის ნაყოფიერების შემცირება და ხელფასის დაწესებული ფონდის გადახარჯვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის ანაზღაურების ახალი პირობების გატარების დროს დიდდეს მანქანათმშენებლობის და ლითონდასამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა მუშებისათვის გამომუშავების მოქმედი ნორმები საშუალოდ 80 პროცენტით.

ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო ასლი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას 1959 წლის 1 ნოემბრისათვის.

4. დაევალოთ პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს და პირველად პარტიულ ორგანიზაციებს ყოველგვარი დახმარება გაუწიონ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამინისტროებს, უწყებებს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, მანქანათმშენებლობისა და ლითონდასამუშავებელი მრეწველობის საწარმოებს იმ მხრივ, რომ შეასრულონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „მანქანათმშენებლობის და ლითონდასამუშავებელი მრეწველობის საწარმოების მუშაკთა შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადაყვანის, მათი ხელფასის გადიდებისა და მოწესრიგების შესახებ“.

8076

პარტიულმა ორგანიზაციებმა პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან და მშრომელთა ფართო აქტივთან ერთად უნდა აწარმოონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მანქანათმშენებლობის და ლითონდასამუშავებელი მრეწველობის საწარმოების მუშაკთა შორის, წარმოებისა და საბჭოთა ადამიანების ცხოვრების კონკრეტული მაგალითებით უჩვენონ ხელფასის მოწესრიგებისა და სამუშაო დღის შემცირების იმ ღონისძიებათა სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა, რომლებიც ამჟამად ხორციელდება.

5. დაევალოთ საქართველოს პროფსაბჭოს, პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებსა და პროფკავშირთა საქარხნო კომიტეტებს მიიღონ აქტიური მონაწილეობა წარმოების რეზერვების გამოვლინებასა და გამოყენებაში, ყოველნაირად განავითაროონ და მხარი დაუჭირონ მუშათა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა შემოქმედებითს ინიციატივას მანქანათმშენებლობის და ლითონდასამუშავებელი საწარმოების საქმიანობის გაუმჯობესების, მოწინავე საწარმოო გამოცდილების შესწავლისა და გავრცელების საქმეში.

* *
*

საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* *
*

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ მანქანათმშენებლობის და ლითონდასამუშავებელი მრეწველობის საწარმოების მუშაკთა სამუშაო ღღის ხანგრძლიობის შემცირების და ხელფასის მოწესრიგების ღონისძიებათა განხორციელება განუყოფელად არის დაკავშირებული არსებული რეზერვების გამოყენების გაუმჯობესების, მანქანა-მექანიზმების უფრო სრულად დატვირთვის, მოწინავე გამოცდილებისა და ახალი ტექნიკის მტკიცედ დანერგვის, დაგეგმვის გაუმჯობესების, აგრეთვე წარმოებისადმი ორგანიზაციულ-ტექნიკური ხელმძღვანელობის გაუმჯობესების აუცილებლობასთან. პროდუქციის წარმოების მუდმივი გადიდებით, შრომის ნაყოფიერების ზრდით, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებითა და მისი თვითღირებულების შემცირებით მუშაკთა მატერიალური დაინტერესების პრინციპის განუხრელი დაცვა უნდა გახდეს სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური მზრუნველობის საგნად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **პ. კოვანოვი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 4 ივლისი, № 566

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 377

1959 წლის 9 აპრილი

მოსკოვი, კრემლი

მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოების მუშაკთა შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადაყვანის, მათი ხელფასის გადიდებისა და მოწესრიგების შესახებ

მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოების მუშაკთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების მიზნით, რაც დასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით, და პროდუქციის წარმოების შემდგომი გადიდებითა და ხარისხის გაუმჯობესებით მათი დაინტერესების გაძლიერების მიზნით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. გადაყვანილ იქნან, 1959 წლის 1 ოქტომბრიდან დაწყებული, შვიდსაათიან სამუშაო დღეზე და იმავდროულად მოწესრიგდეს ხელფასი მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა მუშაკებისა, აგრეთვე შრომითი რეზერვების იმ სკოლების და სასწავლებლების მუშაკებისა, რომლებიც ამზადებენ მუშებს ამ საწარმოებისათვის, ამასთან დამთავრდეს ეს მუშაობა 1960 წელს.

2. დადგენილ იქნას, რომ მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოების მუშაკთა შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადაყვანის წესსა და კონკრეტულ ვადებს, აგრეთვე შრომის ანაზღაურების ახალ პირობებს განსაზღვრავენ სახალხო მეურნეობის საბჭოები, სამინისტროები, უწყებები და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, შესაბამის პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად არიან მომზადებული საწარმოები ახალ პირობებში მუშაობისათვის, რათა არ იქნას დაშვებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოების მოცულობის, შრომის ნაყოფიერების შემცირება და ხელფასის დაწესებული ფონდის გადახარჯვა.

3. შემოღებულ იქნას მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოების იმ მუშათა შრომის ასანაზღაურებლად, რომლებიც გადაყვანილი არიან შვიდსაათიან სამუშაო დღეზე, საათობრივი სატარიფო განაკვეთების შემდეგი ორი ჯგუფი:

თანრიგები	I	II	III	IV	V	VI
სატარიფო განაკვეთები (მან. და კაპ.) დროებრივი მუშებისათვის, რომლებიც დასაქმებული არიან ცივ სამუშაოებზე:						
პირველი ჯგუფი . . . . . ,	2—75	3—11	3—55	4—07	4—73	5—50
მეორე ჯგუფი . . . . . ,	2—63	2—97	3—39	3—89	4—52	5—26
მენარდეებისათვის, რომლებიც დასაქმებული არიან ცივ სამუშაოებზე, და დროებრივი მუშებისათვის, რომლებიც დასაქმებული არიან ცხელ, მძიმე სამუშაოებზე და შრომის მავნე პირობებიან სამუშაოებზე:						
პირველი ჯგუფი . . . . . ,	3—20	3—62	4—13	4—74	5—50	6—40
მეორე ჯგუფი . . . . . ,	3—05	3—45	3—93	4—51	5—25	6—10
მენარდეებისათვის, რომლებიც დასაქმებული არიან ცხელ, მძიმე სამუშაოებზე, და შრომის მავნე პირობებიან სამუშაოებზე და დროებრივ მუშებისათვის, რომლებიც დასაქმებული არიან შრომის განსაკუთრებით მძიმე და განსაკუთრებით მავნე პირობებიან სამუშაოებზე:						
პირველი ჯგუფი . . . . . ,	3—67	4—15	4—73	5—43	6—31	7—34
მეორე ჯგუფი . . . . . ,	3—50	3—95	4—51	5—18	6—02	7—00
მენარდეებისათვის, რომლებიც დასაქმებული არიან შრომის განსაკუთრებით მძიმე და განსაკუთრებით მავნე პირობებიან სამუშაოებზე:						
პირველი ჯგუფი	3—90	4—41	5—03	5—77	6—71	7—80
მეორე ჯგუფი	3—78	4—27	4—88	5—59	6—50	7—56

პირველი ჯგუფის სატარიფო განაკვეთები დაუწესდებათ საავიაციო, საავტომობილო, საინსტრუმენტო, სათავდაცვო, საკისრების, რადიოტექნიკური, ჩარხმშენებლობის, გემთმშენებლობის, სატრაქტორო, ელექტროტექნიკური მრეწველობის, სატრანსპორტო, ენერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეტიკული და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, ხელოვნ-წყოთმშენებლობის და სამთამადნო, მეტალურგიული, ნავთობგამომპოვებელი, ნავთობგადამმუშავებელი, ქიმიური და ტორფის მრეწველობისათვის მოწყობილობის დამამზადებელი, აგრეთვე საბურღი სატუმბო-საკომპრესორო და სამაცივრო მოწყობილობის დამამზადებელი საწარმოების მუშებს.

მეორე ჯგუფის სატარიფო განაკვეთები დაუწესდებათ მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი იმ დანარჩენი საწარმოების მუშებს, რომლებიც იმყოფებიან სახალხო მეურნეობის საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების გამგებლობაში. ცალკეულ შემთხვევებში ამ საწარმოების მუშებს სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს, პროფკავშირთა საბჭოებთან ან პროფკავშირთა შესაბამის ცენტრალურ კომიტეტებთან ერთად, შეუძლიათ დაუწესონ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით, პირველი ჯგუფის სატარიფო განაკვეთები.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების გამგებლობაში არსებულ მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი საწარმოების მუშებს სატარიფო განაკვეთები დაუწესდებათ მეორე ჯგუფის სატარიფო განაკვეთებთან შედარებით 10 პროცენტის დაკლებით.

ახალი სატარიფო განაკვეთების შემოღების შემდეგ დანამატები მენარდე მუშებს და დროებრივ მუშებს უქმეების წინა დღეებსა და დასვენების წინა დღეებში შემცირებულ სამუშაო დროისათვის არ მიეცემათ.

4. უფლება მიენიჭოთ მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა ხელმძღვანელებს დაუწესონ:

ა) ბრიგადირებს მენარდე მუშათა რიცხვიდან, რომლებიც არ არიან განთავისუფლებული ძირითადი სამუშაოსაგან, დანამატი ბრიგადის ხელმძღვანელობისათვის შემდეგი ოდენობით: როდესაც ბრიგადის შემადგენლობა 5-დან 10 კაცამდეა—სატარიფო განაკვეთის 10 პროცენტი და როდესაც 10 კაცზე მეტია—15 პროცენტი;

ბ) წარმოების დროებრივ მუშებს, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ ტექნოლოგიურ პროცესში მუშაობის მტკიცედ რეგლამენტირებული რეჟიმით, დროებრივ მუშებს, რომლებიც დასაქმებული არიან ტექნოლოგიური მოწყობილობის რემონტზე, აგრეთვე ახალი ტექნიკის ნიმუშების დამზადებაზე—სატარიფო განა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვეთები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დადგენილების მე-3 მუხლით მენარდე მუშებისათვის.

5. უფლება მიენიჭოთ მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა ხელმძღვანელებს შემოიღონ, პროფკავშირთა სათანადო კომიტეტებთან შეთანხმებით, მუშათა დაჯილდოება შემდეგი ოდენობით:

ა) მენარდე მუშებისა, რომლებიც მუშაობენ კონვეიერებზე, ნაკადურ ხაზებზე და აგრეგატებზე,—წარმოების გეგმის შესრულებისათვის თვიური სანარდო გამომუშავების 10 პროცენტის ოდენობით და ამ გამომუშავების 2 პროცენტის ოდენობით გეგმის გადაჭარბებით შესრულების ყოველ პროცენტში. ამასთან, პრემიების საერთო თანხა თვეში არ უნდა აღემატებოდეს თვიური სანარდო გამომუშავების 20 პროცენტს;

ბ) მენარდე მუშებისა, რომლებიც მუშაობენ უმნიშვნელოვანეს უბნებზე საწარმოო და საინსტრუმენტო საამქროებში (გარდა „ა“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილი მუშებისა) გამომუშავების ტექნიკურად დასაბუთებული ნორმებით,—თვიური სანარდო გამომუშავების 1; 1.5; 2 პროცენტის ოდენობით გამომუშავების თვიური ნორმების გადაჭარბებით შესრულების ყოველ პროცენტში. ამასთან, პრემიების საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს იმ თვიური სანარდო გამომუშავების 25 პროცენტს, რომელიც დარიცხულია ტექნიკურად დასაბუთებული ნორმებით მუშაობისათვის;

გ) წარმოების დროებრივი მუშებისა—მათთვის დაწესებულ დავალებათა ხარისხიანად და დროულად შესრულებისათვის დამხმარე დროებრივი მუშებისა—სამუშაოთა ხარისხიანად და დროულად შესრულებისათვის (იმ პირობით, თუ გეგმა შეასრულეს უბნებმა, ცვლებმა ან საამქროებმა, რომლებსაც ისინი მომსახურებას უწევენ) და ტექნოლოგიური მოწყობილობის რემონტზე დასაქმებული დროებრივი მუშებისა—სამუშაოთა ხარისხიანად და ვადამდე შესრულებისათვის—სატარიფო განაკვეთის (თვიური ხელფასის) 25 პროცენტამდე;

დ) წარმოების დროებრივი მუშებისა, რომლებიც დასაქმებული არიან ექსპერიმენტულ და საცდელ საწარმოებში სამუშაოებზე, აგრეთვე მანქანებისა და სხვა ნაკეთობათა გამოცდასა და დაყვანაზე, სამუშოთა ხარისხიანად და ვადამდე შესრულებისათვის—სატარიფო განაკვეთის (თვიური ხელფასის) 40 პროცენტამდე.

მენარდე მუშებს, რომლებიც მუშაობენ კონვეიერებსა და ნაკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღურ ხაზებზე, და დროებრივ მუშებს, რომლებიც დასაქმებული არიან ტექნოლოგიური მოწყობილობის რემონტზე, აგრეთვე სათანადო პროდუქციის დამამზადებელი საწარმოების მუშებს „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პრემიების ოდენობა, სახალხო მეურნეობის საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების ნებართვით, შეიძლება გაუდიდდეთ მენარდე მუშათა თვიური სანარდო გამომუშავების და დროებრივ მუშათა სატარიფო განაკვეთის (თვიური ხელფასის) 30 პროცენტამდე.

მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოების ხელმძღვანელებს, პროფკავშირთა შესაბამის კომიტეტებთან შეთანხმებით შეუძლიათ შემოიღონ დროებით ძირითადი წარმოების გადამწყვეტ უბნებზე, სადაც ეს ეკონომიურად მიზანშეწონილია, შრომის ანაზღაურების სანარდო-პროგრესული სისტემა ისე, რომ თვიური ნორმების მიღწეული გადაჭარბებით შესრულებისათვის ანაზღაურება მოხდეს ერთნახევარ ან ორმაგ სანარდო შეფასებათა მიხედვით.

6. ამ დადგენილების მე-5 მუხლით გათვალისწინებული პრემიები მიეცეთ მენარდე მუშებს იმ პირობით, თუ მათ მიერ შესრულებულია გამომუშავების ნორმები.

იმ პირებს, რომლებმაც გააცდინეს სამუშაო იმ პერიოდის განმავლობაში, რომლისთვისაც პრემია ერიცხებათ, წაერთმევათ პრემიები მთლიანად ან ნაწილობრივ.

7. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტს, პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან ერთად, ორი კვირის ვადაში დაამტკიცოს მანქანათმშენებლობისა და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა მუშებისათვის:

ტიპობრივი დებულება შრომის ანაზღაურების სანარდო-პრემიული, დროებრივ-პრემიული და სანარდო-პროგრესული სისტემების შესახებ;

ტიპობრივი ნუსხა იმ მუშათა პროფესიებისა, რომელთა ანაზღაურება ხდება იმ მუშებისათვის დაწესებული სატარიფო განაკვეთებით, რომლებიც დასაქმებული არიან ცხელ და მძიმე სამუშაოებზე შრომის მავნე პირობებიან სამუშაოებზე და ისეთ სამუშაოებზე, სადაც შრომის პირობები განსაკუთრებით მძიმე და განსაკუთრებით მავნეა;

რკინიგზის საამქროების მუშათა შრომის ანაზღაურების პირობები;

იმ დროებრივ მუშათა ცალკეული პროფესიების ნუსხა, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებსაც უწესდებათ თვიური განაკვეთები ნაცვლად საგანგებო განაკვეთებისა, და ამ განაკვეთების ოდენობა.

8. დაევალოთ სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სამინისტროებს, უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებსა და მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა ხელმძღვანელებს ამ საწარმოების მუშაკთა შვიდსაათიან სამუშაო დღეზე და შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადაყვანის დროს უზრუნველყონ:

ა) გამომუშავების ტექნიკურად დასაბუთებული იმ ნორმების ფართოდ დანერგვა, რომლებიც შეესაბამებიან ტექნიკის და წარმოების ორგანიზაციის თანამედროვე დონეს და რომლებიც შემუშავებულია მუშათა მოწინავე საწარმოო გამოცდილების გათვალისწინებით, იმ ანგარიშით, რომ ამ ნორმების ხვედრითი წონა გამოშვებული პროდუქციის საერთო შრომატევადობაში მასობრივი და სერიული წარმოების საწარმოებში აყვანილ იქნას 50—65 პროცენტამდე, ხოლო დანარჩენ საწარმოებში 30—50 პროცენტამდე;

ბ) ტარიფის მიხედვით ანაზღაურების ხვედრითი წონის გადიდება ხელფასში მენარდე მუშებისა 70—75 პროცენტამდე და დროებრივი მუშებისა 75—85 პროცენტამდე;

გ) სამუშაოთა ტარიფიკაციის გატარება და მუშებისათვის თანრიგების დაწესება იმ სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარების შესაბამისად, რომლებიც დამტკიცებულია დადგენილი წესით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტის მიერ.

9. შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღების დროს გადიდდეს გამომუშავების მოქმედი ნორმები მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოების მუშებისათვის საშუალოდ 65 პროცენტით.

დაწესდეს გამომუშავების ნორმების გადიდების დავალება მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის მუშებისათვის მოკავშირე რესპუბლიკებში, № 1 დანართით გათვალისწინებული ოდენობით.

გამომუშავების ნორმების გადიდების ოდენობას შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღების დროს დააწესებენ კონკრეტული საწარმოო პირობების გათვალისწინებით;

ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონებისათვის—მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები;

ცალკეული საწარმოებისათვის (მათი დაქვემდებარების მიხედვით)—სახალხო მეურნეობის საბჭოები, სამინისტროები, უწყებები და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

გამომუშავების ნორმების გადიდება მოხდეს შესაბამის პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, ამასთან არ იქნას დაშვებული სხვადასხვაობა ნორმების დონეში ანალოგიურ სამუშაოებზე ერთნაირ საწარმოო პირობებში.

10. დაუწესდეთ თანამდებობრივი განაკვეთები მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს მოსამსახურეებსა და უმცროს მომსახურე პერსონალს, აგრეთვე შრომითი რეზერვების იმ სკოლებისა და სასწავლებლების მუშაკებს, რომლებიც ამზადებენ მუშებს ამ საწარმოებისათვის, ღამით მუშაობისათვის დანამატის ჩათვლით, № 2—4 დანართების თანახმად.

დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტს, პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან ერთად, 10 დღის ვადაში დაამტკიცოს მაჩვენებლები მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოების მისაკუთვნებლად ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შრომის ანაზღაურების ჯგუფებზე.

11. უფლება მიენიჭოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარდგენით დაუწესოს მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა უდიდესი ფოლადფასონსამსხმელო, ფასონსამსხმელო, სამჭედლო-საწნეხო, თერმული, საწნეხო, გენერატორული და სხვა მეტალურგიული საამქროების მუშაკებს სატარიფო განაკვეთები, თანამდებობრივი განაკვეთები და შრომის ანაზღაურების წახალისებითი სისტემები, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1957 წლის 27 აპრილის № 471 დადგენილებით და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 7 აგვისტოს № 899 დადგენილებით.

12. მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა მუშაკებისათვის ახალი თანამდებობრივი განაკვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თების შემოღებასთან ერთად, შეუმცირდეთ პერსონალური ფონდი, ... თების ფონდი, გამოყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების განკარგულებაში, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, იმ მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთების შეცვლის შესაბამისად, რომლებიც პერსონალურ დანამატებს იღებენ.

13. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების გამგებლობაში არსებული მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი საწარმოების ხელმძღვანელი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის თანამდებობრივი განაკვეთები დაწესდება ამ დადგენილებით გათვალისწინებული განაკვეთების 15 პროცენტით ნაკლები.

14. დაწესდეს მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა საამქროების მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის, რომლებიც ღებულობენ გასამრჯელოს (პროცენტულ დანამატებს) წელთა ნამსახურობისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 2 მარტის № 234 დადგენილების 1 მუხლის თანახმად—იმ მომენტიდან, რაც ისინი გადაყვანილ იქნებიან შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე, ამ დადგენილების შესაბამისად, წელთა ნამსახურობისათვის ერთდროული ჯილდოს შემდეგი ოდენობა:

მუშაობის განუწყვეტელი სტაჟის დროს, რომელიც იძლევა წელთა ნამსახურობისათვის ერთდროული ჯილდოს მიღების უფლებას	წლიური გასამრჯელოს ოდენობა თვიური სატარიფო განაკვეთის (თანამდებობრივი განაკვეთის) წილად
3-დან 5 წლამდე . . .	1,0
5-დან 10 წლამდე . . .	1,4
10-დან 15 წლამდე . . .	1,8
15 წელზე მეტი . . .	2,0

წელთა ნამსახურობისათვის ერთდროული ჯილდო აღნიშნული ოდენობით გაიცეს წარმოებათა, საამქროთა, მუშების პროფესიათა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების თანამდებობათა იმ ნუსხის თანახმად, რაც დამტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 2 მარტის № 234 დადგენილების შესაბამისად.

წელთა ნამსახურობისათვის ერთდროული ჯილდოს ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 2 მარტის № 234 დადგენილების მე-6 მუხლით გათვალისწინებულ თანხებს.

წელთა ნამსახურობისათვის ერთდროული ჯილდო [illegible] სატარიფო განაკვეთების (თანამდებობრივი განაკვეთების) [illegible] ზე, რომლებიც დაწესებულია ამ დადგენილებით, და გაიცეს წელიწადში ერთჯერ კალენდარული წლის დამლევს.

შეუწყდეთ მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა მუშაკებს, აგრეთვე შრომითი რეზერვების იმ სკოლებისა და სასწავლებლების მუშაკებს, რომლებიც ამზადებენ მუშებს ამ საწარმოებისათვის, შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადაყვანის მომენტიდან წელთა ნამსახურობისათვის ერთდროული ჯილდოს (პროცენტული დანამატების) მიცემა, რაც მათ ეძლეოდათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 2 მარტის № 234 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად. შეუწყდეთ აგრეთვე წელთა ნამსახურობისათვის ერთდროული ჯილდოს (პროცენტული დანამატების) მიცემა მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოების რკინიგზის საამქროების ლოკომოტივების და მატარებელთა ბრიგადების მუშაკებს.

აღნიშნული მუშაკების ხვედრი თანხა წელთა ნამსახურობისათვის ერთდროული ჯილდოსი (პროცენტული დანამატებისა) შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღებამდე გაიცეს წლის დამლევს ნამუშევარი დროის პროპორციულად.

მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოების მუშაკებს, რომლებსაც ამ დადგენილებით არა აქვთ დაწესებული შრომის ანაზღაურების ახალი პირობები, ხელფასის მოწესრიგებამდე, წელთა ნამსახურობისათვის ერთდროული ჯილდო (პროცენტული დანამატები) მიეცეთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 2 მარტის № 234 დადგენილებით გათვალისწინებული წესით.

15. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტს, პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან ერთად და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მონაწილეობით, ერთი თვის ვადაში დაამტკიცოს მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის იმ ცალკეული საწარმოებისა და საამქროების მუშაკთა ხელფასის კოეფიციენტები, რომლებიც მდებარეობენ ჩრდილოეთ რაიონებში, ურალში, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში, რათა უზრუნველყოფილ იქნას ხელფასის უფრო მაღალი დონე ამ რაიონებში ხელფასის იმ დონესთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედარებით, რაც ჩვენი ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში არსებობს.

დაწესდეს, რომ ხელფასის კოეფიციენტები გადიდდება ბიზნესათვის, რომლებიც დასაქმებული არიან სამუშაოზე: ზღვის დონიდან 1500-დან 2000 მეტრამდე — 15 პროცენტამდე, 2000-დან 3000 მეტრამდე — 30 პროცენტამდე, 3000 მეტრზე ზევით — 40 პროცენტამდე; უდაბნო და უწყლო რაიონებში — 10-დან 40 პროცენტამდე. მაღალმთიან, უდაბნო და უწყლო რაიონებში მდებარე საწარმოების მუშაკთა ხელფასის კოეფიციენტების კონკრეტულ ოდენობას დაადგენენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო მეურნეობის საბჭოები, სამინისტროები და უწყებები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

დაწესდეს, რომ კოეფიციენტის გამოყენებით არ შეიქმნება ახალი სატარიფო განაკვეთები და თანამდებობრივი განაკვეთები და რომ ეს კოეფიციენტი შეუფარდდება ხელფასს, გარდა ჯილდოსი წელთა ნამსახურობისათვის, დანამატებისა უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში და უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ შორეულ ადგილებში მუშაობისათვის, და დაერიცხება ხელფასს 3000 მანეთამდე თვეში. თუ ხელფასი აღემატება ამ თანხას, მაშინ კოეფიციენტი დაერიცხება მხოლოდ ხელფასის ნაწილს, რომელიც 3000 მანეთს შეადგენს.

16. მანამ, ვიდრე გადაისინჯებოდეს წესი უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში და უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ შორეულ ადგილებში მდებარე საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაკებისათვის შეღავათების მინიჭებისა, დანამატების დარიცხვა ამ რაიონებსა და ადგილებში მუშაობისათვის ამ დადგენილებით გათვალისწინებულ მუშაკებს დაერიცხოთ იმ განაკვეთებისა და ჯამაგირების ანგარიშიდან, რომლებიც შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღებამდე მოქმედებდნენ.

17. ვიდრე სახალხო მეურნეობის შესაბამისი დარგების მუშაკთა ხელფასი მოწესრიგდებოდეს, უცვლელად დარჩეს მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებში:

ა) ელექტროსადგურების, წყლისა და საავტომობილო ტრანსპორტის საამქროების, სტამბების, სამანქანო-საანგარიშო სადგურების, დაცვის, საბინაო-კომუნალური განყოფილებების, დამხმარე საწარმოების, მუშათა მომარაგების განყოფილებებისა და საბავშვო დაწესებულებების მუშაკთა შრომის ანაზღაურების პირობები;

ბ) საშენ მასალათა საწარმოების მუშაკების, ხე-ტყის დამზადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბასა და ხე-ტყის დაცურებაზე დასაქმებული მუშაკების, აგრეთვე ადგილობრივ პიტალური მშენებლობის განყოფილებებში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებული მუშებისა და სახაზო ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების სამუშაო დღის ხანგრძლივობა და შრომის ანაზღაურების პირობები.

18. დაევალოთ სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სამინისტროებს, უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებულ კომიტეტებს და მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელ მრეწველობის საწარმოთა ხელმძღვანელებს მუშაკთა ხელფასის მოწესრიგებისა და შვიდსაათიან სამუშაო დღეზე მათი გადაყვანის დროს უზრუნველყონ თვითეულ საწარმოში შრომის ნაყოფიერების უფრო სწრაფი ზრდა ხელფასის ზრდასთან შედარებით, მინიმალურ და მაქსიმალურ ხელფას შორის გარღვევის შემცირება, რისთვისაც დააწესონ სწორი თანაფარდობა სხვადასხვა კატეგორიის მუშაკთა შრომის ანაზღაურებაში, აღმოფხვრან ზედმეტობა ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დაჯილდოებაში.

19. მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოების მუშაკთა გადაყვანა შვიდსაათიან სამუშაო დღეზე და შრომის ანაზღაურების ახალი პირობები განხორციელდეს ძირითადად იმ სახსრების ეკონომიის ხარჯზე, რომლებიც მიღებულია ხელფასის წახალისებითი სისტემების გამოყენებაში ზედმეტობის აღმოფხვრის, მთელი რიგი კატეგორიების მუშაკთათვის წელთა ნამსახურობის ჯილდოს მიცემის შეწყვეტის, წარმოების მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, სამუშაო დროის დანაკარგების შემცირების, დამხმარე მუშათა რაოდენობის შემცირების, შრომის ნორმირების მოწესრიგების, წარმოების მართვის შემდგომი სრულყოფის, საამქროების, უბნების გაერთიანების და საწარმოებში წარმოების მართვის უსაამქრო სტრუქტურის დანერგვის შედეგად .

20. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სამინისტროებს, უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა ხელმძღვანელებს ამ საწარმოთა მუშაკების შვიდსაათიან სამუშაო დღეზე და შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადაყვანამდე ჩაატარონ, მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ფართო აქტივის მონაწილეობით, გულმოდგინე მოსამზადებელი მუშაობა შრომისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, საწარმოთა ორგანიზაციული სტრუქტურის შემდგომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულყოფისათვის, წარმოების ორგანიზაციის რაციონალიზაციისა-მების დანერგვისათვის და შეასრულონ სხვა სამუშაოები სამმართველო და საამქრო აპარატის ღირებულების გაიაფებისათვის, იმ ხარჯების დაფარვის დამატებითი წყაროების გამოძებნისათვის, რომლებიც დაკავშირებულია აღნიშნული საწარმოების მუშაკთა შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღებასთან.

21. მუშაკთა შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღების გამო, გაუქმდეს მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებში ყველა მოქმედი სატარიფო განაკვეთი, თანამდებობრივი განაკვეთები, დებულებანი მუშათა დაჯილდოების შესახებ, აგრეთვე მუშაკთა ხელფასის კოეფიციენტები და დანამატები.

დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან ერთად, 1960 წლის 1 დეკემბრისათვის წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის მთავრობის იმ დადგენილებათა სია, რომლებმაც ძალა დაკარგეს ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით.

22. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტს აძლიოს სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს განმარტებანი ამ დადგენილებით გათვალისწინებულ საწარმოთა მუშაკების შვიდსაათიან სამუშაო დღეზე და შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადაყვანასთან დაკავშირებული საკითხების გამო, აგრეთვე გამოსცეს შესაბამისი ინსტრუქციები ამ საკითხებზე.

23. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტს სამი თვის ვადაში გამოსცეს საჭირო რაოდენობით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტის მიერ მომზადებული ზოგადსაგანმანათლებლო ნორმატივები ძირითადი სახის სამუშაოებზე ტექნიკური დასაბუთებული ნორმების შესამუშავებლად.

24. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტს 1961 წლის 1 იანვრისათვის წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოხსენება მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოებში ამ დადგენილების შესაბამისად მუშაკთა შრომის ანაზღაურების ახალი პირობების გამოყენების შედეგების შესახებ.

25. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს და პირველად პარტიულ ორგანიზაციებს ყოველგვარი დახმარება გაუწიონ სახალხო მეურნეობის საბჭოებს და მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებს ამ დადგენილების შესრულების საქმეში.

პარტიულმა ორგანიზაციებმა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებთან და მშრომელთა ფართო აქტივთან ერთად, უნდა ჩაატარონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოების მუშაკთა შორის, წარმოების და საბჭოთა ადამიანების ცხოვრების კონკრეტულ მაგალითებზე უნდა უჩვენონ ხელფასის მოწესრიგებისა და სამუშაო დღის შემცირებისათვის გატარებულ ღონისძიებათა სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა.

26. დაევალოთ პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს, შესაბამის პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებს, პროფკავშირთა რესპუბლიკურ, საოლქო და სამხარეო საბჭოებს მიიღონ აქტიური მონაწილეობა წარმოების რეზერვების გამოვლინებასა და გამოყენებაში, ყოველნაირად განავითარონ და მხარი დაუჭირონ მუშათა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა შემოქმედებითს ინიციატივას მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოების საქმიანობის გაუმჯობესებაში, მოწინავე საწარმოო გმოცდილების შესწავლასა და გავრცელებაში.

27. ოქმის წესით.

* *
*

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოების მუშაკთა სამუშაო დღის ხანგრძლიობის შემცირებისა და ხელფასის მოწესრიგების ღონისძიებათა განხორციელება განუყრელად არის დაკავშირებული არსებული რეზერვების გამოყენების გაუმჯობესების, მანქანებისა და მექანიზმების უფრო სრულად დატვირთვის, მოწინავე გამოცდილებისა და ახალი ტექნიკის მტკიცედ დანერგვის, დაგეგმვის გაუმჯობესების, აგრეთვე წარმოებისადმი ორგანიზაციულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნიკური ხელმძღვანელობის გაუმჯობესების აუცილებლობასთან, პროდუქციის წარმოების მუდმივი გადიდებით, შრომის ნაყოფიერების ზრდით, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით და მისი თვითღირებულების შემცირებით მუშაკთა მატერიალური დაინტერესების პრინციპის განუხრელად განხორციელება უნდა გახდეს სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური მზრუნველობის საგანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი	**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 9 აპრილის
№ 377 დადგენილების დანართი № 1

დ ა ვ ა ლ ე ბ ა

მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოების მუშებისათვის გამომუშავების ნორმების გადიდებისა მოკავშირე რესპუბლიკებში

მოკავშირე რესპუბლიკების დასახელება	გამომუშავების ნორმების გადიდების საშუალო პროცენტი
რუსეთის სფსრ	65
უკრაინის სსრ	70
ბელორუსიის სსრ	70
უზბეკეთის სსრ	70
ყაზახეთის სსრ	75
საქართველოს სსრ	80
აზერბაიჯანის სსრ	50
ლიტვის სსრ	80
მოლდავეთის სსრ	80
ლატვის სსრ	90
ყირგიზეთის სსრ	70
ტაჯიკეთის სსრ	90
სომხეთის სსრ	80
თურქმენეთის სსრ	40
ესტონეთის სსრ	90

ა ს ლ ი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 9 აპრილის
№ 377 დადგენილების დანართი № 2

თანამდებობრივი განაკვეთები

მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოების ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები საწარმოთა ჯგუფების მიხედვით (მან.)						
	I	II	III	IV	V	VI	VII
დირექტორი	3000—3300	2500—3000	2200—2600	2000—2300	1600—2000	1500—1700	1000—1400
მთავარი ინჟინერი . .	2600—3000	2300—2600	2000—2300	1800—2000	1500—1800	—	—
მთავარი კონსტრუქტორი, მთავარი ტექნოლოგი, მთავარი მეტალურგი, მთავარი მექანიკოსი, მთავარი ენერგეტიკოსი, გემების მთავარი მშენებელი, წარმოების უფროსი, განყოფილებათა უფროსები: ტექნიკური კონტროლისა, საწარმოო-სადისპეტჩეროსი, ენერგომექანიკურისა (თუ არ არის მთავარი მექანიკოსის განყოფილება და მთავარი ენერგეტიკოსის განყოფილება) . . .	2000—2400	1800—2200	1600—2000	1400—1800	1300—1600	—	—
განყოფილებათა უფროსები: ტექნიკურისა (თუ მმართველობის სქემით არ არის გათვალისწინე-							

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები საწარმოთა ჯგუფების მიხედვით (მან.)						
	I	II	III	IV	V	VI	VII
ბული დამოუკიდებელი საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური განყოფილებები), საგეგმო-საწარმოოსი (თუ მმართველობის სქემით არ არის გათვალისწინებული დამოუკიდებელი საგეგმო-ეკონომიური და საწარმოო-სადისპეტჩერო განყოფილებები) . . .	2000—2400	1800—2200	1600—2000	1400—1800	1300—1600	1200—1500	—
მთავარი ბუღალტერი (უფროსი ბუღალტერი მთავარი ბუღალტრის უფლებით)	1600—2200	1500—2000	1400—1800	1300—1700	1200—1500	1100—1300	800—1050
კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი . .	1600—2000	1500—1800	1400—1700	1300—1600	1200—1450	—	—
საკონსტრუქტორო ბიუროების უფროსები მთავარი კონსტრუქტორის, მთავარი ტექნოლოგის ტექნიკურ განყოფილებებში	1600—2000	1500—1800	1400—1700	1300—1600	—	—	—
საგეგმო-ეკონომიური, შრომისა და ხელფასის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, საგარეო კოოპერაციის, საინსტრუმენტო, სტანდარტიზაციისა და ნორმალიზაციის, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის განყოფილებათა უფროსები: ცენტრალური საქარხნო ლაბორატორიის უფროსი, კაპიტალური მშენებლობის განყოფილების მთავარი ინჟინერი	1500—1800	1400—1700	1300—1600	1250—1550	1100—1400	—	—

ეროვნული ბიბლიოთეკა
ბიბ. 48

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები საწარმოთა ჯგუფების მიხედვით (მან.)						
	I	II	III	IV	V	VI	VII
საკონსტრუქტორო ბიუროების უფროსები მთავარი მექანიკოსის, მთავარი ენერგეტიკოსის, ენერგომექანიკურ, მთავარი მეტალურგის, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის განყოფილებებში . . .	1300—1600	1300—1600	1200—1550	1200—1550	—	—	—
საფინანსო, გასაღების, ტექნიკური ინფორმაციის, კადრების, ტექნიკური უსაშიშრობის, ტექნიკური სწავლების, საიდუმლო განყოფილებათა უფროსები, ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბის უფროსი, სპეცგანყოფილების უფროსი	1300—1500	1300—1500	1200—1450	1200—1450	1100—1350	—	—
იურიდიული განყოფილების უფროსი	1300—1500	—	—	—	—	—	—
იურიდიული ბიუროს უფროსი	—	1100—1300	—	—	—	—	—
სექტორებისა და ბიუროების (გარდა საკონსტრუქტოროებისა) უფროსები მთავარი კონსტრუქტორის, მთავარი ტექნოლოგის, მთავარი მექანიკოსის, მთავარი ენერგეტიკოსის, მთავარი მეტალურგის, ტექნიკური კონტროლის, ტექნიკურ, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის, სტანდარტიზაციისა და ნორმალიზაციის, საწარმოო-სადისპეტჩერო, საგეგმო-საწარმოო, საგეგ-							

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები საწარმოთა ჯგუფების მიხედვით (მან.)						
	I	II	II	IV	V	VI	VII
მო-ეკონომიურ, შრომისა და ხელფასის, საინსტრუმენტო, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, საგარეო კოოპერაციის, კაპიტალური მშენებლობის, ენერგომექანიკურ განყოფილებებში; ლაბორატორიების უფროსები ცენტრალური საქარხნო ლაბორატორიის შემადგენლობაში და საწარმოს განყოფილებათა უფროსები, საამქრო ბიუროების უფროსები, რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიუროს უფროსი, კაპიტალური მშენებლობის განყოფილების მთავარი (უფროსი) ბუღალტერი	1200—1450	1200—1450	1150—1400	1150—1400	—	—	—
ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსი . .	1100	1000	900	—	—	—	—
I კატეგორიის ინჟინერ-კონსტრუქტორი:							
განსაკუთრებით რთული პროდუქციის დამამზადებელ საწარმოებში	1200—1500	1200—1500	1200—1500	1200—1500	1200—1500	—	—
რთული პროდუქციის დამამზადებელ საწარმოებში . .	1100—1400	1100—1400	1100—1400	1100—1400	1100—1400	—	—
II კატეგორიის ინჟინერ-კონსტრუქტორი:							
განსაკუთრებით რთული პროდუქციის დამამზადებელ საწარმოებში	1100—1400	1100—1400	1100—1400	1100—1400	1100—1400	1100—1400	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები საწარმოთა ჯგუფების მიხედვით (მან.)						
	I	II	III	V	V	VI	VII
რთული პროდუქციის დამამზადებელ საწარმოებში . .	1050—1350	1050—1350	1050—1350	1050—1350	1050—1350	1050—1350	—
უბრალო პროდუქციის დამამზადებელ საწარმოებში . .	1000—1250	1000—1250	1000—1250	1000—1250	1000—1250	1000—1250	—
ყველა სპეციალობის უფროსი ინჟინრები, უფროსი ეკონომისტი, უფროსი ნორმადარი, უფროსი დისპეტჩერი, III კატეგორიის ინჟინერ-კონსტრუქტორი:							
განსაკუთრებით რთული პროდუქციის დამამზადებელ საწარმოებში	1050—1350	1050—1350	1050—1350	1050—1350	1050—1350	1050—1350	—
რთული პროდუქციის დამამზადებელ საწარმოებში . . .	1000—1250	1000—1250	1000—1250	1000—1250	1000—1250	1000—1250	—
უბრალო პროდუქციის დამამზადებელ საწარმოებში . .	950—1200	950—1200	950—1200	950—1200	950—1200	950—1200	—
ყველა სპეციალობის ინჟინრები, ეკონომისტი, ნორმადარი, დისპეტჩერი:							
განსაკუთრებით რთული პროდუქციის დამამზადებელ საწარმოებში	950—1200	950—1200	950—1200	950—1200	950—1200	950—1200	—
რთული პროდუქციის დამამზადებელ საწარმოებში . .	900—1100	900—1100	900—1100	900—1100	950—1100	950—1100	—
უბრალო პროდუქციის დამამზადებელ საწარმოებში . .	850—1000	850—1000	850—1000	850—1000	850—1000	850—1000	850—1000
ყველა სპეციალობის უფროსი, ტექნიკოსები, უფროსი ლაბორანტი	750—900	750—900	750—900	750—900	750—900	750—900	—
ყველა სპეციალობის ტექნიკოსები	700—800	700—800	700—800	700—800	700—800	700—800	700—800
ლაბორანტი . . .	600—700	600—700	600—700	600—700	600—700	600—700	—

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები საწარმოთა ჯგუფების მიხედვით (მან.)						
	I	II	III	IV	V	VI	VII
I ჯგუფის საამქროს უფროსი	1700—2100	1700—2100	1700—2100	—	—	—	—
II ჯგუფის საამქროს უფროსი	1500—1800	1500—1800	1500—1800	1500—1800	—	—	—
III ჯგუფის საამქროს უფროსი	1400—1600	1400—1600	1400—1600	1400—1600	1400—1600	—	—
IV ჯგუფის საამქროს უფროსი	1300—1500	1300—1500	1300—1500	1300—1500	1300—1500	1300—1500	—
I ჯგუფის უბნის უფროსი	1300—1600	1300—1600	1300—1600	1300—1600	—	—	—
II ჯგუფის უბნის უფროსი	1200—1400	1200—1400	1200—1400	1200—1400	—	—	—
მექანიკოსი და ენერგეტიკოსი							
I ჯგუფის საამქროსი	1300—1600	1300—1600	1300—1600	—	—	—	—
II ჯგუფის საამქროსი	1200—1400	1200—1400	1200—1400	1200—1400	—	—	—
III ჯგუფის საამქროსი	1100—1300	1100—1300	1100—1300	1100—1300	1100—1300	—	—
უფროსი ოსტატი, უფროსი საკონტროლო ოსტატი:							
I ჯგუფის უბნისა	1250—1450	1250—1450	1250—1450	1250—1450	1250—1400	—	—
II ჯგუფის უბნისა	1150—1300	1150—1300	1150—1300	1150—1300	1150—1300	1150—1300	—
III ჯგუფის უბნისა	1000—1200	1000—1200	1000—1200	1000—1200	1000—1200	1000—1200	—
ოსტატი, საკონტროლო ოსტატი:							
I ჯგუფის უბნისა	1150—1250	1150—1250	1150—1250	1150—1250	1150—1250	1150—1250	—
II ჯგუფის უბნისა	1000—1150	1000—1150	1000—1150	1000—1150	1000—1150	1000—1150	—
III ჯგუფის უბნისა	900—1000	900—1000	900—1000	900—1000	900—1000	900—1000	900—1000

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენიშვნები:

1. თანამდებობრივი განაკვეთები მოადგილეებს დაუწესდებათ შესაბამისი სტრუქტურული ქვეგანაყოფების ხელმძღვანელთა თანამდებობრივი განაკვეთების 10—20 პროცენტით ნაკლები, ხოლო დირექტორის თანაშემწეებს — დირექტორის თანამდებობრივი განაკვეთის 30 პროცენტით ნაკლები.

2. ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, რომლებიც დასაქმებული არიან უშუალოდ ცხელ სამუშაოებზე და შრომის მავნე პირობებიან სამუშაოებზე, თანამდებობრივი განაკვეთები გაუდიდდებათ 10 პროცენტით, ხოლო რომლებიც დასაქმებული არიან შრომის განსაკუთრებით მავნე პირობებიან სამუშაოებზე—15 პროცენტით.

3. ცვლების უფროსებსა და საცდელი სადგურების უფროსებს თანამდებობრივი განაკვეთები დაუწესდებათ უბნის უფროსთა განაკვეთების დონეზე.

4. თანამდებობრივი განაკვეთები დაუწესდებათ სამხედრო ხომალდების უფროს მშენებლებს II ჯგუფის საამქროთა უფროსების თანამდებობრივი განაკვეთების დონეზე, სამოქალაქო ხომალდებისა და გემების უფროს მშენებლებს—III ჯგუფის საამქროთა უფროსების თანამდებობრივი განაკვეთების დონეზე. თანამდებობრივი განაკვეთები დაუწესდებათ სამხედრო ხომალდების მშენებლებს I ჯგუფის უბნების უფროს ოსტატთა თანამდებობრივი განაკვეთების დონეზე, სამოქალაქო ხომალდებისა და გემების მშენებლებს—II ჯგუფის უბნების უფროს ოსტატთა თანამდებობრივი განაკვეთების დონეზე.

5. თანამდებობრივი განაკვეთები დაუწესდებათ ოსტატთა თანაშემწეებს შესაბამისი უბნების ოსტატთა თანამდებობრივი განაკვეთების 15—25 პროცენტით ნაკლები, ხოლო ხომალდებისა და გემების მშენებელთა თანაშემწეებს—ხომალდებისა და გემების მშენებელთა თანამდებობრივი განაკვეთების 15—25 პროცენტით ნაკლები.

6. თანამდებობრივი განაკვეთები დაუწესდებათ ჯგუფების ხელმძღვანელებს მთავარი კონსტრუქტორის განყოფილებათა საკონსტრუქტორო ბიუროებში, ინდივიდუალური წარმოების განსაკუთრებით რთული და რთული პროდუქციის დამამზადებელი I და II ჯგუფის საწარმოებისა თვეში 1400—1800 მანეთის ოდენობით.

7. ისეთი თანამდებობის მუშაკებს, რომლებიც ამ სქემით არ არიან გათვალისწინებული, თანამდებობრივ განაკვეთებს დაუწესებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო მეურნეობის საბჭოები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით იმ თანამდებობრივი განაკვეთების შესაბამისად, რომლებიც დაწესებულია ამ სქემით ანალოგიური თანამდებობებისათვის.

8. ეს სქემა არ ვრცელდება მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის იმ საწარმოების საკონსტრუქტორო ბიუროების (მათ შორის სპეციალური და განსაკუთრებული) მუშაკებზე რომლებისთვისაც სსრ კავშირის მთავრობის სპეციალური დადგენილებებით დაწესებულია უფრო მაღალი თანამდებობრივი განაკვეთები ამ სქემით გათვალისწინებულ განაკვეთებთან შედარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 9 აპრილის
№ 377 დადგენილების დანართი № 3

თანამდებობრივი განაკვეთები

მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა მოსამსახურეებისა და უმცროსი მომსახურე პერსონალისა

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები (მანეთობით)
მოსამსახურეები	
უფროსი ბუღალტერი, უფროსი საქონელმცოდნე, იურისკონსულტი, ცენტრალური საწყობის გამგე, უფროსი ინსპექტორი	800—1050
ბუღალტერი, საქონელმცოდნე, თარჯიმანი, ინსპექტორი, უფროსი მოლარე, უფროსი ინკასატორი, მშიფრავი, სამხაზველო—პირის გადასაღები ბიუროს გამგე, არქივის გამგე, ფოტოლაბორატორიის გამგე, საწყობის გამგე, მეურნეობის გამგე, ქარხნის კახცელარიის გამგე, პირადი შემადგენლობის მაგიდის გამგე	700—850
მემანქანეთა ბიუროს გამგე (უფროსი მემანქანე), მინამბეჭდაობის გამგე, უფროსი მოანგარიშე, უფროსი სტატისტიკოსი, მდივანი-სტენოგრაფისტი, ქრონომეტრაჟისტი, აგენტი, მოლარე, ინკასატორი	600—750
უფროსი მეტაბელე, მემაქანე, მდივანი-მემანქანე, მოანგარიშე, სტატისტიკოსი, საქმისმწარმოებელი, არქივარიუსი, კომპტომეტრისტი, მხაზველი, ფოტოგრაფი, მეკუპნავე, აღმრიცხველი, სადისპეტჩერო სამსახურის ოპერატორი . . .	550—650
მეტაბელე, განმწესებელი, მეროტატორე, შუქგადამღები, მინამბეჭდავი, პირის გადამღები, ექსპედიტორი	500—600
I თანრიგის ტელეფონისტი	550
II თანრიგის ტელეფონისტი	500

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები (მანეთობით)
უმცროსი მომსახურე პერსონალი	
მეეზოვე, ეზოს დამლაგებელი, მეეტლე, მეჯინიბე, საყოფაცხოვრებო სათბობი ღუმელების მეცეცხლური, მეგარდერობე, მეაბანოე, დამსუფთავებლები: საქარხნო აბანოებისა, საშხაპოებისა, სანკვანძებისა, კანტორებისა, მექვაბე.	400, 425, 450
სამგზავრო ლიფტების მელიფტე, შვეიცარი, ვახტიორი, დარაჯი, დამტარებელი, შიკრიკი, მესატურატორე	400

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი:

1. თანამდებობრივი განაკვეთები მოსამსახურეებსა და უმცროს მომსახურე პერსონალს, რომლებიც დასაქმებული არიან უშუალოდ ცხელ სამუშაოებსა და შრომის მავნე პირობებიან სამუშაოებზე, გაუდიდდებათ 10 პროცენტით.

2. თანამდებობრივი განაკვეთები საამქროთა ბუღალტერიების გამგეებს და სექტორების (ბიუროებისა უფროსებს ცენტრალური საქარხნო ბუღალტერიის შემადგენლობაში I, II, III და IV ჯგუფების საწარმოებში დაუწესდებათ 1100—1200 მანეთის ოდენობით თვეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 9 აპრილის
№ 377 დადგენილების დანართი № 4

თანამდებობრივი განაკვეთები

შრომითი რეზერვების იმ სკოლებისა და სასწავლებლების საწარმოო სწავლების ოსტატებისა, უფროსი ოსტატებისა, დირექტორებისა და მათი მოადგილეებისა სასწავლო-საწარმოო ნაწილში, რომლებიც ამზადებენ მუშებს მანქანათმშენებლობისა და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებისათვის

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები (მანეთობით)
საწარმოო სწავლების ოსტატი	1000—1150
უფროსი ოსტატი, როცა მოსწავლეთა რიცხვი არის:	
250 კაცამდე	1100—1300
251-დან 500 კაცამდე	1200—1350
500 კაცზე მეტი	1300—1400
სკოლის ან სასწავლებლის დირექტორი, როცა მოსწავლეთა რიცხვი არის:	
250 კაცამდე	1400—1500
251-დან 500 კაცამდე	1500—1600
500 კაცზე მეტი	1600—1700
დირექტორის მოადგილე სასწავლო-საწარმოო ნაწილში, როცა მოსწავლეთა რიცხვი არის:	
250 კაცამდე	1300—1400
251-დან 500 კაცამდე	1400—1500
500 კაცზე მეტი	1500—1600

შენიშვნა: თანამდებობრივი განაკვეთები ყრუთა და ყრუმუნჯთა რიცხვიდან მუშების მოსამზადებელი სკოლების, სასწავლებლებისა და სასწავლო ჯგუფების საწარმოო სწავლების ოსტატებს, უფროს ოსტატებს გაუდიდდებათ 15 პროცენტით, ხოლო თანამდებობრივი განაკვეთები სპეციალური სახელოსნო, სპეციალურის პროფესიულ-ტექნიკური, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების და № 18 სახელოსნოს სასწავლებლის (ქ. კასლი) საწარმოო სწავლების ოსტატებს და უფროს ოსტატებს—10 პროცენტით.

49 საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში თვითმომსახურების გაფართოების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების და ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის გაუმჯობესების ამოცანების წარმატებით გადაჭრის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების, სასწავლებლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა თვითმომსახურებას, როგორც შრომითი აღზრდის დაწყებითს სტადიას.

მოსწავლეთა თვითმომსახურება ხელს უწყობს ფიზიკური შრომის ჩვევების გამომუშავებას, უვითარებს მათ ინიციატივასა და დამოუკიდებლობას, აჩვევს დისციპლინიანობას, ამაღლებს მოწაფეთა და სტუდენტთა კოლექტივების პასუხისმგებლობას სადგომებისა და ეზოების სანიტარული მდგომარეობისათვის, სახელმწიფო ქონებისადმი მზრუნველობითი დამოკიდებულებისათვის და დადებითს გავლენას ახდენს მოსწავლეთა ყოფაქცევის კულტურაზე.

ამასთან დაკავშირებით, ყურადღებისა და ყოველგვარი მხარდაჭერის ღირსია მთელი რიგი სკოლების (ქ. თბილისის 88, 77 და სხვა სკოლები), რესპუბლიკის საბავშვო სახლების (ოჯრის მეხუთე საბავშვო სახლი, ლენინგორის საბავშვო სახლი), შრომითი რეზერვების სასწავლებლების, უმაღლესი სასწავლებლების (ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი) ინიციატივა, რათა ჩააბან მოსწავლეები თვითმომსახურებაში წესრიგის დასაცავად სასწავლებლებში, სახელოსნოებში, საერთო საცხოვრებლებსა და სასადილოებში.

მაგრამ ეს მუშაობა ჯერჯერობით ძალიან მცირე მასშტაბით ტარდება და მისმა ორგანიზაციამ პედაგოგიური მხრივ ჯერ კიდევ ვერ მოიპოვა გარკვეული სისტემა, ზოგიერთ მოსწავლესა და სტუდენტს შორის განვითარებულია სხვისი მოიმედეობის განწყობილება და ფიზიკური შრომისადმი უპატივცემულობა.

მოსწავლე ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით და შესაბამისად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 ივნისის № 603 დადგენილებისა „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, სუვოროვის სასწავ-
ლებლებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში
თვითმომსახურების გაფართოების შესახებ", საქართველოს კპ ცენ-
ტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მოწონებულ იქნას მთელი რიგი სკოლების, საბავშვო სახლე-
ბის, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების ინიცია-
ტივა საერთო საცხოვრებლებში, სასადილოებში, სასწავლო და სხვა
სადგომებში თვითმომსახურების მოწყობისა და ამასთან დაკავშირე-
ბით მომსახურე პერსონალის შემცირების შესახებ.

2. სკოლებში, სხვა სასწავლებლებსა და საბავშვო სახლებში
თვითმომსახურება ჩატარდეს ბავშვებისა და ახალგაზრდობის ასაკის
სქესის, ფიზიკური შესაძლებლობის, ჰიგიენისა და ჯანმრთელობის
დაცვის ნორმებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით.

მოსწავლეებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ კლასების დალა-
გებაში, დარგონ და გამოზარდონ ხეები და ყვავილები, თვალყური
ადევნონ სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოებისა და წიგნების მოვ-
ლა-პატრონობას, იმორიგეონ სკოლაში, ბუფეტებსა და სასადილოებ-
ში, თვალყური ადევნონ სკოლის ეზოებისა და სპორტული მოედნე-
ბის სისუფთავესა და კეთილმოწყობას, შეაკეთონ სასწავლო-თვალ-
საჩინო ხელსაწყოები, აკინძონ წიგნები და შეძლებისდაგვარად მიი-
ღონ მონაწილეობა ავეჯისა და სკოლის შენობების შეკეთებაში, სა-
ერთო საცხოვრებლებში მცხოვრებმა ალსაზრდელებმა უნდა დაალა-
გონ დასაძინებელი ოთახები, მონაწილეობა მიიღონ სასადილოში
საჭმლის მომზადებასა და დარიგებაში, შეიკეთონ ტანსაცმელი, გაი-
რეცხონ თავიანთი წვრილმანი ნივთები. გარდა ამისა, მოსწავლეებმა
თავიანთი ძალებით უნდა უზრუნველყონ სისუფთავე და წესრიგი
სასკოლო სახელოსნოებში.

უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები ფართოდ უნდა იქნან
მოზიდული უმცროსი მომსახურე პერსონალის მოვალეობის შესას-
რულებლად ლაბორატორიებში, კლინიკებში, სასწავლო კაბინეტებში,
სახელოსნოებში. მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ სასოფლო-სამე-
ურნეო და სატყეო სასწავლო მეურნეობების მომსახურებაში, საერ-
თო საცხოვრებლების საცხოვრებელი ოთახების, სამეცადინეო და
დასასვენებელი სადგომების, კლუბების, სპორტული მოედნებისა და
ფიზკულტურული დარბაზების სუფთად შენახვაში, აგრეთვე უნდა
შეასრულონ თვითმომსახურების სამუშაოები სასადილოებსა და ბუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეტებში, იმორიგეონ ყველა სასწავლო შენობებსა და საერთო ადგილ-ცხოვრებლებში.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, შრომითი რეზერვების რესპუბლიკურ სამმართველოს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც სასწავლებლები აქვთ, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად, ორი თვის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ თვითმომსახურების ხაზით შრომის ორგანიზაციის წესი მეცადინეობათა ცვლადობის, მოსწავლეთა ასაკისა და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

4. დაევალოთ საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთა გამგებლობაშიც იმყოფებიან სასწავლებლები, თვითმომსახურების გაფართოებასთან დაკავშირებით:

ა) ფართოდ გაშალონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსწავლეთა და მშობელთა შორის;

ბ) მოიზიდონ მშობლები, რათა მათი დახმარებით მოეწყოს მოსწავლეთა თვითმომსახურება, კერძოდ მორიგეობა ბუფეტებსა და სასადილოებში, სკოლის შენობების შეკეთება, ავეჯის შეკეთება და დამზადება და ა. შ. იმ ანგარიშით, რომ მშობლებმა არ შეასრულონ სამუშაო მოსწავლეთა მაგივრად;

გ) ფართოდ მოიზიდონ მასწავლებლები და აღმზრდელები, რათა მოეწყოს მოსწავლეთა შრომა თვითმომსახურების წესით. სკოლებში თვითმომსახურება და ამ სახის შრომისათვის მოსწავლეთა მომზადება შეახამონ მეოჯახეობის გაკვეთილებთან და მეცადინეობასთან სასკოლო სახელოსნოებში, სასწავლო-საცდელ ნაკვეთებზე, დამხმარე მეურნეობებში და ა. შ.;

დ) ერთი თვის ვადაში შეავსონ „წესები მოსწავლეებისათვის" ისეთი დებულებებით, რომლებიც თვითმომსახურებას შეეხება;

ე) მოაწყონ საჭირო სამეურნეო ინვენტარის დამზადება მოსწავლეთა ძალებით სასწავლებლების სახელოსნოებში.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სამინისტროებისა და უწყებების განაცხადების საფუძველზე, მიიღოს ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნან, 1959 წლის 1 სექტემბრიდან დაწყებული, სკოლები, სკოლა-ინტერნატები, საბავშვო სახლები, სასწავლებლები, ტექნიკუმები და უმაღლესი სასწავლებლები საჭირო ინვენტარით და საადგომებისა და ეზოების დასასუფთავებელი მანქანებით, რომლებიც აადვილებენ მუშაობას თვითმომსახურების ხაზით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საბინისტროებთან და უწყებებთან ერთად, რომლებსაც სასწავლებლები აქვთ, გადასინჯოს სკოლების, საბავშვო სახლების, სასწავლებლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მომსახურე პერსონალის ტიპობრივი შტატები და ხელფასის ფონდები მათი შემცირების მხრივ, ამასთან გაითვალისწინოს მოსწავლეთა და სტუდენტთა თვითმომსახურების გაფართოება და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

7. ნება დაერთოთ 1959 წელს სკოლების, სხვა სასწავლებლების და საბავშვო სახლების დირექტორებს გამოიყენონ ხელფასის ფონდის იმ ეკონომიის 70%, რაც თვითმომსახურების შემოღებასთან დაკავშირებით შეიქმნება, საყოფაცხოვრებო მანქანებისა და მექანიზმების, სამეურნეო ინვენტარისა და თვითმომსახურების ჩასატარებლად საჭირო სპეცტანსაცმლის შესაძენად, აგრეთვე საბავშვო სახლებსა და სასწავლებლებში საყოფაცხოვრებო პირობების და კულტურულ-მასობრივი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

8. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს ყოველნაირად დაუჭირონ მხარი და გაავრცელონ მოსწავლეთა თვითმომსახურების ორგანიზაციის ძვირფასი გამოცდილება და საჭირო დახმარება აღმოუჩინონ სკოლების, საბავშვო სახლების, სასწავლებლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივებს ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
პ. კოვანოვი.	**ბ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 16 ივლისი. № 597.

ეროვნული ბიბლიოთეკა

50 ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოების მუშაკთა შვიდ და ექვსსაათიან სამუშაო დღეზე გადაყვანის და მათი ხელფასის მოწესრიგების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 ივნისის № 600 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. განხორციელდეს 1959 წლის 1 ოქტომბრიდან 1960 წლის 1 აპრილამდე შვიდ და ექვსსაათიან სამუშაოზე გადაყვანა ნავთობისა და გაზის მრეწველობის იმ მუშაკებისა, რომლებიც დასაქმებული არიან ნავთობის ჭაბურღილების ბურღვის, ნავთობის მოპოვების, ნავთობის გადამუშავების, ხელოვნური თხევადი სათბობის, ნავთობის ზეთებისა და საცხების გაზის დამამზადებელ საწარმოებში, საწარმოო სასაქონლო კანტორებში, მაგისტრალურ ნავთობპროდუქტსადენებში, ჭაბურღილების, ნავთობ-გაზის მრეწველობის ტექნოლოგიური დანადგარებისა და მოწყობილობის კაპიტალურ რემონტზე, საავტომობილო ტრანსპორტზე და სატრაქტორო მეურნეობებში, რომლებიც შედიან მბურღავი ორგანიზაციებისა და ნავთობსარეწაო სამმართველოების შემადგენლობაში, აგრეთვე ნავთობისა და გაზის მრეწველობისათვის მუშათა მოსამზადებელი სკოლების, სასწავლებლების და სასწავლო კომბინატების მუშაკებისა, ნავთობის შახტების მუშებისა, რომლებიც დასაქმებული არიან სამთო გამონამუშევართა გათხრის მიწისქვეშა სამუშაოებზე და ნავთობის მოპოვების სანგრევებში — ექვსსაათიან სამუშაო დღეზე, დანარჩენი მუშაკებისა— შვიდსაათიან სამუშაო დღეზე. იმავდროულად მოწესრიგდეს აღნიშნული საწარმოების მუშაკთა ხელფასი.

2. შემცირებულ სამუშაო დღეზე გადაყვანა და ხელფასის მოწესრიგება მოხდეს სრული შესაბამისობით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 ივნისის № 600 დადგენილებისა „ნავთობის და გაზის მრეწველობის საწარმოების მუშაკთა შვიდ და ექვსსაათიან სამუშაო დღეზე გადაყვანისა და ხელფასის მოწესრიგების შესახებ“.

3. შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღების დროს გადიდდეს ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოთა მუშებისათვის გამომუშავების მოქმედი ნორმები საშუალოდ 18 პროცენტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალოთ სახალხო მეურნეობის საბჭოს და ადგილობრივ მეურნეობის სამინისტროს წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო ასლი—საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას ანგარიშები ჩატარებული მუშაობის შესახებ 1959 წლის 1 დეკემბრისათვის.

4. დაევალოთ პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ყოველგვარი დახმარება გაუწიონ საწარმოებსა და ორგანიზაციებს იმ მხრივ, რომ შეასრულონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოების მუშაკთა შვიდ და ექვსსაათიან სამუშაო დღეზე გადაყვანის და ხელფასის მოწესრიგების შესახებ“.

პარტიულმა ორგანიზაციებმა საწარმოების პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებთან და მშრომელთა ფართო აქტივთან ერთად უნდა ჩაატარონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა შორის, წარმოებისა და საბჭოთა ადამიანების ცხოვრების კონკრეტულ მაგალითებზე უჩვენონ იმ ღონისძიებათა სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა, რომლებიც ხორციელდება ხელფასის მოწესრიგებისა და სამუშაო დღის შემცირებისათვის.

5. დაევალოთ საქართველოს პროფსაბჭოს, პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებსა და პროფკავშირთა საქარხნო კომიტეტებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ წარმოების რეზერვების გამოვლინებასა და გამოყენებაში, ყოველნაირად განავითარონ და მხარი დაუჭირონ მუშათა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა შემოქმედებითს ინიციატივას ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოების საქმიანობის გაუმჯობესების, მოწინავე საწარმოო გამოცდილების შესწავლისა და გავრცელების საქმეში.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოების მუშაკთა სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირების და ხელფასის მოწესრიგების ღონისძიებების განხორციელება განუყრელად არის დაკავშირებული იმის აუცილებლობასთან, რომ შემდგომ დაჩქარდეს ნავთობისა და გაზის მრეწველობის განვითარება არსებული რეზერვების გამოყენების გაუმჯობესების, მოწინავე გამოცდილებისა და ახალი ტექნიკის მტკიცედ დანერგვის, დაგეგმვის გაუმჯობესების, აგერთვე წარმოებისადმი ორგანიზაციულ-ტექნიკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების გზით. იმ პრინციპად დაცვა, რომ მატერიალურად იქნან დაინტერესებული მუშაკები ნავთობისა და გაზის მოპოვების და ნავთობპროდუქტების წარმოების მუდმივი გადიდებით, შრომის ნაყოფიერების ზრდით, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებითა და მისი თვითღირებულების შემცირებით, უნდა წარმოადგენდეს სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური მზრუნველობის საგანს.

6. ოქმის წესით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **პ. კოვანოვი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 16 ივლისი, № 599

51 გარდამავალი წითელი დროშების მიკუთვნების იმ პირობებში ცვლილებათა შეტანის შესახებ, რომლებიც დაწესებულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგებისათვის

ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 მარტის № 165 და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 4 მაისის № 290 დადგენილებებისა ჩაის, ყურძნის, ხილის, თამბაქოს წარმოების, მეცხოველეობის, მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის დარგში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების მიკუთვნების პირობების დაწესების შესახებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. მეცხოველეობაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მიკუთვნება მოხდეს წელიწადში ორჯერ: წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით — აგვისტოში, ხოლო წლის შედეგების მიხედვით — შემდგომი წლის თებერვალში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესდეს ერთი გადამავალი წითელი დროშა ახალქალაქის, ბორჯომის, დანოვკის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ბორჯომის, სიღნაღის, წითელწყაროს, თელავის, ახმეტის, სამგორის, მცხეთის, მარნეულის, ბოლნისის, წალკის, დუშეთის, თეთრიწყაროს, საგარეჯოს, დმანისის, თიანეთის, ყაზბეგის, ლენინგორისა და ჯავის რაიონებისათვის მისაკუთვნებლად; მეორე გარდამავალი წითელი დროშა—საქართველოს სსრ დანარჩენი რაიონებისათვის, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ რაიონებისათვის და ზნაურისა და სტალინირის რაიონებისათვის მისაკუთვნებლად.

2. ძალაში დარჩეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება გარდამავალი წითელი დროშების დაწესების შესახებ: ჩაის დარგში—ორი წითელი დროშისა და თითო წითელი დროშისა—მევენახეობის, მეხილეობის, მეთამბაქოობის, მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის დარგში.

3. გაუქმდეს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონებისათვის ფულადი პრემიების მიცემა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 მარტის № 165 დადგენილებით დაწესებული გარდამავალი წითელი დროშის მიკუთვნებასთან დაკავშირებით.

4. დამტკიცდეს პირობები რაიონებისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების მიკუთვნებისა ჩაის, ყურძნის, ხილის, თამბაქოს წარმოებაში, მეცხოველეობაში, მეაბრეშუმეობასა და მეფუტკრეობაში საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევისათვის, დანართის თანახმად.

5. ცალკეული რაიონებისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების მისაკუთვნებლად, დამტკიცებული პირობების თანახმად, შეიქმნას კომისია (ჟიური) ამხ. მ. კუჭავას (მოწვევა), გ. ჩოგოვაძის, ო. გოცირიძის, შ. ჭანუყვაძის, გ. სეხნიაშვილის, მ. საბაშვილის, ე. შევარდნაძის, ს. კალანდაძის, დ. მჭედლიშვილის, ი. ჩხიკვიშვილის, ა. ბლრციანისა და ვ. მელქაძის შემადგენლობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიამ დროზე წარმოუდგინოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი რაიონებისათვის გარდამავალი წითელი დროშების მიკუთვნების შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
პ. კოვანოვი.	**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 25 ივლისი, № 624

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959
წლის 25 ივლისის № 624 დადგენილების
დანართი

პ ი რ ო ბ ე ბ ი

რომელთა მიხედვით რაიონებს მიენიჭებათ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები მიენიჭებათ იმ რაიონებს, სადაც კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიაღწიეს საუკეთესო მაჩვენებლებს ჩაის, ყურძნის, ხილისა და თამბაქოს წარმოების საქმეში, აგრეთვე მეცხოველეობის, მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის დარგებში.

გარდამავალი წითელი დროშები მიენიჭებათ რაიონებს აღნიშნული მაჩვენებლების მიღწევისათვის შემდეგ ვადებში:

მეჩაიეობაში

უმაღლესი მაჩვენებლები ჩაის ხარისხოვანი მწვანე ფოთლის მოსავლიანობის ზრდაში და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმის შესრულება ხარისხების მიხედვით; ჩაის პროდუქციის გეგმის შესრულება ასორტიმენტულად. ამასთან ერთად, მიღწეულ უნდა იქნას უმაღლესი მაჩვენებლები ჩაის პლანტაციების გაშენებისა (პროცენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტების მიხედვით) და არსებული პლანტაციების რემონტის მების შესრულებაში.

გარდამავალი წითელი დროშები მიენიჭება წელიწადში ორჯერ: ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით—ივლისის თვეში, ხოლო კრეფის წლიური შედეგების მიხედვით — დეკემბერში.

მევენახეობაში

უმაღლესი მაჩვენებლები ყურძნის მოსავლიანობისა საშუალოდ ერთ ჰექტარზე, ვენახების გაშენება ჯიშების მიხედვით და საძირე ვაზის სადედეების გაშენების გეგმის შესრულება, სტანდარტული ნამყენი ნერგის გამოსავლიანობა, სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმის შესრულება.

გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭება წლის მაჩვენებლების მიხედვით არა უგვიანეს მომდევნო წლის იანვრის თვისა.

მეხილეობაში

უმაღლესი მაჩვენებლები ხილის მოსავლიანობისა საშუალოდ ერთ ჰექტარზე, ბაღების გაშენებისა და სახელმწიფოსათვის ხილის მიყიდვის გეგმების შესრულება ხარისხის მიხედვით.

გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭება წლის მაჩვენებლების მიხედვით არა უგვიანეს მომდევნო წლის იანვრის თვისა.

მეთამბაქოობაში

სახელმწიფოსათვის თამბაქოს ნედლეულის მიყიდვის გეგმის შესრულების უმაღლესი მაჩვენებლები და მიყიდულ პროდუქციაში ხარისხიანი ნედლეულის მაღალი პროცენტული შეფარდება.

გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭება წლის მაჩვენებლების მიხედვით არა უგვიანეს მომდევნო წლის მარტის თვისა.

მეცხოველეობაში

უმაღლესი მაჩვენებლები ხორცის, რძისა და კვერცხის საერთო წარმოების გადიდების დარგში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდის მაჩვენებლების გათვალისწინებით; 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ამ პროდუქტების წარმოების უმაღლესი მაჩვენებლები; 100 ძროხაზე ყველაზე მაღალი დახბო�a-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებისა და ნამატის უკეთ შენარჩუნების მაჩვენებლები; სულადობის ყველაზე მაღალი ზრდა, სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხისა და მატყლის მიყიდვის გეგმის შესრულება, ჩაბარებული პირუტყვის შეხორცების უკეთესი მაჩვენებლები.

გარდამავალი წითელი დროშები მიენიჭება წელიწადში ორჯერ—წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით—აგვისტოში, ხოლო წლის შედეგების მიხედვით—მომდევნო წლის თებერვლის თვეში.

მეაბრეშუმეობაში

სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის ჩაბარების წლიური გეგმის შესრულების უმაღლესი მაჩვენებლები და მათ შორის პირველი გამოკვების პარკის მაღალი ხვედრითი წონის პირობებში; მიყიდულ პარკიდან პირველი ორი ხარისხის გეგმის შესრულება; თუთის ნარგავების გაშენების გეგმის შესრულება.

გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭება წელიწადში ერთხელ—არა უგვიანეს მომდევნო წლის იანვრის თვისა.

მეფუტკრეობაში

უმაღლესი მაჩვენებლები ფუტკრის ნამატის მიღებაში; ერთ ოჯახზე სასაქონლო თაფლის მეტი რაოდენობით მიღება და ფუტკრების ოჯახების ზამთრისათვის საკვებით უზრუნველყოფა.

გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭება წელიწადში ერთხელ—მომდევნო წლის იანვრის თვეში.

* *
*

რაიონებისათვის გარდამავალი წითელი დროშების მინიჭებისას გათვალისწინებულ იქნეს აგრეთვე რაიონის მიერ სახელმწიფოსათვის ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის დავალების შესრულება, გარდა მეფუტკრეობისა, რომელზედაც ეს პირობა არ ვრცელდება. მეფუტკრეობაში გარდამავალი წითელი დროშის მინიჭება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რაიონში ყველა კოლმეურნეობას ეყოლება ფუტკრის არა ნაკლები 50 ოჯახისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

52 სამკერდე ნიშნების დაწესებისა და დამზადების წესის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 20 დეკემბრის № 1375 და 1959 წლის 2 მარტის № 224 დადგენილებების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სამკერდე ნიშნებს დააწესებს, მათ შორის სოციალისტური შეჯიბრების წარჩინებულთათვის, აგრეთვე ამ ნიმუშებს, მათ დებულებას და ნიშნების ყოველწლიურ ტირაჟს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

სამკერდე ნიშნის დაწესების შესახებ წინადადებების წარმოდგენა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის შეუძლიათ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

სამკერდე ნიშნის დაწესების შესახებ წინადადების შემოტანის დროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარმოდგენილ უნდა იქნას საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებული ნიმუში ნიშნისა, დებულების პროექტი და დამზადების ნავარაუდევი ტირაჟი, შეთანხმებული საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან.

2. სამკერდე ნიშნების დამზადების ხარჯები გაწეული იქნება სახალხო მეურნეობის საბჭოს და სამინისტროს (უწყების) ცენტრალური აპარატის შენახვის ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვის ეკონომიიდან.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 1 ოქტომბრის № 1303 დადგენილება „სოციალისტური შეჯიბრების წარჩინებულთა სამკერდე ნიშნების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 6 მაისი, № 343

ეროვნული ბიბლიოთეკა

53 საქართველოს სსრ სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდის ექსპლუატაციის და მისი მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების ზომების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა გაწეული სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდის აღდგენისა და კაპიტალური რემონტისათვის, აგრეთვე ახალი საბინაო მშენებლობისათვის სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე.

მაგრამ სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდის ტექნიკური მდგომარეობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. 2.122 ათასი კვადრატული მეტრი კომუნალური საბინაო ფონდიდან ავარიულ მდგომარეობაშია 120 ათასი კვადრატული მეტრი და კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს 450 ათას კვადრატულ მეტრამდე; სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში ავარიულ მდგომარეობაშია 55 ათასი კვადრატული მეტრის საცხოვრებელი ფონდი და კაპიტალურ რემონტს საჭიროებს 25 პროცენტზე მეტი.

ასეთი მდგომარეობა იმით არის გამოწვეული, რომ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები, რომელთაც თავიანთ გამგებლობაში საცხოვრებელი სახლები აქვთ, ვერ უზრუნველყოფენ მათ სათანადო მოვლა-პატრონობას, არ იღებენ ზომებს სახლების სათანადო წესრიგში შენახვისა და მათი სწორი ტექნიკური ექსპლუატაციისათვის, რის შედეგადაც სახლები ნაადრევად ცვდება და ინგრევა.

სახლების მიმდინარე და კაპიტალური რემონტი ბევრ შემთხვევაში არათავის დროზე და უხარისხოდ ტარდება, რაც მშრომელთა მრავალ საჩივარს იწვევს.

საბინაო ფონდის შენახვისა და რემონტისათვის გამოყოფილი სახსრები და მასალები ყოველთვის როდია ეფექტიანად გამოყენებული, დაქსაქსულია მრავალრიცხოვან ობიექტებზე და მთელ რიგ შემთხვევებში დანიშნულებისამებრ არ არის გამოყენებული.

საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ბევრ შემთხვევაში დაბალი ხარისხისაა და დიდი დაგვიანებით დგება.

ბევრი სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაცია აღღვევს საცხოვრებელი სახლების რემონტის ვადებს, დაბალი ხარისხით ასრულებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებს, უყაირათოდ ეკონომიურ-ებისა და მოწყობილობის ხარჯვას, ცუდად აღრიცხავს და ხშირად ანიავებს შენობათა შესაკეთებელი კონსტრუქციების დაშლისაგან მიღებულ მასალებს.

მთელი რიგი ადგილობრივი საბჭოები და საწარმოთა საბინაო-კომუნალური ორგანოები ცუდად ხელმძღვანელობენ სახლმმართველობებისა და სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობას სუსტად იყენებენ მოსახლეობის ინიციატივას სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდის მართვა-გამგეობისა და მოვლა-პატრონობის საქმეში.

„სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდის ექსპლუატაციის და მისი მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 25 მარტის № 322 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს განახორციელონ 1959—1965 წლებში ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მათს გამგებლობაში არსებული საცხოვრებელი სახლების მოყვანა სათანადო ტექნიკურ მდგომარეობაში, გააუმჯობესონ მათი ექსპლუატაცია და კეთილმოწყობა.

2. დაწესდეს და შემოღებულ იქნას 1959 წლიდან ადგილობრივი საბჭოების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა და ორგანიზაციათა საცხოვრებელი სახლების სარემონტო ანარიცხების დროებითი ნორმები კაპიტალური რემონტისათვის: ქვიტკირის სახლებისა—სახლების აღდგენითი ღირებულების 1 პროცენტის რაოდენობით, ხის და შერეული სახლებისა—2 პროცენტის, თიხის და ბზის სახლებისა—5 პროცენტის, სხვა საკედლე მასალისაგან აშენებული სახლებისა—4 პროცენტის რაოდენობით და ყველა საცხოვრებელი სახლის მიმდინარე რემონტისათვის—ერთ პროცენტამდე რაოდენობით.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა ყოველწლიურად გაითვალისწინონ საბინაო მეურნეობის შემოსავალ-გასავლის ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლანსებით სახსრების გამოყოფა დაწესებული ნორმის ფარგლებში სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტისათვის და, ამის გარდა, საჭირო შემთხვევებში—დამატებითი ასიგნობების გამოყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრებიდან საცხოვრებელი ფონდის მოსაყვანად ისეთ მდგომარეობაში, რომელიც ტექნიკური ექსპლოატაციის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

3. ნება დაერთოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს აწარმოონ საცხოვრებელი სახლების რემონტის დროს სახლების კეთილმოწყობის გაუმჯობესების სამუშაოები, რომლებიც ჩამოთვლილია № 1 დანართში, კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილი სახსრების ხარჯზე.

4. შემოღებულ იქნას საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური და მიმდინარე რემონტისათვის და მისი კეთილმოწყობის გაუმჯობესებისათვის ძირითადი მასალების ხარჯვის დროებითი ნორმები, № 2 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ყოველწლიურად გაითვალისწინოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებით საცხოვრებელი ფონდის კაპიტალურ და მიმდინარე რემონტის სამუშაოთა უზრუნველყოფა მასალებით, დამტკიცებული დროებითი ნორმების თანახმად.

5. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს:

ა) ერთი თვის ვადაში განიხილონ მათს გამგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფონდის მდგომარეობის საკითხი, შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საცხოვრებელი სახლების მოვლა-პატრონობასა და ხანგრძლივობას, საცხოვრებელი ფონდის ექსპლუატაციის ხარისხის ამაღლებას, მცხოვრები მოსახლეობისათვის პირობების გაუმჯობესებას, საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტის ღირებულების დაკლებას, მისი წარმოების ვადების შემცირებას და სარემონტო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ოთხი თვის ვადაში ჩაატაროს ავარიული საცხოვრებელი სახლების, ძველი საბარაკო ფონდის და ასაღები სახლების, აგრეთვე მობინადრეებით დასახლებული სასარდაფო სადგომების აღრიცხვა და შეიმუშაონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მობინადრეების გადასახლებას 2—3 წლის განმავლობაში სხვა ფართობზე.

აღრიცხვის შედეგები წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს, რომლებმაც ამით უნდა იხელმძღვანელონ ახალ საბინაო მშენებლობაში კაპიტალდაბანდებათა დაგეგმვის დროს;

გ) შექმნან საჭირო სამანევრო ფონდი კაპიტალურად შესაკეთებელი და აღსადგენი სახლებიდან მობინადრეთა დროებით გადასასახლებლად;

დ) საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტის დროს უზრუნველყონ ძველი ლიფონის სახურავების მაქსიმალურად შეცვლა შიფერისაგან ან სხვა მასალებისაგან დამზადებული სახურავით.

მაქსიმალურად მიმართონ იმ მასალებისა და მოწყობილობის განმეორებით გამოყენებას, რომლებიც მიღებული იქნება შენობებისა და ცალკეული კონსტრუქციების დაშლის დროს;

ე) არ დაუშვან კაპიტალური რემონტიდან ისეთი სახლების მიღება-ჩაბარება, რომლებსაც აქვთ დეფექტები და რომელთა სარემონტო სამუშაოების ხარისხი დაბალია. მიმღებ კომისიებში სამუშაოდ მოიწვიონ შეკეთებულ სახლებში მცხოვრები მოქალაქენი;

ვ) სათანადო კონტროლი გაუწიონ იმ სახსრების ხარჯვას, რომლებიც გამოყოფილია სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდის რემონტისა და მისი კეთილმოწყობის გაუმჯობესებისათვის.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს 1959 წლის 1 სექტემბრისათვის შეიმუშაოს და საქართველოს სსრ სახმშენთან შეთანხმებით წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად საცხოვრებელი ფონდის ტექნიკური ექსპლუატაციის წესები და ნორმები, სარემონტო სამუშაოთა წარმოების ტექნიკური პირობები და ინსტრუქცია საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესახებ.

7. აიკრძალოს 1960 წლიდან საცხოვრებელი სახლებისა და საერთო საცხოვრებლების მშენებლობა იმ სახსრებით, რომლებიც გამოყოფილია საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1960 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 6 მარტის № 264 განკარგულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 9 მაისი, № 347

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 9 მაისის № 347
დადგენილების დანართი № 1

ნ უ ს ხ ა

საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობის გაუმჯობესების სამუშაოებისა, რაც შეიძლება შესრულებულ იქნას სახლების რემონტის დროს საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯზე

1. სადგომების შინაგანი ხელახლა დაგეგმვა, ახალი სანიტარული კვანძების მოწყობით.

2. დამხმარე სადგომების გადაკეთება საცხოვრებელ სადგომებად.

3. შენობათა გაცვეთილი კონსტრუქციების შეცვლა ახალი კონსტრუქციებით, უფრო მკვრივი და ხანგრძლივი მასალების გამოყენებით, გარდა კედლების შეცვლისა სხვა მასალებისაგან დამზადებული კედლებით.

4. ღუმელის გათბობის შეცვლა ცენტრალური გათბობით, საქვაბეების მოწყობით და ღუმელების გადაკეთებით მათში გაზისა და ქვანახშირის საწვავად.

5. საქვაბეების, სალიფტე მეურნეობისა და ელექტროგანათების ავტომატიზაცია.

6. სახლების შეერთება წყალსადენის და საკანალიზაციო ქსელთან და სახლების სათანადო შინაგანი მოწყობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. გაზსადენებისა და წყალსატუმბოების მოწყობა.

8. ახალი ლიფტების მოწყობა 5 სართულზე მეტი სიმაღლის სახლებში და უმოქმედო ლიფტების აღდგენა.

9. დამატებითი საგაზო აპარატურის მოწყობა ბინებში და ცალკეული ბინების გაზიფიკაცია.

10. შინაგანი ელექტროგანათების მოწყობა სახლებში და მისი გადაყვანა გადიდებულ ძაბვაზე.

11. დამხმარე სადგომების (გარეგანი ტამბურები, შეშის ფარდულები, ეზოს ზღუდეები და ა. შ.) მოწყობა.

12. ეზოების ტერიტორიის კეთილმოწყობა (მოკირწყვლა, მოასფალტება და გამწვანება) და სტაციონარული თოვლსადნობების მოწყობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაძაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 9 მაისის № 347
დადგენილების დანართი № 1

დროებითი ნორმები

ძირითადი მასალების ხარჯვისა საქართველოს სსრ სახელმწიფო საბინაო ფონდის კაპიტალური, მიმდინარე რემონტისათვის და კეთილმოწყობის გასაუმჯობესებლად (გაანგარიშებით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ერთი მილიონი მანეთის მოცულობაზე

მასალების დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა
შავი ლითონის ნაგლინი	ტონა	13,5
სამშენებლო ლურსმანი	„	2,0
ხე-ტყის მასალა (მრგვალ ხე-ტყეზე გადაანგარიშებით)	კუბ. მ	700,0
ცემენტი	ტონა	45,0
სახურავი შიფერი	ათასი პირობითი ფილა	20,0
ფანჯრის მინა	კვ. მ	900,0
რბილი სახურავი	ათასი კვ. მ	5,4
სათბობი ქვაბები	კვ. მ	7,0
რადიატორები	„	70,0
გაზის მილები	ტონა	2,0
ზეთოვანი საღებავები გაქნილი	„	1,0
ოლიფა-ოქსოლი	„	1,0
დასაყენებელი სადენი ალუმინის ძარღვი	კმ	2,0
გასანათებელი ზონარი	„	2,5
აბაზანა	ცალი	3,0

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჰირაძაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

54 საქართველოს სს რესპუბლიკაში პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის გარდაქმნის ღონისძიებათა შესახებ (ამონაკრები)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს შრომითი რეზერვების საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოს:

ა) გადააკეთოს 1959—1963 წლების განმავლობაში შრომითი რეზერვების სახელოსნო, სპეციალური სახელოსნო, სარკინიგზო, სამშენებლო სასწავლებლების, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლების, სამთამადნო მრეწველობის სკოლების, ტექნიკური და პროფტექნიკური სასწავლებლების არსებული ქსელი დღისა და საღამოს საქალაქო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებად ერთიდან სამ წლამდე სწავლების ვადით და სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებად სწავლების ერთი-ორი წლის ვადით, № 1 დანართის თანახმად;

ბ) მოაწყოს 1960—1961 წლების განმავლობაში პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან 5 საღამოს განყოფილება, № 2 დანართის თანახმად;

გ) სასწავლო გეგმებით, პროგრამებითა და მეთოდური სახელმძღვანელოებით უზრუნველყოს ის საწარმოები, რომლებიც ამზადებენ მუშებს ინდივიდუალურ-ბრიგადული და კურსობრივი სწავლების გზით, აგრეთვე ახორციელებენ მუშათა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, შრომითი რეზერვების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოსთან შეთანხმებით, გადააკეთოს 1959—1960 წლების განმავლობაში სახალხო მეურნეობის საბჭოს საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები და სხვა პროფესიული სასწავლებლები დღისა და საღამოს საქალაქო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებად № 3 დანართის თანახმად და გადასცეს ისინი შრომითი რეზერვების საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოს.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს უზრუნველყონ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები საწარმოო მოწყობილობით, მასალებით, ინსტრუმენტებით და შეკვეთებით სასწავლო სახელოსნოებისათვის, ხელფასიანი სამუშაო ადგილებით საწარმოებში მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკისათვის, აგრეთვე შექმნან პირობები სასწავლო პრო-

ცესის წარმატებით ჩატარებისა და იმისათვის, რომ ახალგაზრდობამ ეითვისოს ახალი ტექნიკა, მოწინავე ტექნოლოგია და შრომის ახალი ნაყოფიერი წესები.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და გურჯაანის, გორის, ყვარლისა და ხაშურის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს წარმოადგინონ წინადადებანი იმის შესახებ, რომ გამოეყოთ სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის მექანიზატორებს ამზადებენ, სასწავლო მეურნეობებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთები 80—100 ჰექტარი ფართობით.

5. დაევალოს შრომითი რეზერვების რესპუბლიკურ სამმართველოს, სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, მშენებლობის სამინისტროსთან, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსთან, ტრესტ „ზაკტრანსსტროისთან" და მთავართბილმშენთან ერთად, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ნაწილობრივ თვითანაზღაურებაზე თანდათანობით გადაყვანის მიზნით, შეიმუშაოს და თანმიმდევრულად განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებისა და სასწავლო მეურნეობების საწარმოო საქმიანობის გაფართოებას და მათი შემოსავლიანობის ამაღლებას.

შემუშავებულ ღონისძიებათა შესახებ მოხსენდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს არა უგვიანეს 1959 წლის 25 მაისისა.

6. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს უზრუნველყოს 1960 წელს სახელმძღვანელოებისა და სასწავლო წიგნების გამოცემა ქართულ ენაზე შრომითი რეზერვების სასწავლებლებისათვის არა ნაკლებ 5 სახელწოდებისა 100 დაბეჭდილი ფურცლის მოცულობით შრომითი რეზერვების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს განაცხადით, აგრეთვე გააფართოოს სასწავლო-ტექნიკური და სამეცნიერო-პოპულარული კინოფილმების წარმოება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 9 მაისი, № 349

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 9 მაისის №
დადგენილების დანართი № 1

ს ი ა

საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს სასწავლებლებისა, რომელთა რეორგანიზაცია მოხდება 1960 წელს

სამშენებლო სასწავლებელი № 12 ქ. ფოთში
სამშენებლო სასწავლებელი № 16 ქ. რუსთავში
სამშენებლო სასწავლებელი № 17 ქ. რუსთავში
სამშენებლო სასწავლებელი № 18 ქ. თბილისში
სამშენებლო სასწავლებელი № 19 ქ. ტყიბულში
სამშენებლო სასწავლებელი № 20 ქ. ჭიათურაში
სამთამადნო მრეწველობის სკოლა № 2 ქ. ტყვარჩელში
სამთამადნო მრეწველობის სკოლა № 3 ქ. ტყიბულში
სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებელი № 9 ქ. წულუკიძეში
სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებელი № 10 გარდაბანში
სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებელი № 13 გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში
სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებელი № 14 სურამში
სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებელი № 15 გორის რაიონის სოფელ ხიდისთავში

1961 წელს

სპეციალური საწარმოო-ტექნიკური სასწავლებელი № 5 ქ. თბილისში
სამხატვრო სახელოსნო სასწავლებელი № 11 ქ. თბილისში
სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებელი № 2 ყვარლის რაიონის სოფელ ენისელში
სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებელი № 7 ქ. ბორჯომში

ეროვნული ბიბლიოთეკა

1962 წელს

სპეციალური სახელოსნო სასწავლებელი № 1 ქ. ბათუმში
სახელოსნო სასწავლებელი № 3 ქ. რუსთავში
სახელოსნო სასწავლებელი № 4 ქ. ქუთაისში
სახელოსნო სასწავლებელი № 6 ქ. თბილისში
სახელოსნო სასწავლებელი № 8 ქ. წულუკიძეში
რკინიგზის სასწავლებელი № 1 ქ. თბილისში
რკინიგზის სასწავლებელი № 2 ქ. თბილისში

1963 წელს

ტექნიკური სასწავლებელი № 1 ქ. თბილისში
ტექნიკური სასწავლებელი № 2 ქ. ქუთაისში
ტექნიკური სასწავლებელი № 3 ქ. ქუთაისში
ტექნიკური სასწავლებელი № 4 ქ. თბილისში
პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი № 1 სურამში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაძაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 9 მაისის № 349
დადგენილების დანართი № 2

ს ი ა

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა, რომლებთანაც ეწყობა საღამოს განყოფილებები

სასწავლებლები	ბ ა ზ ე ბ ი	მოწყობის თარიღი
1. სახელოსნო სასწავლებელი № 6, ქ. თბილისში	ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა	1960
2. რკინიგზის სასწავლებელი № 1, ქ. თბილისში	ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო	1961
3. ტექნიკური სასწავლებელი № 1, ქ. თბილისში	ქარხანა, საფოსტო ყუთი 51	1961
4. სახელოსნო სასწავლებელი № 4, ქ. ქუთაისში	ს. ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხანა	1960
5. სახელოსნო სასწავლებელი № 3, ქ. რუსთავში	სტალინის სახ. ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა	1960

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჰირაძაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 9 მაისის № 349
დადგენილების დანართი № 3

ს ი ა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამინისტროებისა და უწყებების საფაბრიკო-საქარხნო მოწაფეობის სკოლებისა და სხვა პროფესიული სასწავლებლებისა, რომელთა რეორგანიზაცია მოხდება

1959 წელს

აბრეშუმკომბინატის საფაბრიკო-საქარხნო მოწაფეობის სკოლა ქ. თბილისი

აბრეშუმკომბინატის საფაბრიკო-საქარხნო მოწაფეობის სკოლა, ქ. ქუთაისი

სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის სკოლა, ქ. თბილისი

კამვოლ-მაუდის კომბინატის საფაბრიკო-საქარხნო მოწაფეობის სკოლა, ქ. თბილისი

ბამბეულის კომბინატის საფაბრიკო-საქარხნო მოწაფეობის სკოლა, ქ. გორი

მკერავთა პროფესიულ-ტექნიკური სკოლა, ქ. თბილისი

1960 წელს

№ 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის საფაბრიკო-საქარხნო მოწაფეობის სკოლა, ქ. თბილისი

№ 7 სამკერვალო ფაბრიკის საფაბრიკო-საქარხნო მოწაფეობის სკოლა ქ. თბილისი

სამკერვალო ფაბრიკის საფაბრიკო-საქარხნო მოწაფეობის სკოლა, ქ. ქუთაისი

სამკერვალო ფაბრიკის საფაბრიკო-საქარხნო მოწაფეობის სკოლა, ქ. ბათუმი

ტრესტ საქართველოს ჩაის საფაბრიკო-საქარხნო მოწაფეობის სკოლა, ქ. სამტრედია

ტრესტ საქხორცმრეწვის ყველისა და ხორცის მრეწველობის ოსტატთა სკოლა, ქ. თბილისი

ტრესტ საქპურკონდიტერის საფაბრიკო-საქარხნო მოწაფეობის სკოლა, ქ. თბილისი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

55 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 7 დეკემბრის № 751 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 7 დეკემბრის № 751 დადგენილების მე-3 მუხლის ნაწილობრივ შესაცვლელად, დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს დაამტკიცოს, დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან შეთანხმებით, მშენებლობის ობიექტების ტიპობრივი პროექტები, გარდა იმ ტიპობრივი პროექტებისა, რომლებიც უნდა დაამტკიცოს სსრ კავშირის სახმშენმა, აგრეთვე საცხოვრებელი სახლებისა მშენებლობაში მასობრივად გამოყენებისათვის და სკოლებისა, რომლებიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ უნდა დაამტკიცოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ფირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 12 მაისი, № 368

56 საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლებში მოსწავლეთა გახანგრძლივებული ჯგუფების პედაგოგ-აღმზრდელთა ხელფასის, შეღავათების და უპირატესობათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 13 აპრილის № პპ-1159 მითითების შესაბამისად, დაწესდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლებში I—IV კლასების მოსწავლეთა გახანგრძლივებული ჯგუფების პედაგოგ-აღმზრდელთა ხელფასის განაკვეთები დღეში 5 საათის აღმზრდელობითი მუშაობისათვის ხელფასის იმ განაკვეთების დონეზე, რაც გათვალისწინებულია დაწყებითი სკოლების მასწავლებელთათვის, აგრეთვე გავრცელდეს მათზე შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღავათები და უპირატესობანი, საპენსიო უზრუნველყოფა, ... მორიგი შვებულების ხანგრძლივობა, რომლებიც ... ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 19 მაისი, № 383

57 იმ პრემიების ოდენობის შეცვლის შესახებ, რომლებიც საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკებს ეძლევათ საავტომობილო სალტეების ეკონომიისათვის

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 21 აპრილის № 425 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საავტომობილო სალტეების ახალი ერთიანი საცალო ფასების შემოღებასთან დაკავშირებით, შემცირდეს 1959 წლის 1 აპრილიდან 60 პროცენტით მსუბუქი ავტომობილების საავტომობილო სალტეების ეკონომიისათვის პრემიების ოდენობა (სალტეების გარბენისათვის დაწესებული ნორმების გადამეტებით) და 50 პროცენტით დანარჩენი ავტომობილების საავტომობილო სალტეების ეკონომიისათვის პრემიების ოდენობა, რაც ეძლევათ ავტომობილების შოფრებს, სალტეების მემონტაჟეებს, აღრიცხვის ტექნიკოსებსა და ავტომეურნეობათა სხვა მუშაკებს, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ საავტომობილო სალტეების ეკონომიის მიღწევაში და რაც გათვალისწინებულია დებულებით ავტოტრანსპორტზე გამომუშავების ერთიანი ნორმებისა და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებულ ავტომეურნეობათა ავტობუსების შოფრების, მტვირთავებისა და კონდუქტორების შრომის ანაზღაურების შესახებ.

2. ამ დადგენილების 1 მუხლის შესაბამისად დაუწესდეს საავტომობილო სალტეების ეკონომიისათვის პრემიების შემდეგი ოდენობა ყველა ავტომეურნეობას, რომლებიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე იმყოფებიან:

ა) მსუბუქი ავტომობილების სალტეების დაწესებულ ნორმებზე ზევით გარბენისათვის წარმოებს დაჯილდოება დაზოგილი თანხის 12 პროცენტამდე—შოფრებისა და 1,8 პროცენტამდე—სხვა მუშაკებისა, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ საავტომობილო სალტეების ეკონომიის მიღწევაში;

ბ) დანარჩენი ავტომობილების სალტეების გარბენისათვის დაწესებული ნორმების გადამეტებით წარმოებს დაჯილდოება შოფრებისა—დაზოგილი თანხის 15 პროცენტის ოდენობით და სხვა მუშაკებისა, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ საავტომობილო სალტეების ეკონომიის მიღწევაში—2.25 პროცენტამდე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 19 მაისი, 387

58 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 19 მაისი, № 392

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს 1959 წლის
№ 392 დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის (საქართველოს სსრ სახმშენი) შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი (საქართველოს სსრ სახმშენი) არის რესპუბლიკური ორგანო მშენებლობის, არქიტექტურის და საშენ მასალათა მრეწველობის საკითხებზე.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მთავარი ამოცანებია:

ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფა მშენებლობასა და საშენ მასალათა მრეწველობაში, მშენებლობის ღირებულების შემცირება, მისი ხარისხის ამაღლება და ვადების შემოკლება;

სამშენებლო ინდუსტრიის განვითარება, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, აგრეთვე მშენებლობისა და არქიტექტურის დარგში ექსპერიმენტულ და სამეცნიერო გამოკვლევათა გაფართოება;

დაპროექტების საქმისადმი ხელმძღვანელობა საქართველოს სსრ რესპუბლიკაში, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესება, დაპროექტების ხარისხის ამაღლება და მისი ვადების შემცირება, ტიპობრივი პროექტების ფართოდ დანერგვა მშენებლობაში;

ქალაქმშენებლობისა და არქიტექტურის, აგრეთვე რაიონული დაგეგმვის საქმის გაუმჯობესება;

დახმარების გაწევა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისათვის, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებისათვის მშენებლობის, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების განაშენიანების ძირითადი საკითხების გადაწყვეტაში.

ქალაქებისა და სხვა დასახლებული ადგილების განაშენიანებისადმი და მშენებლობის ხარისხისადმი არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის განხორციელება;

იმისადმი კონტროლის განხორციელება, რომ სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა, უწყებებმა, სამეცნიერო-კვლევითმა და საპროექტო ინსტიტუტებმა შეასრულონ სსრ კავშირის მთავრო-

ბის და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი მშენებლობის, არქიტექტურისა და საშენ მასალათა მრეწველობის სფეროში.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად წარმოუდგენს უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალი ტექნიკის დანერგვას მშენებლობასა და საშენი მასალების მრეწველობაში;

შეათანხმებს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ინსტიტუტების მიერ წარდგენილ გეგმებს და განახორციელებს კონტროლს ამ გეგმების შესრულებისადმი და მშენებლობაში მეცნიერულ გამოკვლევათა შედეგების დანერგვისადმი;

ბ) განიხილავს საცდელი მშენებლობის, ექსპერიმენტული სამუშაოების, საჩვენებელი მშენებლობის, ახალი საშენი მასალების, ნაკეთობათა და შენობების მოწყობილობის დამზადებისა და დანერგვის გეგმებს, აგრეთვე სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის გეგმებს, რომლებსაც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები წარადგენენ შესათანხმებლად;

გ) განაზოგადებს საპროექტო ინსტიტუტების მუშაობის გამოცდილებას, შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს პროექტების ხარისხის ამაღლებისათვის, დაპროექტებისა და საძიებო სამუშაოთა ღირებულების შემცირებისათვის;

დ) შეიმუშავებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ერთად წარმოადგენს საბინაო-სამოქალაქო, სამრეწველო, სატრანსპორტო, სავაჭრო და სასოფლო-სამეურნეო მშენებლობისათვის ტიპობრივი დაპროექტების გეგმებს, რომლებიც საქართველოს სსრ საპროექტო ორგანიზაციებმა უნდა შეასრულონ; განიხილავს და დაამტკიცებს ტიპობრივ პროექტებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და წარმოადგენს დასკვნებს იმ ტიპობრივი პროექტების გამო, რომლებიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ უნდა დაამტკიცოს; ურჩევს საწარმოებს შენობათა საინჟინერო მოწყობილობის, ახალი საშენი მასალების, კონსტრუქციებისა და დეტალების ნიმუშებს;

ე) მოაწყობს რესპუბლიკურ კონკურსებს შენობათა და ნაგებობათა საუკეთესო პროექტების, მათ შორის ტიპობრივი პროექტების,

შედგენაზე, ეკონომიური ინდუსტრიული კონსტრუქციებისა და ტალების შემუშავებაზე, აგრეთვე ეკონომიური პროექტებისა ვით ობიექტების უკეთ მშენებლობაზე;

ვ) განიხილავს საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის საპროექტო დავალებებს შეჯამებითი სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებებით, რომლებიც შემოტანილ უნდა იქნან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად და თავის დასკვნებს წარმოუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს; განიხილავს და დაამტკიცებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ქალაქებისა და სხვა დასახლებული ადგილების დაგეგმვის პროექტებს, დეტალური დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტებს და წარმოადგენს დასკვნებს რაიონული დაგეგმვის სქემებისა და ქალაქთა დაგეგმვის პროექტების გამო, რომლებიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ უნდა დაამტკიცოს;

ზ) შეათანხმებს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური ოლქის აღმასკომის, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების მიერ წარდგენილ წინადადებებს მშენებლობის ძირითადი მაჩვენებლების შეცვლისა და სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადიდების შესახებ იმ ობიექტებისათვის, რომელთა მშენებლობის საპროექტო დავალებანი შეჯამებითი სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებებით დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ;

თ) განიხილავს და შეათანხმებს ავეჯისა და შენობათა შინაგანი მოწყობილობის სხვა საგნების დამზადების ნიმუშებსა და ტექნიკურ პირობებს;

ი) ჩაატარებს ამორჩევითს კონტროლს იმ პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ხარისხისადმი, რომლებსაც ამტკიცებენ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური ოლქის აღმასკომი, სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები.

საქართველოს სსრ სახმშენის დასკვნებში აღნიშნული მითითებანი ისეთ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია დაპროექტების მოქმედი ნორმებისა და წესების დაცვასთან პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებში, — სავალდებულოა;

კ) შეიმუშავებს ღონისძიებებს საბინაო-სამოქალაქო, სამრეწველო, საგზაო, სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის და სავაჭრო საწარმოთა მშენებლობის ვადების შემოკლებისა და მათი ღირებულების შემცირებისათვის, აგრეთვე ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველყოფენ ძირითად საშენ მასალათა და ნაკეთობათა რაციონალურად გამოყენებას და მათ მომჭირნეობით ხარჯვას მშენებლობაში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიური პროცესების და სამშენებლო დეტალებისა და კონსტრუქციების საქარხნო პირობებში დამზადების გაუმჯობესებას; შეიმუშავებს ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია მშენებლობის ხარისხის ამაღლებისაკენ, რესპუბლიკის ქალაქების, დაბების, კურორტებისა და სასოფლო დასახლებული ადგილების დაგეგმვისა და განაშენიანების გაუმჯობესებისაკენ და დახმარებას გაუწევს ამ ღონისძიებათა განხორციელებას;

ლ) განახორციელებს სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლს ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების განაშენიანებისადმი, მშენებლობის ხარისხისადმი მისი უწყებრივი კუთვნილების დამოუკიდებლად, საშენ მასალათა და ნაკეთობათა ხარისხისადმი, აგრეთვე ხელმძღვანელობას გაუწევს საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების დამთავრებული შენობებისა და ნაგებობების მიღებას საექსპლუატაციოდ;

მ) მოაწყობს დაპროექტების, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის დარგში მოწინავე გამოცდილების და საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების შესწავლას, შეიმუშავებს და დადგენილი წესით წარადგენს წინადადებებს მშენებელ სპეციალისტთა საზღვარგარეთ მივლინების შესახებ;

ნ) განაზოგადებს და გაავრცელებს ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის მოწინავე გამოცდილებას დაპროექტების, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის დარგში; მოაწყობს ტექნიკურ ინფორმაციას და ტექნიკური ცოდნის პროპაგანდას მშენებლობის, არქიტექტურის და საშენ მასალათა და ნაკეთობათა წარმოების საკითხებზე (გამოფენები, კინოფილმები და სხვა); შეისწავლის და გაავრცელებს შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდებს და ახალ ფორმებს მშენებლობასა და საშენ მასალათა მრეწველობაში;

ო) მოიწვევს დადგენილი წესით კონფერენციებსა და თათბირებს მშენებლობის, არქიტექტურის და საშენ მასალათა მრეწველობის საკითხებზე;

პ) ტექნიკურ დახმარებას გაუწევს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა ორგანოებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებს და სამშენებლო ორგანიზაციებს სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა წარმოებაში
წინავე ინდუსტრიული მეთოდების დანერგვაში, სამშენებლო ინ-
დუსტრიის საწარმოებისა და საშენ მასალათა და ნაკეთობათა და-
მამზადებელი საწარმოების განვითარებაში, პროგრესული, ეკონო-
მიური კონსტრუქციების დანერგვაში, აგრეთვე დახმარებას გაუწევს
მათ საპროექტო, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციათა ქსე-
ლის მოწესრიგებაში, ტექნიკურ პროპაგანდასა და ინფორმაციაში
მშენებლობის ხაზით;

ჟ) გამოსცემს საინფორმაციო ბიულეტენს მშენებლობის, არქი-
ტექტურისა და საშენ მასალათა მრეწველობის საკითხებზე.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქი-
ტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს უფლება ენიჭება:

ა) გამოსცეს თავისი კომპეტენციის ფარგლებში სავალდებულო
ინსტრუქციები და მისცეს განმარტებანი მშენებლობაში მოქმედი
ნორმებისა და წესების შეფარდების საკითხებზე;

ბ) განახორციელოს იმის შემოწმება, თუ როგორ ასრულებენ სა-
მინისტროები, უწყებები და სახალხო მეურნეობის საბჭო საცდელი
მშენებლობისა და ექსპერიმენტული სამუშაოების გეგმებს, საჩვენე-
ბელი მშენებლობის გეგმებს, სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა
კომპლექსური მექანიზაციის გეგმებს, ტიპობრივი დაპროექტების,
საშენ მასალათა, ნაკეთობათა და შენობების საინჟინერო მოწყობი-
ლობის სტანდარტიზაციის გეგმებს; მოისმინოს საქართველოს სსრ
სახმშენის სხდომებზე სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტრო-
ების, უწყებების, საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციების
მოხსენებანი ამ საკითხებზე;

გ) დაავალოს შესაბამის სამეცნიერო-კვლევითს, საპროექტო და
სამშენებლო ორგანიზაციებს ისეთი სამუშაოების შესრულება, რომ-
ლებიც დაკავშირებულია გეგმების მომზადებასთან და ღონისძიებათა
და წინადადებათა განხორციელებასთან მშენებლობის, არქიტექტუ-
რის და საშენი მასალებისა და ნაკეთობების წარმოების დარგში;

დ) მიიღოს სამინისტროებისა, უწყებებისა, სახალხო მეურნეობის
საბჭოსა, საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციებისაგან მასა-
ლები, რომლებიც საჭიროა საქართველოს სსრ სახმშენზე დაკისრე-
ბული ფუნქციების შესასრულებლად, ხოლო საქართველოს სსრ
სტატისტიკური სამმართველოსაგან — დაწესებული საანგარიშო
მონაცემები მშენებლობის, საშენ მასალათა წარმოების, დაპროექტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შესახებ, შრომის, ხელფასის, კადრების, ეკონომიკისა და მენეჯმენტის ლობაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საკითხებზე;

ე) შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოები იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩენილ იქნა დაპროექტების მოქმედი წესებისა და ნორმების და სამშენებლო სამუშაოთა წარმოების წესების დარღვევა, მშენებლობის უწყებრივი დაქვემდებარების დამოუკიდებლად.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ადგილობრივი ორგანოები არიან აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომების მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სამმართველოები და განყოფილებები, აგრეთვე ქალაქების მთავარი არქიტექტორები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი ხელმძღვანელობს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომების მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა ორგანოების საქმიანობას.

აღნიშნული სამმართველოების, განყოფილებების უფროსები, ქალაქთა მთავარი არქიტექტორები და სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ინსპექციების უფროსები დაინიშნებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი შეიქმნება შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, თავმჯდომარის მოადგილეები და კომიტეტის წევრები, რომლებსაც დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი თავის სხდომებზე განიხილავს სსრ კავშირის მთავრობის და საქართველოს სსრ მთავრობის მიერ დაპროექტებისა და მშენებლობის საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ღონისძიებებს; განიხილავს მშენებლობის ტექნიკური დონის ამაღლების და საშენ მასალათა მრეწველობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს; განიხილავს ტიპობრივი დაპროექტების, საშენ მასალათა, ნაკეთობათა და შენობების საინჟინერო მოწყობილობის სტანდარტიზაციის, სამშენებლო და სამონტაჟო სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის გეგმებს, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის დარგში უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმებს; განიხილავს ანგარიშებს ქალაქების მშენებლობისა და განაშენიანების ხარისხის შემოწმების შესახებ; განიხილავს დასკვნებს უმნიშვნელოვანესი ინდივიდუალური და ტიპობრივი პროექტების გამო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში გატარდება კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებით.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომიტეტის მთელ მუშაობას, გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მთავრობის და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და შესასრულებლად, ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, შეამოწმებს მათ შესრულებას, დაამტკიცებს დებულებებს ადგილობრივი ორგანოების შესახებ და კომიტეტისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და დაწესებულებების წესდებებს ან მათ დებულებებს.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან შეიქმნება ტექნიკური საბჭო თვალსაჩინო სპეციალისტებისაგან იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც შეეხება ძირითად მიმართულებას სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა და ნაკეთობათა წარმოების განვითარებაში, აგრეთვე იმ საკითხებისა, რომლებიც დაკავშირებულია მშენებლობაში დაპროექტებასთან და კომპლექსურ მექანიზაციასთან.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოხატულია საქართველოს სსრ ღერბი და მისი სახელწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

59 თვითმოქმედი სახალხო თეატრების ორგანიზაციის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ნება დაერთოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს:

ა) საქალაქო და რაიონული კულტურის სახლებთან შექმნას თვითმოქმედი სახალხო თეატრები, თვითანაზღაურების წესით, სხვა წყაროებიდან რაიმე ასიგნობათა გამოყოფის გარეშე;

ბ) დაამტკიცოს თვითმოქმედი სახალხო თეატრის დებულება;

გ) 1959 წელს მისთვის რესპუბლიკური ბიუჯეტით დამტკიცებული საერთო ასიგნობებიდან გამოუყოს, როგორც გამონაკლისი, თვითეულ თვითმოქმედ სახალხო თეატრს 10 ათასი მან. ერთდროული დახმარების სახით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 23 მაისი, № 406.

60 ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოების მიერ დამზადებული სახალხო მოხმარების საქონლის საცალო ფასების დონის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის, სარეწაო კოოპერაციის და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საწარმოების მიერ დამზადებულ სახალხო მოხმარების საქონელზე დაწესებული საცალო ფასები არ შეესაბამება ანალოგიური საქონლის სახელმწიფო საპრეისკურანტო ფასებს. აღნიშნული საწარმოების მიერ დამზადებული 18 სახეობის საქონელზე 29 სახეობიდან საცალო ფასები უფრო მაღალია, ვიდრე სახელმწიფო პრეისკურანტით გათვალისწინებული ფასები, ხოლო 11 სახეობის ასეთივე საქონელზე უფრო დაბალია, რაც ქმნის ერთნაირი საქონლის ფასებში სხვადასხვაობას და იწვევს იმ საქონლის ნაშთების მნიშვნელოვან ზრდას, რომელზედაც არ არსებობს მოთხოვნილება.

ირღვევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 17 მარტის № 448 დადგენილება „საბავშვო სათამაშოების ფასების შესახებ". ამ დადგენილებით გათვალისწინებულია საბავშვო სათამაშოების წარმოების ზღვრული რენტაბელობა თვითღირებულების 5—7 პროცენტის ოდენობით, ფაქტიურად კი მთელი რიგი სათამაშოების რენტაბელობა ბევრად უფრო მაღალია და ზოგიერთ შემთხვევაში აღწევს (თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს სასწავლო-თვალსაჩინო სახელმძღვანელოთა ფაბრიკის მიერ დამზადებული სათამაშოები) 34 და 60 პროცენტს.

მთელ რიგ შემთხვევებში დაბალი ხარისხის სამრეწველო საქონელზე წესდება მაღალი ფასები.

სავაჭრო ორგანიზაციები სუსტად ახორციელებენ კონტროლს ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოების მიერ დამზადებული სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისადმი, რომელიც სავაჭრო ქსელში იგზავნება, აგრეთვე ამ საქონლის ფასებისადმი. აღნიშნული ნაკლოვანებანი ქმნიან ნიადაგს ვაჭრობაში ბოროტმოქმედებათა ჩადენისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 14 მარტის № 271 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გავრცელდეს საქონლის საცალო ფასები, რაც გათვალისწინებულია სახელმწიფო პრეისკურანტებით, ანალოგიურ საქონელზე, რომელსაც უშვებენ ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოები, დანართის თანახმად.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს:

ა) შეამცირონ საბავშვო სათამაშოების საცალო ფასები რენტაბელობის ანგარიშიდან თვითღირებულების 5—7 პროცენტის ოდენობით;

ბ) გადასინჯონ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის, სარეწაო კოოპერაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ დამზადებული სახალხო მოხმარების იმ საქონლის ფასები, რომელსაც მაღალი რენტაბელობა აქვს, და შეამცირონ მათი ფასები, ხოლო გადაფასების განსხვავება მიაკუთვნონ ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა ზეგეგმითი დაგროვების ანგარიშს;

გ) ფასებში არსებული სხვადასხვაობის ლიკვიდაციის მიზნით, შემოიღონ ერთიანი საცალო ფასების დაწესება და სხვა რესპუბლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კებიდან და ოლქებიდან შემოტანილ საქონელზე მათი გამოსწორებული ბის წესით, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 28 ივნისის № 473 დადგენილებით;

დ) გააუმჯობესონ საცალო ფასების დაწესება ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის მიერ დამზადებულ საქონელზე და განამტკიცონ ფასების განყოფილება კვალიფიციური მუშაკებით, აგრეთვე მიიღონ ზომები საქონლის ფასებისა და ხარისხის კონტროლის სახელმწიფო სავაჭრო ინსპექციების მუშაობის გაუმჯობესებისათვის;

ე) ერთი დეკადის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ავეჯისა და ლითონის საწოლების უნიფიცირებული საცალო ფასების პროექტი;

ვ) უზრუნველყონ სხვადასხვა ფასების პროდუქტების განხილვა საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მონაწილეობით ერთი კვირის ვადაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, ერთი კვირის ვადაში განიხილოს და დაამტკიცოს ადგილობრივი და კოოპერაციული მრეწველობის მიერ დამზადებული სახალხო მოხმარების საქონლის ტექნიკური პირობები.

3. დაევალოთ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, კულტურის სამინისტროს, საქართველოს სარეწაო საბჭოს, თბილისის საქალაქო აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს, ცეკავშირსა და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც სახალხო მოხმარების საქონელს უშვებენ:

ა) გააუმჯობესონ გამომუშავებული პროდუქციის ხარისხი, არ დაუშვან სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დარღვევით, აგრეთვე ისეთი საქონლის გამოშვება, რომელიც არ შეესაბამება დამტკიცებულ ნიმუშებს—ეტალონებს, და სასტიკ პასუხისგებაში მისცენ ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვებაში დამნაშავე პირები;

ბ) განიხილონ სავაჭრო ორგანიზაციებთან ერთად საკითხი, რომ შეწყდეს ისეთ ნაკეთობათა გამოშვება, რომლებსაც მოსახლეობა არ მოითხოვს და შეიცვალოს ისინი ისეთი საქონლით, რომელზედაც ადგილობრივი ბაზარი აყენებს მოთხოვნილებას.

4. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) დაავალონ სავაჭრო ორგანიზაციებს არ დაუშვან ნაბალი ხარისხის და ისეთი საქონლის მიღება ადგილობრივი და კოოპერაციული მრეწველობიდან, რომელზედაც მოთხოვნილება არ არსებობს;

ბ) სასტიკ პასუხისგებაში მისცენ ვაჭრობის მუშაკები, რომლებიც არღვევენ საქონლის ხარისხისადმი კონტროლის წესებს და ეწევიან ცუდი ხარისხის პროდუქციის მიყიდვას მოსახლეობისათვის.

5. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სავაჭრო განყოფილებამ გადასინჯონ ადგილებზე დამტკიცებული საქონლის საცალო ფასები და მიიღონ ზომები ადგილობრივი მრეწველობის და სარეწაო კოოპერაციის მიერ დამზადებული სახალხო მოხმარების საქონელზე საცალო ფასების დაწესების პრაქტიკაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

7. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ 1959 წლის 15 ივნისისათვის მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების შესრულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 23 მაისი, № 408

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 23 მაისის № 1408
დადგენილების დანართი

ს ი ა

ადგილობრივი, კოოპერაციული მრეწველობის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ დამზადებული საქონლისა, რომლებზედაც ვრცელდება სახელმწიფო პრეისკურანტის საცალო ფასები

ს ა ქ ო ნ ე ლ ი	სახელმწიფოსკურანტების №№	არტიკული ან ნომერი თანმიმდევრულად	საცალო ფასი მან. და კაპ. სახელმწიფო პრეისკურანტით
ენოპი საკანცელარიო	105	456	1—25
ავეჯის სარკე	93	4460	344—00
მამაკაცის სავარცხელი . . .	101	506	1—80
დასაკეცი მეტრები ფოლადის .	98	836	7—70
ჰიდრომუხრუჭის სითხე . . .	95	566	19—50
პლასტმასის საგზაო დომინო . .	101	1002	10—00
პლასტმასის უსაშიშრო სამართებლები	96	844	12—00
მუნდშტუკი	101	650	1—60
გაუპრიალებელი სამაგიდო მინა	112	951	67—50
კაკლის სატეხი	107	241	7—55
ჩაის კოვზები უჟანგო ფოლადისა .	90	4174	3—60
საწვავის კონისტრები 8-ლიტრიანი	107	1156	16—00
საათის ღვედი	109	5101	2—00 1 ს.
თეთრეულის ლილა (25 გრ. დაფასოებული)	95	83 ი 84	0,181 1 ს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჰირაძაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

61 ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების შესასყიდი ფასების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 ივლისის № 446 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, დაწესდეს 1959 წლის 1 ივნისიდან ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების შესასყიდი ფასები, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 29 მაისი, № 432

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 29 მაისის № 1031
დადგენილების დანართი

ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების შესასყიდი ფასები

კულტურები	თვეები	შესასყიდი ფასები მანეთობით ტონაში
კომბოსტო თეთრთავიანი	იანვარი	750
	თებერვალი	1000
	მარტი	1300
	აპრილი	2000
	მაისი	1750
	ივნისი, ივლისი	700
	აგვისტო, სექტემბერი	600
	დანარჩენი თვეები	500
კომბოსტო ყვავილოვანი	იანვარი, თებერვალი, მარტი	4000
	აპრილი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი	3000
	დანარჩენი თვეები	2000
პამიდორი წითელი	იანვარი, თებერვალი, მარტი	20000
	აპრილი, მაისი, დეკემბერი	15000
	ივნისი	5000
	1 ივლისიდან 15 ივლისამდე	2000
	16 ივლისიდან 31 ივლისამდე	
	ოქტომბერი	1000
	აგვისტო	700
	სექტემბერი	600
	ნოემბერი	1200
პამიდორი მწვანე		500
პამიდორი მურა		600
კიტრი ნეჟინისა	იანვარი, თებერვალი, მარტი	15000
	აპრილი, მაისი, დეკემბერი	12000
	ივნისი, ნოემბერი	3000
	დანარჩენი თვეები ზომით (სიგრძით) 7 სმ-მდე	3000
	(სიგრძით) 7—11 სმ-მდე	2500
	(სიგრძით) 11 სმ ზევით	2000
კიტრი ადგილობრივი ჯიშებისა	იანვარი, თებერვალი, მარტი	15000
	აპრილი, მაისი, დეკემბერი	12000
	ივნისი, ნოემბერი	2500
	ივლისი, აგვისტო	700
	სექტემბერი	1000
	ოქტომბერი	1500

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურები	თვეები	ფასები ფასები ნეობით ლონაში
თავიანი ხახვი	იანვარი, თებერვალი, მარტი	1700
	აპრილი	2000
	აგვისტო, სექტემბერი . . .	1300
	დანარჩენი თვეები	1500
მწვანე ხახვი	იანვარი, თებერვალი, მარტი	1500
	აპრილი	800
	მაისი, ივნისი	600
	დანარჩენი თვეები	500
პრასა	იანვარი, თებერვალი, დეკემბერი	2000
	მარტი, აპრილი	1500
	დანარჩენი თვეები	1000
ნიორი მწვანე ფოთლიანი		1500
ნიორი უფოთლო	ივლისი, აგვისტო . . .	3000
	დანარჩენი თვეები	4000
საადრეო სტაფილო ფოჩიანი (კონებად)		2000
სტაფილო უფოჩო	ივლისი, აგვისტო, სექტემბერი	
	ოქტომბერი, ნოემბერი . . .	700
	დანარჩენი თვეები	1000
სუფრის ჭარხალი საადრეო მწვანე ფოთლიანი		420
სუფრის ჭარხალი უფოთლო		400
ბადრიჯანი	ივლისი	1000
	დანარჩენი თვეები	500
წიწაკა წითელი ხმელი		12600
წიწაკა ტკბილი (ბულგარული)		1500
წიწაკა მწარე (წითელი და მწვანე) ახალი		1500
ისპანახი	იანვარი, თებერვალი, მარტი,	
	დეკემბერი	2000
	დანარჩენი თვეები	500
თვის ბოლოკი	იანვარი, თებერვალი, მარტი	2500
	აპრილი	2000
	დანარჩენი თვეები	1300
წითელი ბოლოკი (ჩინური)		700
თალგამი		2000
ყაბაყი		750

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურები	თვეები	შესასყიდი ფასები ფოთლობით ტონაში
პარკი ლობიო „გურული“	მაისი	3 00
„ჩიტისკვერცხა“	დანარჩენი თვეები	1500
სხვა ჯიშების პარკი ლობიო	მაისი	2500
	დანარჩენი თვეები	1200
მწვანე ბარდა		1200
პატისონი		1000
ძირთეთრა		1500
ნიახური		3000
კამა	იანვარი, თებერვალი, მარტი, დეკემბერი	2500
	დანარჩენი თვეები	1800
რეპანი		1800
ქონდარი		2500
მეაუნა		4000
კოლრაბი		750
პიტნა		2000
ოხრახუში	იანვარი, თებერვალი, მარტი, დეკემბერი	3500
	დანარჩენი თვეები	1500
ტარხუნა	იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი	7000
	დანარჩენი თვეები	4000
წიწმატი	იანვარი, თებერვალი, მარტი	3000
	დანარჩენი თვეები	1000
სალათა	იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, დეკემბერი . . .	2500
	დანარჩენი თვეები	1000
ქინძი	იანვარი, თებერვალი, მარტი, დეკემბერი	4000
	აპრილი	2500
	დანარჩენი თვეები	1700
სიმინდი ცვილისებრი სიმწიფისა		600
საზამთრო	1 აგვისტომდე	1500
	1 აგვისტოდან	500

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კულტურები	თვეები	შესასყიდი ფასები ფულობრივ ტონაში
ნესვი	1 აგვისტომდე	2500
	1 აგვისტოდან	1500
გოგრა		750
დამქავებული კომბოსტო დაკეპილი		800
დამქავებული კომბოსტო თავებად		1000
მქავე პამიდორი მურა		1200
მქავე პამიდორი მწვანე		1000
მქავე კიტრი ადგილობრივი		1500
მქავე კიტრი ნეჟინისა		3000

შენიშვნა: როდესაც კოლმეურნეობები ინახავენ ხელშეკრულების მიხედვით დამამზადებელი და სავაჭრო ორგანიზაციების მიერ შესყიდულ ბოსტნეულს, კოლმეურნეობებს აუნაზღაურდებათ აღნიშნული ბოსტნეულის შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი.**

62 ავტომობილების, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების, აგრეთვე ავტოსატრაქტორო ელექტრომოწყობილობისა და ამ მანქანების რემონტისათვის საჭირო ნაკეთობათა ვაჭრობის ერთიანი სისტემის დაწესების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 23 აპრილის № 442 დადგენილების განსახორციელებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაეკისროს:

ავტომობილებისა და ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების, აგრეთვე ავტოსატრაქტორო ელექტრომოწყობილობის და ქეჩისა, რეზინისა, პლასტმასისა, მინისა, კორპისა და ასბესტისაგან დამზადებულ იმ ნაკეთობათა ვაჭრობა, რომლებიც განკუთვნილია ავტომობილებისა და ტრაქტორების რემონტისათვის,—საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარგება-გასაღების მთავარ სამმართველოს ავტოტრაქტორმარაგგასაღების სამმართველოს; სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილებისა და ამ მანქანების რემონტისათვის საჭირო ნაკეთობების ვაჭრობა—საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლმეურნმომარაგებას.

2. დაწესდეს, რომ სარემონტო-ტექნიკური სადგურები საბითუმო შესყიდვის წესით უზრუნველყოფილი იქნებიან ავტომობილების და ტრაქტორების სათადარიგო ნაწილებით, კვანძებითა და აგრეგატებით, ავტოსატრაქტორო ელექტრომოწყობილობით და ამ მანქანების შესაკეთებლად საჭირო ნაკეთობებით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოს ავტოტრაქტორმარაგგასაღების სამმართველოს სპეციალიზებული მაღაზიებიდან და ბაზა-კანტორებიდან, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილებით და კვანძებით—საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლმეურნმომარაგების ბაზებიდან, რათა შემდგომ მიეყიდოს ისინი საცალოდ მომხმარებლებს სოფელ ადგილებში.

დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეამოწმოს, თუ რამდენად საჭიროა მოეწყოს სარემონტო-ტექნიკურ სადგურებთან სპეციალიზებული მაღაზიები სათადარიგო ნაწილების გასაყიდად ავტოსატრაქტორო პარკისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებისათვის და ნაკეთობათა გასაყიდად ამ მანქანების რე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონტისათვის და თავისი წინადადებანი ერთი თვის ვადაში წარუდგინოს
დგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

3. გადაკეთდეს:

ა) ავტოტრაქტორმარაგგასაღების სოხუმის საარაონთაშორისო განყოფილება—საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოს ავტოტრაქტორმარაგგასაღების სამმართველოს აფხაზეთის რესპუბლიკურ ბაზა-კანტორად;

ბ) ავტოტრაქტორმარაგგასაღების ბათუმის საარაონთაშორისო განყოფილება—საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოს ავტოტრაქტორმარაგგასაღების სამმართველოს აჭარის რესპუბლიკურ ბაზა-კანტორად;

გ) ავტოტრაქტორმარაგგასაღების თბილისის, წნორის, გორის, ქუთაისის, ცხაკაიასა და ახალციხის საარაონთაშორისო განყოფილებები—საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოს ავტოტრაქტორმარაგგასაღების სამმართველოს თბილისის, წნორის, გორის, ქუთაისის, ცხაკაიასა და ახალციხის სპეციალიზებულ მაღაზიებად.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოს ავტოტრაქტორმარაგგასაღების სამმართველოს რესპუბლიკურ ბაზა-კანტორებს და სპეციალიზებულ მაღაზიებს დაეკისროთ ამ დადგენილების 1 მუხლით (პირველი აბზაცი) გათვალისწინებული საქონლით ვაჭრობა.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს:

ა) ერთი კვირის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას თავიანთი წინადადებანი ავტოტრაქტორმარაგგასაღების სამმართველოს სავაჭრო ბაზა-კანტორებისა და სპეციალიზებული მაღაზიებისათვის სასაწყობო და სატრანზიტო ფასნამატის ოდენობის შესახებ, აგრეთვე სარემონტო-ტექნიკური სადგურებისათვის ფასნამატის ოდენობის შესახებ;

ბ) ორი კვირის ვადაში წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას ავტომობილების, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების, კვანძებისა და აგრეგატების, აგრეთვე ავტოსატრაქტორო ელექტრომოწყობილობის და ამ მანქანების რემონტისათვის საჭირო ნაკეთობათა ვაჭრობის ძირითადი წესები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად ხუთი დღის ვადაში განიხილოს ამ დადგენილების მე-4 მუხლში აღნიშნული წინადადებანი და თავისი დასკვნები წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

5. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოს ავტოტრაქტორმარაგგასაღების სამმართველოს აწარმოოს 1959—1960 წლებში ანარიცხები სპეციალიზებული მაღაზიების, საწყობების და ბაზა-კანტორების მშენებლობისა და გაწყობისათვის ავტოტრაქტორმარაგგასაღების სამმართველოს საქონელბრუნვის საერთო თანხის 0,5 პროცენტის ოდენობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გაითვალისწინოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებით საშენი მასალები და საჭირო მოწყობილობა აღნიშნული მიზნებისათვის.

6. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოს ავტოტრაქტორმარაგგასაღების სამმართველოს და საქართველოს სსრ სარემონტო-ტექნიკურ სადგურებს ხარჯონ 1959 წელს ბრუნვის ხარჯების საერთო თანხის ფარგლებში საბითუმო საქონელბრუნვის საერთო თანხის 0,01 პროცენტამდე რეკლამის მოსაწყობად, აგრეთვე იმისათვის, რომ გამოიცეს და გავრცელდეს მყიდველებს შორის პლაკატები, მაკეტები და სხვა საინფორმაციო მასალები ავტომობილების, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების შესახებ.

7. დაწესდეს, რომ ავტომობილების, ტრაქტორების და სასოფლო-სამეურნეო მანქანათ სათადარიგო ნაწილების, კვანძებისა და აგრეგატების, აგრეთვე ავტოსატრაქტორო ელექტრომოწყობილობის და ამ მანქანების რემონტისათვის საჭირო ნაკეთობათა საფასურს აანაზღაურებენ სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები უნაღდო ანგარიშსწორების წესით; ამ საქონლის ანაზღაურება 100 მანეთამდე ღირებულებით შეიძლება მოხდეს ნაღდ ანგარიშზე.

8. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის მინის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტთან შესათანხმებლად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოს ავტოტრაქტორმარაგგასაღების სამმართველოს რესპუბლიკური ბაზა-კანტორებისა და სპეციალიზებული მაღაზიების ტიპობრივი შტატები.

9. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოს გაათავისუფლოს ავტოტრაქტორმარაგგასაღების სამმართველო ამ დადგენილებით გაუთვალისწინებელი საქონლის შემოტანისა და რეალიზაციის ფუნქციებისაგან.

10. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 23 აპრილის № 442 დადგენილების თანახმად, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოს ავტოტრაქტორმარაგგასაღების სამმართველოს ავტომობილებისა და ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების ვაჭრობასთან ერთად ეკისრება ფუნქციები—უზრუნველყოს, რომ საქართველოს სს რესპუბლიკას მოაწოდონ ავტომობილები, ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, სათადარიგო ნაწილები, მათი კვანძები და აგრეგატები იმ მანქანებისა და მოწყობილობის დასაკომპლექტებლად, რომლებიც საქართველოს სსრ საწარმოებში მზადდება და შინადარგობრივი კოოპერაციის საჭიროებისათვის, აგრეთვე მთლიანად რესპუბლიკაში სათადარიგო ნაწილებზე არსებული მოთხოვნილების გამოვლინება და იმის უზრუნველყოფა, რომ მოეწყოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში ავტომობილების, ტრაქტორების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების, კვანძების, აგრეგატებისა და ავტოსატრაქტორო ელექტრომოწყობილობის წარმოება იმ ნომენკლატურისა და იმ მოცულობის მიხედვით, რაც გეგმით არის დაწესებული.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 30 მაისი, № 436

63 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს შესახებ.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს შექმნასთან და მისი დებულების დამტკიცებასთან დაკავშირებით, განთავისუფლდეს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრო იმ კოლმეურნეობებისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკური დახმარების ფუნქციებისაგან, რომლებიც საკუთარი საშუალებებით ასრულებენ წყალსადენების მშენებლობას.

3. საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს დებულების მე-6 მუხლის მე-6 აბზაცი, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 14 ივლისის № 631 დადგენილებით, მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით: ორგანიზაციული და ტექნიკური დახმარების გაწევა კოლმეურნეობებისათვის, რომლებიც საკუთარი სახსრებით ასრულებენ საირიგაციო-სამელიორაციო სამუშაოებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუბავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძაძე.**

ქ. თბილისი. 1959 წლის 30 მაისი, № 442

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 30 მაისის № 442
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს (საქმთავკოლმეურნმშენი) შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარი სამმართველო—საქმთავკოლმეურნმშენი, რომელიც მოწყობილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 16 მარტის № 196 დადგენილების შესაბამისად მოქმედებს ამ დებულების საფუძველზე და თავის საქმიანობაში ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარ სამმართველოს ეკისრება:

ა) ორგანიზაციულ-ტექნიკური ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებში საწარმოო-სამეურნეო სადგომების, ადმინისტრაციული და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების, წყალსადენების, ტბორების, წყალსატევების, ელექტროგადამცემი ხაზებისა და დაბალვოლტიანი ქსელის, ქვესადგურების, საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგურების, კოლმეურნეთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისადმი, აგრეთვე კოლმეურნეობებში საშენი მასალების წარმოებისა და საკოლმეურნეო სოფლების კეთილმოწყობის სამუშაოებისადმი;

ბ) ხელმძღვანელობა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან არსებული, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის კოლმეურნეობებში მშენებლობის სამმართველოების, რაიაღმასკომების კოლმეურნეობებში მშენებლობის განყოფილებების და მთავარ სამმართველოსადმი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობისადმი.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარი სამმართველო:

ა) შეადგენს კოლმეურნეობათა მშენებლობის, კეთილმოწყობის, წყალმომარაგების, საშენ მასალათა წარმოების, კოლმეურნეობებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორანიზაციების მშენებლობათა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების შეჯამებულ ანგარიშებს, შეათანხმებს მათ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და განახორციელებს კონტროლს მათი შესრულებისადმი;

ბ) შეიმუშავებს საკოლმეურნეო სოფლების ხელახლა მოწყობის, დაგეგმვის, განაშენიანებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებებს, დანერგავს მშენებლობაში უახლეს ეკონომიური ტიპობრივ პროექტებს; განიხილავს კოლმეურნეობებში ყველა სახის საპროექტო-ტექნიკურ დოკუმენტაციას და მისცემს რეკომენდაციებს კოლმეურნეობათა გამგეობების მიერ პროექტების დამტკიცებისათვის;

გ) მოაწყობს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობას და წარმართავს მათს საქმიანობას მშენებლობის გეგმების შედგენისა და მათი შესრულებისათვის, ადგილობრივ საშენ მასალათა წარმოების განვითარებისა და გამოყენებისათვის და განახორციელებს კონტროლს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინისა და მშენებლობის წესების დაცვისადმი;

დ) განახორციელებს კონტროლს სოფლად და კოლმეურნეობებში მშენებლობისა და ადგილობრივი საშენი მასალების წარმოებისადმი;

ე) შეიმუშავებს და მოაწყობს ისეთ ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის ნაყოფიერების გადიდებას, ღირებულების შემცირებას, მშენებლობის ხარისხის ამაღლებას, ცეცხლგამძლე და ახალი სახის საშენი მასალების, კონსტრუქციების დანერგვას კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებში, აგრეთვე მშენებლობის მექანიზაციის დანერგვას;

ვ) მოაწყობს კოლმეურნეობათა მეცხოველეობის სადგომების, საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობებისა და კოლმეურნეთა საცხოვრებელი სახლების საცდელ-საჩვენებელ მშენებლობას;

ზ) განაზოგადებს და მოაწყობს კოლმეურნეობებში მშენებლობის და საშენ მასალათა წარმოების მოწინავე გამოცდილების გაზიარებას, მოაწყობს კოლმეურნეობათა სახსრებით გამოფენებს, ტექნიკურ ინფორმაციას, აგრეთვე გამოსცემს ბიულეტენებს კოლმეურნეობებში მშენებლობისა და საშენ მასალათა წარმოების, სოფლის დასახლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული პუნქტების დაგეგმვის, კეთილმოწყობისა და განაშენიანების საკითხებზე;

თ) მოაწყობს მთავარ სამმართველოსადმი დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობის საწარმოო და საფინანსო გეგმების შემუშავებასა და შედგენას, განიხილავს და დაამტკიცებს მათ ანგარიშებსა და ბალანსებს;

ი) მოაწყობს და აწარმოებს აღრიცხვასა და ანგარიშგებას კოლმეურნეობებში და საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებში მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ, ანალიზს გაუკეთებს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობას და მისცემს შესაბამის რეკომენდაციებს;

კ) მოაწყობს კოლმეურნეობებში მშენებლობის ხაზით სოციალისტურ შეჯიბრებას რაიონებსა და საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებს შორის და შეაჯამებს მათ შედეგებს;

ლ) ხელმძღვანელობას გაუწევს ხელმძღვანელი კადრების, სპეციალისტებისა და მასობრივ პროფესიათა კადრების მომზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას კოლმეურნეობებში მშენებლობისათვის;

მ) საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად განიხილავს ტიპობრივ პროექტებს კოლმეურნეობებში საზოზადოებრივი შენობებისა და კოლმეურნეთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარ სამმართველოს სათავეში უდგას უფროსი. მთავარი სამმართველოს უფროსს და მის მოადგილეს დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

5. მთავარი სამმართველოს უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს მთავარ სამმართველოს და მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას, უზრუნველყოფს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ კოლმეურნეობებში მშენებლობის საკითხებზე მიღებულ დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულებას;

ბ) გამოსცემს მთავარ სამმართველოს კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და მათ შესასრულებლად და შეამოწმებს მათს შესრულებას. მთავარი სამმართველოს ბრძანე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბები და ინსტრუქციები სავალდებულოა კოლმეურნეობებში მშენებლობის ავტონომიური და საოლქო სამმართველოებისა და კოლმეურნეობებში მშენებლობის რაიონული განყოფილებებისათვის, მთავარ სამმართველოსადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის;

გ) შეაჩერებს მთავარ სამმართველოსადმი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების მიერ გამოცემული ბრძანებების შესრულებას და გააუქმებს ბრძანებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, მთავარი სამმართველოს უფროსის ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

დ) დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს მთავარ სამმართველოს მუშაკებს და უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებს, დაამტკიცებს დებულებებს მთავარ სამმართველოს განყოფილებათა შესახებ, აგრეთვე დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების დებულებებსა და წესდებებს.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარ სამმართველოს უფროსთან შეიქმნება ტექნიკური საბჭო, რომლის შემადგენლობას დაამტკიცებს მთავარი სამმართველოს უფროსი.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარ სამმართველოს სტრუქტურას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარ სამმართველოს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოხატულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბი და თავისი დასახელება.

64 მაგისტრალური მილსადენებისათვის მიწების გამოყოფის ნორმების შესახებ

„მაგისტრალური მილსადენებისათვის მიწების გამოყოფის ნორმების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 12 თებერვლის № 146 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს მილსადენების (გაზსადენების, ნავთობსადენების, ნავთობპროდუქტსადენების) მაგისტრალური გზების ტრასების გასწვრივ მიწების გამოყოფის ზოლის ზღვრული სიგანე, დანართის თანახმად.

მაგისტრალური მილსადენებისათვის ისეთი მიწების გამოყოფის დროს, რომლებიც გამოყენებულია განსაკუთრებით ძვირფასი კულტურებისათვის (ვენახები, ტექნიკური და ციტრუსოვანი კულტურების პლანტაციები და ა. შ.), დაწესდება მილსადენების ექსპლუატაციის პერიოდისათვის მიწების გამოყოფის ზოლის მინიმალური სიგანე იმ ანგარიშით, რომ შესაძლებელი გახდეს ამ მილსადენების მომსახურება და მათი მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა.

2. ნება დაერთოს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სახელმწიფო, საზოგადოებრივ საწარმოებსა და ორგანიზაციებს აწარმოონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვა, თიბვა და პირუტყვის ძოვება მაგისტრალური მილსადენების ტრასების გასწვრივ მდებარე ზოლში შემავალ მიწებზე იმ წესით, რაც დადგენილია მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ, მაგისტრალური მილსადენების შესაბამის სამმართველოებთან შეთანხმებით.

3. დაწესდეს სამსახურებრივი სათიბი ნაკვეთის (ნადელის) ოდენობა ერთ ოჯახზე მაგისტრალური მილსადენების (ნავთობსადენების, გაზსადენების, ნავთობპროდუქტსადენების) შემომვლელებისათვის, რომლებსაც სამსახურებრივი ცხენები ჰყავთ, აგრეთვე იმ შემომვლელებისათვის, რომლებსაც პირადი სარგებლობის პირუტყვი ჰყავთ— 0,5 ჰექტარამდე.

4. ამ დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნულ მუშაკთა სამსახურიდან დათხოვნის დროს (გამონაკლის შეადგენს დათხოვნა ინვალიდობის გამო) შეწყდება მათთვის გამოყოფილი სამსახურებრივი ნაკვეთების (ნადელების) სარგებლობის უფლება.

5. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს კონტროლი გაუწიონ მაგისტრალური მილსადენების შემომვლელებისათვის სამსახურებრივი ნაკვეთების

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ნადელების) გამოყოფას ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ფარგლებში, აგრეთვე ამ ნაკვეთების სწორად გამოყენებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ბ. **ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 5 ივნისი, № 453

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 5 ივნისის № 433
დადგენილების დანართი

ზღვრული სიგანე

მიწის გამოყოფის ზოლისა მაგისტრალური მილსადენების ტრასებზე

(მეტრობით)

ტრასების ხასიათი	გაზსადენ-ებისათვის	ნავთობსადენ-ებისა და ნავთობპროდუქტსადენ-ებისათვის
მშენებლობის პერიოდისათვის		
ერთი მილსადენისათვის	20	20
ორი მილსადენისათვის:		
ა) როდესაც დიამეტრი 500 მ/მ-მდეა . . .	25	25
ბ) როდესაც დიამეტრი 500 მ/მ და მეტია . . .	30	25
სამი მილსადენისათვის		
ა) როდესაც დიამეტრი 500 მ/მ-მდეა . . .	35	30
ბ) როდესაც დიამეტრი 500 მ/მ და მეტია . . .	40	30
ექსპლუატაციის პერიოდისათვის		
ერთი მილსადენისათვის	6	6
ორი მილსადენისათვის, რომლებიც ჩაწყობილია ცალკეულ ტრანშეებში:		
ა) როდესაც დიამეტრი 500 მ/მ-დეა (მანძილი გაზსადენების ღერძებს შორის—8 მ და ნავთსადენებსა და ნავთობპროდუქტებს შორის — 5 მ)	10	8
ბ) როდესაც დიამეტრი 500 მ/მ და მეტია (მანძილი ღერძებსა და გაზსადენებს შორის—9 მ და ნავთსადენებსა და ნავთობპროდუქტებს შორის—5 მ)	12	9
სამი მილსადენისათვის, რომლებიც ჩაწყობილია ცალკეულ ტრანშეებში (მანძილი მილსადენების ღერძებს შორის იგივეა, რაც ორი მილსადენისათვის):		
ა) როდესაც დიამეტრი 500 მ/მ-მდეა . . .	18	12
ბ) როდესაც დიამეტრი 500 მ/მ და მეტია	21	13

შენიშვნა: უკეთუ მილსადენების ტრასების გასწვრივ არსებობს ბოძებრივი კავშირი, მიწის გამოსაყოფი ზოლის სიგანე ექსპლუატაციის პერიოდში ერთი მილსადენისათვის შეიძლება გადიდდეს 1 მეტრამდე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

65 წიგნის გავრცელების გაუმჯობესების ზომების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში წიგნის გამოცემისა და გავრცელების საქმეს სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს.

გამომცემლობები ხშირად უშვებენ არასაინტერესო, ნაკლებად შინაარსიან წიგნებს და უწყებრივ გამოცემებს, რომლებზედაც არ არსებობს მოთხოვნილება მოსახლეობაში, ეწევიან გამოცემათა დუბლირებას ერთსა და იმავე თემებზე. ამასთან ერთად არ კმაყოფილდება მოთხოვნილება ხალხისათვის ბევრ ნამდვილად საჭირო წიგნზე.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, კავშირგაბმულობის სამინისტროს, ცეკავშირის და სხვა უწყებების წიგნის სავაჭრო ორგანიზაციები ცუდად სწავლობენ მოსახლეობის მოთხოვნილებას ცოდნის სხვადასხვა დარგის ლიტერატურაზე, შეცდომებს უშვებენ წიგნებზე მიცემულ შეკვეთებში და საკმაოდ არ ავითარებენ მაღაზიის გარეთ ვაჭრობის ფორმებს (ავტოდუქნები, ბაზრები, წიგნების დამტარებლები და ა. შ.). სუსტად არის დაყენებული წიგნის პროპაგანდა პრესის, რადიოსა და ტელეხედვის მეშვეობით.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო სახელმძღვანელოთა ტირაჟების დადგენისა და რაიონებში მათი შეტანის დაგეგმვის დროს ყოველთვის როდი ითვალისწინებს წიგნის სავაჭრო ორგანიზაციებში არსებულ გაუყიდავი სახელმძღვანელოების ნაშთებს.

ამის შედეგად, საწყობებსა და მაღაზიებში გროვდება გაუყიდავი ლიტერატურის დიდი ნაშთები, იზრდება წიგნის პროდუქციის ზენორმატიული მარაგი, წიგნებისა და ბროშურების მნიშვნელოვანი ნაწილი ძველდება და ღირებულებას კარგავს. მარტო საქწიგნის სისტემაში წიგნის პროდუქციის ზენორმატიული მარაგი 1959 წლის 1 აპრილისათვის 13.197 ათას მანეთს უდრის.

იშვიათი გამონაკლისის გარდა, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საერთო-სავაჭრო ქსელში არ არის მოწყობილი წიგნის გაყიდვა.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი არ ასრულებენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 27 მაისის № 353 დადგენილების იმ ნაწილს, რომელიც საქწიგნის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას შეეხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა მოსახლეობაში ლიტერატურის ფართოდ გავრცელებას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 1 აპრილის № 347 დადგენილების შესაბამისად, ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს ქალაქებში, მუშათა დაბებსა და სოფელ ადგილებში წიგნის სავაჭრო ქსელის გაშლის 1959—1961 წლების გეგმა №№ 1—3 დანართების თანახმად.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქწიგნს, ცეკავშირის გამგეობას, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) განიხილონ მოსახლეობაში წიგნის გავრცელების მდგომარეობის საკითხი და მიიღონ საჭირო ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის მოკლე ვადაში;

ბ) დაამტკიცონ 1959—1961 წლებისათვის წიგნის სავაჭრო ახალი საწარმოების დისლოკაცია, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა წიგნის მაღაზიებისა და კიოსკების გახსნა უწინარეს ყოვლისა სამრეწველო საწარმოების, აგრეთვე საცხოვრებელი კვარტალების მშენებლობის რაიონებში ქალაქებსა და მუშათა დაბებში; უზრუნველყონ საცალო სავაჭრო ქსელის გაშლის 1959—1961 წლების გეგმის შესრულება, რაც შეიძლება უფრო სრულად შეუფერხებლივ დააკმაყოფილონ მშრომელთა მოთხოვნილება წიგნებსა და ბროშურებზე; მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა გამოყონ შესაბამისი სადგომები წიგნის მაღაზიების მოსაწყობად;

გ) გააფართოონ ქალაქ თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და სტალინირში კარგად გაწყობილი წიგნის მაღაზიების ქსელი;

დ) მოაწყონ წიგნის დატარებითი ვაჭრობა ქალაქებში, მუშათა დაბებსა და სოფელ ადგილებში, გააფართოონ წიგნების მიყიდვა სხვა ქალაქელი მყიდველებისათვის—„წიგნი-ფოსტით“ განყოფილებათა მეშვეობით;

ე) მოაწყონ წიგნის ვაჭრობა დიდ დასახლებულ სასოფლო პუნქტებში წიგნის მაღაზიების ან კიოსკების მეშვეობით, აგრეთვე დიდ სასოფლო მაღაზიებში წიგნის კარგად მოწყობილი სპეციალური განყოფილებების მეშვეობით.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დახმარება გაუწიონ წიგნის სავაჭრო ორგანიზაციებს იმ მხრივ, რომ დაუთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონ მათ კარგად გაწყობილი სადგომები წიგნის მაღაზიებისა და ქიოსკების გასახსნელად დიდი სამრეწველო საწარმოების, მშენებლობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე.

4. დაევალოს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს მნიშვნელოვნად გააფართოოს მასობრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სასოფლო-სამეურნეო და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის. გაყიდვა „სოიუზპეჩატის" კიოსკების. კავშირგაბმულობის განყოფილებებისა და წერილების დამტარებლების მეშვეობით.

საქწიგნმა უზრუნველყოს აღნიშნული ლიტერატურის შეუფერხებლივ გადაცემა კავშირგაბმულობის ორგანოებისათვის.

5. დაწესდეს შტატგარეშე მუშაკების—წიგნდამტარებლების დიფერენციული საკომისიო გასამრჯელო იმ საკომისიო გასამრჯელოს ოდენობის ფარგლებში, რაც დაწესებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 19 მარტის № 3399 და 1957 წლის 4 ივნისის № 1355 განკარგულებებით იმ ანგარიშით, რომ გაიცეს ბრუნვის ხარჯების ანგარიშში:

	ნომინალური ღირებულების %-ად	
	საქწიგნის სისტემაში	ცეკავშირის სისტემაში
სპეციალური გამოცემებისათვის, რომლებიც განკუთვნილია მკითხველთა ვიწრო წრეზე, ჩამოფასებული ლიტერატურისათვის, ისეთი ლიტერატურისათვის, რომელიც არ არის რეალიზებული გამოცემიდან 2—3 წლის განმავლობაში	15	20
დარგობრივი ლიტერატურისათვის (საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, სამედიცინო, მუსიკალური, სპორტი, ფოტო, რადიო და სხვ.) . . .	12	17
მხატვრული ლიტერატურისათვის (მასობრივი სერია)	10	10
მხატვრული და სხვა ლიტერატურისათვის . . .	6	—
სტაბილური სახელმძღვანელოებისათვის . . .	3	5

6. დაევალოთ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობას სისტემატურად შეამოწმონ საცალო და საბითუმო ქსელის წიგნის ფონდები და საჭირო შემთხვევებში წარმოადგინონ წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადადებანი მოძველებული გამოცემების ჩამოწერისა და ჩამოსახვის შესახებ.

7. ვინაიდან წიგნის საქონლის მარაგის არსებული ნორმატივები დღეების მიხედვით ვერ უზრუნველყოფენ ისეთი სპეციალური გამოცემების ნორმალურ გავრცელებას, რომლებიც ნაანგარიშევია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში რეალიზაციისათვის, დაევალოთ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წარმოადგინონ წინადადებანი საქართველოს კულტურის სამინისტროს წიგნის ვაჭრობის რესპუბლიკური კანტორის სასაქონლო მარაგის ნორმატივების გადიდების შესახებ ისე, რომ მოხდეს მათი დიფერენციაცია წიგნის საქონლისა და სხვადასხვა საქონლის მიხედვით.

8. დაწესდეს 1959 წლის 1 აპრილიდან გამომცემლობებსა და წიგნის სავაჭრო ორგანიზაციებს შორის ანგარიშსწორების შემდეგი წესი:

ა) წიგნის სავაჭრო ორგნიზაციები მთლიანად გადაუხდიან გამომცემლობებს გამოცემათა ღირებულებას იმ შემთხვევაში, თუ ამ გამოცემათა ტირაჟები შეთანხმებულია წიგნის სავაჭრო ორგანიზაციებსა და გამომცემლობებს შორის;

ბ) იმ გამოცემებს, რომლებიც გამომცემლობებმა გამოუშვეს წიგნის სავაჭრო ორგანიზაციებთან შეთანხმებული ტირაჟების გადამეტებით, ეს უკანასკნელები მიიღებენ საკომისიო საფუძვლებზე და ამ გამოცემათა რეალიზაციის იმ ვადის გასვლის შემდეგ, რაც შეთანხმებულია წიგნის სავაჭრო ორგანიზაციებსა და გამომცემლობებს შორის, წიგნების გაუყიდავ ნაწილს წიგნის სავაჭრო ოგანიზაციები დაუბრუნებენ გამომცემლობებს.

9. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს განიხილოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 27 მაისის № 353 დადგენილების შესაბამისად, საერთო სავაჭრო ქსელში წიგნის ვაჭრობის საკითხი და მიიღოს საჭირო ზომები ამ მუშაობის ყოველმხრივ გაუმჯობესებისა და გაფართოებისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქწიგნმა უზრუნველყოს წიგნის მიწოდება საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსათვის ასორტიმენტულად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 6 ივნისი, № 466

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 6 ივნისის № [illegible]
დადგენილების დანართი № 1

გ ე გ მ ა

საქწიგნის საცალო ქსელის გაშლისა 1959—1961 წლებისათვის

	წიგნის ვაჭრობის ახლად გასახსნელი ქსელი								
	1959 წელი			1960 წელი			1961 წელი		
	მაღაზიები	კიოსკები	საწყობები	მაღაზიები	კიოსკები	საწყობები	მაღაზიები	კიოსკები	საწყობები
ქ. თბილისი . . .	3	10	—	3	10	1	4	10	—
აფხაზეთის ასსრ . . .	1	1	—	1	2	—	—	2	1
აჭარის ასსრ	—	1	—	1	2	—	—	2	1
სამხრეთ ოსეთის ა/ო	1	—	—	—	1	—	—	1	1
ქ. რუსთავი	1	1	—	1	1	—	—	1	—
ქ. გორი	—	—	—	—	1	—	—	1	—
ქ. ფოთი	1	1	—	—	1	—	—	1	—
ქ. ჭიათურა	—	1	—	1	—	—	—	1	—
ქ. ქუთაისი . . .	1	2	—	—	2	—	—	1	—
სულ	8	17	—	7	20	1	4	20	3

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 6 ივნისის № 463
დადგენილების დანართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ე ბ ო ა

ცეკავშირის სისტემის წიგნის სავაჭრო ქსელის გაშლისა 1959—1961 წლებისათვის

ორგანიზაციები	დაგეგმილია 1959—1961 წლებში მშენებლობა							სპეც. განყოფილებების მოწყობა სასოფლო მალაზიებთან		
	სპეც. წიგნის მალაზიები			წიგნის კიოსკები						
	1959	1960	1961	1959	1960	1961		1959	1960	1961
1. აფხაზეთავშირი	—	1	1	—	1	1	—	7	6	5
2. აჭარაოპეავშირი	—	—	1	—	1	1	—	6	4	3
3. სამხ. ოსეთის საოლქო კოოპეავშირი	—	1	2	—	1	—	1	3	2	2
4. ამბროლაურის რაიოოპეავშირი	—	—	1	—	—	—	—	2	1	1
5. ახალციხის „	—	—	—	—	—	—	—	2	1	1
6. ახალქალაქის „	—	—	—	—	—	—	1	3	2	2
7. ახმეტის „	1	—	—	—	—	—	—	1	1	1
8. ბოგდანოვკის „	—	1	—	—	—	—	—	1	—	1
9. ბოლნისის „	1	—	—	—	—	—	—	2	1	1
10. მარნეულის „	—	—	—	—	—	—	1	2	1	1
11. გეგეჭკორის „	—	—	—	—	—	1	1	2	2	2
12. გორის „	—	—	—	—	1	—	—	3	1	1
13. გურჯაანის „	—	—	—	—	—	—	—	3	2	2
14. დუშეთის „	—	—	—	—	1	—	1	2	1	1
15. ვანის „	—	—	—	—	—	—	1	2	1	1
16. ზესტაფონის „	—	—	—	—	—	—	—	2	1	1
17. ზუგდიდის „	—	—	—	—	—	1	—	5	3	2
18. საბურთალოს „	—	1	—	—	—	1	—	2	1	1

ორგანიზაციები		დაგეგმილია 1959—1961 წლებში მშენებლობა						ამავე სეზონში 1958 წლებში	სპეც. განყოფილებების მოწყობა სასოფლო მაღაზიებისაკენ		
		სპეც. წიგნის მაღაზიები			წიგნის კიოსკები						
		1959	1960	1961	1959	1960	1961		1959	1960	1961
19. თელავის	რაიყოფკავშირი	—	—	—	—	1	—	—	1	1	1
20. ყასის	„	—	1	—	—	—	—	—	2	1	1
21. ლაგოდეხის	„	1	—	—	—	1	—	—	3	2	2
22. ლანჩხუთის	„	—	—	1	—	—	—	—	3	2	2
23. მაზარაძის	„	—	—	—	—	1	1	—	5	3	2
24. ონის	„	—	—	1	1	—	—	—	1	1	1
25. ორჯონიკიძის	„	—	—	—	—	—	—	—	1	1	1
26. საგარეჯოს	„	—	—	—	—	1	—	1	1	1	1
27. სამტრედიის	„	—	—	—	—	—	1	—	2	1	1
28. სიღნაღის	„	—	—	—	—	—	1	1	2	1	1
29. ხაშურის	„	—	—	—	—	—	—	—	1	1	—
30. ჩოხატაურის	„	—	—	—	—	1	—	1	2	1	1
31. ჩხოროწყუს	„	—	—	—	—	—	—	—	1	1	1
32. წალენჯიხის	„	1	—	—	—	—	—	—	2	1	1
33. წულუკიძის	„	1	—	—	—	—	—	—	2	1	1
34. ქარელის	„	—	1	—	—	—	—	—	1	1	1
35. ქუთაისის	„	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
36. ცაგერის	„	—	—	—	—	—	—	—	1	1	1
37. ცხაკაიის	„	—	—	—	—	—	1	—	2	1	1
38. ყვარლის	„	1	—	—	—	—	—	—	1	1	1
39. წითელწყაროს	„	1	—	—	—	1	—	—	2	1	1
40. აბაშის	რაიყოფსერატელი	—	—	—	—	—	—	—	1	—	1
41. ადიგენის	„	—	1	—	—	—	—	—	—	1	—
42. ასპინძის	„	—	1	—	—	—	—	—	—	1	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაციები		დაგეგმილია 1959—1961 წლებში მშენებლობა						ანგარიშგადგენ-ებში გადა-ყვანა 1959—60 წლებში	სპეც. განყოფილებ-ების მოწყობა ადგილობრივ მალაზიებთან		
		სპეც. წიგნის მაღაზიები			წიგნის კიოსკები						
		1959	1960	1961	1959	1960	1961		1959	1960	1961
43. ბორჯომის	„	—	—	—	—	1	1	—	1	1	—
44. დმანისის	„	1	—	—	—	—	—	—	1	1	—
45. თიანეთის	„	—	1	—	—	—	—	—	1	—	1
46. თეთრიწყაროს	რაიკოოპკავშირი	1	—	—	2	—	—	—	2	1	1
47. მაიაკოვსკის	რაიკოოპერატივი	—	—	1	—	1	—	—	1	1	—
48. მცხეთის	„	—	—	—	—	—	—	1	—	1	1
49. საჩხერის	„	—	—	1	—	1	—	1	1	—	1
50. ტყიბულის	„	—	—	—	—	—	—	—	2	1	1
51. თერჯოლის	რაიკოოპკავშირი	—	1	—	—	—	—	—	1	1	1
52. ხობის	რაიკოოპერატივი	—	—	1	—	—	—	—	1	—	1
53. წალენჯიხის	რაიკოოპკავშირი	—	—	—	—	—	—	—	1	1	—
54. წყალტუბოს	„	—	—	—	—	1	—	—	2	1	1
55. ჭიათურის	რაიკოოპერატივი	—	—	—	—	—	—	—	1	1	1
56. ყაზბეგის	„	—	—	1	—	—	—	—	1	1	—
57. მესტიის	„	—	—	—	—	—	—	1	1	—	1
58. ლენტეხის	„	—	—	1	—	—	—	—	—	—	—
58. ფოთის	რაიკოოპკავშირი	—	—	—	—	—	—	—	1	—	—
	სულ	9	10	12	3	15	10	12	105	68	62

შენიშვნა: ვაჭრობის გარესამაღაზიო ფორმა 1959 წლისათვის—15 ავტოდუქანი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 6 ივნისის № 466
დადგენილების დანართი № 1

გ ე გ მ ა

კოსკების ქსელის გაშლისა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სისტემის ბეჭდვითი სიტყვის გავრცელების განყოფილების ხაზით 1959—1961 წლებისათვის

კავშირგაბმულობის საწარმოების დასახელება	ქსელის გაშლა		
	1959 წ.	1960 წ.	1961 წ.
1. ბორჯომი	—	1	1
2. ზესტაფონი	—	—	1
3. ქუთაისი	—	2	—
4. რუსთავი	—	—	2
5. ტყიბული	1	—	—
6. ხაშური	1	—	—
7. ცაგერი	1	—	—
8. წყალტუბო	1	—	—
9. ჭიათურა	1	—	—
10. აფხაზეთის ავტ. მშენებ. განყ.	2	3	3
11. აჭარის „ „ „	—	3	—
12. სამხ. ოსეთის „ „ „	—	—	1
13. ქ. თბილისი	8	10	15
სულ	15*)	19	23

*) მათ შორის ქ. თბილისში 1 მაღაზია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი.**

66 ქარსაცავი და მინდორსაცავი სატყეო ზოლების შექმნის, მათი მოვლისა და შენარჩუნების საქმეში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის რაიონისათვის მინიჭების პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 21 იანვრის № 66 დადგენილების მე-19 მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი პირობები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მინიჭებისა რაიონისათვის ქარსაცავი და მინდორსაცავი სატყეო ზოლების შექმნის, მათი მოვლისა და შენარჩუნების საქმეში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს შეაჯამონ მაჩვენებლები ცალკეული რაიონებისათვის ამ დადგენილებით დამტკიცებული პირობების თანახმად და თავიანთი წინადადებანი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მინიჭების შესახებ წარმოუდგინონ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წელიწადში ერთხელ არა უგვიანეს შემდგომი წლის 25 იანვრისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 20 ივნისი. № 512

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 20 ივნისის № 512
დადგენილებით

პ ი რ ო ბ ე ბ ი

რაიონისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მინიჭებისა ქარსაცავი და მინდორსაცავი სატყეო ზოლების შექმნის, მათი მოვლისა და შენარჩუნების საქმეში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნება რაიონს წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით:

1. სახელმწიფო ტყესაცავი ზოლებისა და ნარგავების (მინდორსაცავი სატყეო ზოლების, ეროზიის საწინააღმდეგო ტყის ნარგავების) გაშენების გეგმების შესრულების საუკეთესო მაჩვენებლებისათვის, იმ შემთხვევაში, თუ გახარებული და შენარჩუნებულია მერქან-ბუჩქნარის ჯიშების მიღებული განლაგების შესაბამისად გაშენებული ნარგავები: პირველი და მეორე წლების ნარგავი და ნათესი—ნათესი და ნარგავი ადგილების სულ ცოტა 90 პროცენტი საქართველოს დასავლეთი რაიონებისათვის და 85 პროცენტი—აღმოსავლეთი რაიონებისათვის, ხოლო მესამე და მეოთხე წლებისა—სულ ცოტა 85 პროცენტი საქართველოს დასავლეთი რაიონებისათვის და 80 პროცენტი—აღმოსავლეთი რაიონებისათვის.

2. რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახელმწიფო სანერგეებში ჯიშთა ჯგუფების მიხედვით სტანდარტული სარგავი მასალის თესვისა და გამოზრდის, რაიონისათვის დაწესებული მერქან-ბუჩქნარის ჯიშების თესლის დამზადების და სტანდარტული თესლნერგისა და ნერგის გამოსავლის გეგმის შესრულების საუკეთესო მაჩვენებლებისათვის: წიწვიანი ჯიშისა—არა ნაკლებ ერთი მილიონი ცალისა და ფოთლოვანი ჯიშისა—400 ათასი ცალი ჰექტარიდან რაიონის სანერგეების მთელ ფართობზე.

3. მერქან-ბუჩქნარის და ხეხილ-ტექნიკური ჯიშების კეთილხარისხოვანი თესლის დამზადების გეგმის შესრულებისათვის, I და II კლასის თესლის რაც შეიძლება მეტი გამოსავლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. თესლისა და სარგავი მასალის რეალიზაციის გეგმის შესრულებისა და პროდუქციის რეალიზაციისაგან ზეგეგმითი მოგების მიღებისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნება რაიონებს ქარსაცავი და მინდორსაცავი სატყეო ზოლების გაშენების, მოვლისა და შენარჩუნების საქმეში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის იმ პირობით, რომ რაიონმა შეასრულა ტყის კულტურებისა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა გეგმები, აგრეთვე შეინარჩუნა არსებული ბუნებრივი ტყის მასივები.

67 კოლმეურნეობათა იმ ყოფილი წევრების—ღრმა მოხუცებისა და ინვალიდების მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ, რომელთა მიწები საბჭოთა მეურნეობებს და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს გადაეცა

კოლმეურნეობათა იმ ყოფილი წევრების—ღრმა მოხუცებისა და ინვალიდების მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით, რომელთა მიწები საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს გადაეცათ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობათა იმ ყოფილ წევრებს—ღრმა მოხუცებსა და I და II ჯგუფის ინვალიდებს, რომლებიც სახელმწიფო პენსიებს არ იღებენ, რომელთა მიწები საბჭოთა მეურნეობებს და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს გადაეცა და რომლებმაც შეწყვიტეს თავიანთი საქმიანობა,—შეიძლება დაენიშნოთ დახმარება შემდეგი ოდენობით: 120 მანეთი თვეში—იმათ, ვინც ცხოვრობს ქალაქებში, მუშათა და საკურორტო დაბებში და 100 მანეთი თვეში იმათ, ვინც ცხოვრობს სოფელ ადგილებსა და სააგარაკო დაბებში, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ კავშირი სოფლის მეურნეობასთან, თუ მათ არა აქვთ შემოსავლის სხვა წყაროები ან არ ჰყავთ შრომისუნარიანი ნათესავები, რომლებიც კანონით მოვალენი არიან შეინახონ ისინი.

2. დახმარებას დაუნიშნავენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომები სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების წარდგენით.

3. აღნიშნული დახმარების მისაცემ ხარჯებს გაიღებენ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები ავტონომიური რესპუბლიკების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლქის შესაბამისი ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯზე.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს დაამტკიცოს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამ დადგენილებით გათვალისწინებული დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „იმ ინვალიდთა და ღრმა მოხუცთა მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც სახელმწიფო პენსიებს არ იღებენ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 10 აგვისტოს № 516 დადგენილების 1 მუხლის მესამე აბზაცი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 22 ივნისი, № 525

68 სავაჭრო ორგანიზაციებისათვის კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, საზამთროს და ნესვის შემოზიდვის, შენახვისა და საბითუმო რეალიზაციის ზედნადები ხარჯების ნორმების დაწესების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 18 აპრილის № 419 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნას 1959 წლის 1 აგვისტოდან სავაჭრო ორგანიზაციებისათვის კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, საზამთროსა და ნესვის შემოზიდვის, შენახვის და საბითუმო რეალიზაციის ზედნადები ხარჯების ახალი ნორმები, დანართის თანახმად.

2. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ მოახდინოს ზედნადები ხარჯების აღნიშნული ნორმების დიფერენცირება ცალკეული სავაჭრო ორგანიზაციების მიხედვით ამ ხარჯების დაწესებული საშუალო ნორმების ფარგლებში.

3. მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 18 აპრილის № 419 დადგენილების თანახმად, ძალადაკარგულად ითვლება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 18 დეკემბრის № 2456 დადგენილება „კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, საზამთროსა და ნესვის შემოზიდვის, შენახვის და საბითუმო რეალიზაციის ზედნადები ხარჯების ნორმების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 22 ივნისი, № 528

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 22 ივნისის № 528
დადგენილების დანართი

ნ ო რ მ ე ბ ი

კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, ბაღჩეული კულტურების და გადამუშავებული ბოსტნეულის შემოზიდვის, შენახვის და საბითუმო რეალიზაციის ზედნადები ხარჯებისა საქართველოს სსრ სავაჭრო ორგანიზაციებისათვის

(მანეთობით ერთ ტონაზე)

კარტოფილი	— 175
ახალი ბოსტნეული	— 120
ახალი ხილი	— 160
ციტრუსოვანთა ნაყოფი	— 220
ბაღჩეული კულტურები	— 100
გადამუშავებული ბოსტნეული	— 180

ზედნადები ხარჯების ნორმებს მათი ცალკეული წყაროების მიხედვით დააწესებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაძაძე.**

69 მტს-ების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობებში სამუშაოდ გადასული სოფლის მეურნეობის სპეციალისტების შრომის ანაზღაურების შესახებ

„მტს-ების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობებში სამუშაოდ გადასული სოფლის მეურნეობის სპეციალისტების შრომის ანაზღაურების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 მარტის № 331 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს, როგორც გამონაკლისი, და მიეცეს 1959 წლის 1 იანვრიდან 1960 წლის 1 იანვრამდე სახელმწიფოს ხარჯზე ყოველთვიური ფულადი დანამატი აგრონომებს, ზოოტექნიკოსებს, ინჟინერ (ტექნიკოს)-მექანიკოსებსა და ჰიდროტექნიკოსებს, რომლებიც მტს-ების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გადავიდნენ სამუშაოდ იმ ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობებში, რომელთაც ამჟამად ჯერ კიდევ არ შეუძლიათ უზრუნველყონ ამ სპეციალისტების შრომის ანაზღაურება (ანაზღაურების ნატურალური ნაწილის ჩათვლით, სახელმწიფო საცალო ფასებში გაანგარიშებით), მტს-ების შესაბამის სპეციალისტთა თანამდებობრივი განაკვეთის დონეზე კოლმეურნეობებისა და რაიონების მიხედვით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი სიისა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ამ დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული სია დაიყვანოს რესპუბლიკის თვითეულ კოლმეურნეობამდე.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს აუცილებლობის შემთხვევაში რაიალმასკომების განაცხადთა საფუძველზე დამატებით წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობაში სამუშაოდ გაგზავნილი სპეციალისტებისათვის სახელმწიფოს ხარჯზე ფულადი დანამატის ლიმიტები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუმაკვა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 30 ივნისი, № 538.

70 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს (საქართველოს სსრ მთავგაზის) დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს (საქართველოს სსრ მთავგაზის) შესახებ, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუბავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 30 ივნისი, № 540

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 30 ივნისის № 540
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს (საქართველოს სსრ მთავგაზის) შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო (საქართველოს სსრ მთავგაზი), რომელიც მოწყობილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 4 ნოემბრის № 739 დადგენილების შესაბამისად, მოქმედებს ამ დებულების საფუძველზე და თავის საქმიანობაში ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გაზიფიკაციის მთავარ სამმართველოს ეკისრება საქართველოს სსრ ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების გაზიფიკაციის სამუშაოთა ხელმძღვანელობა და კონტროლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო:

ა) შეიმუშავებს ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების გაზიფიკაციის პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს, აგრეთვე ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების საგაზო ქსელის დაპროექტება-მშენებლობის გეგმებს და დადგენილი წესით წარმოუდგენს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

ბ) განახორციელებს კონტროლს ქალაქებსა და დასახლებული პუნქტების გაზიფიკაციის საქართველოს სსრ მთავრობის მიერ დამტკიცებული გეგმების შესრულებისადმი;

გ) განიხილავს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების პერსპექტიულ და წლიურ განაცხადებს მათთვის ბუნებრივი და გათხევადებული გაზის გამოყოფის შესახებ;

დ) განახორციელებს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომების შესაბამისი ორგანოების მეშვეობით ტექნიკურ ხელმძღვანელობას საგაზო ქსელის და გაზდამრიგებელი სადგურების მშენებლობისა და ექსპლუატაციისადმი. წარმართავს მუშაობას საგაზო ქსელის და საგაზო მოწყობილობის მშენებლობის გაუმჯობესებისათვის გაზიფიკაციის ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფისა და მეცნიერების მიღწევების და მოწინავე ტექნიკის დანერგვისათვის;

ე) განახორციელებს კონტროლს საქართველოს სსრ ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების გაზმომარაგების პროექტების შედგენისადმი;

ვ) შეიმუშავებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარუდგენს შეჯამებითს განაცხადებს რესპუბლიკის გაზიფიკაციისათვის საჭირო მოწყობილობასა და მასალებზე;

ზ) განახორციელებს მუშაობას გაზსადენებისა და საგაზო მოწყობილობის მშენებლობის და ექსპლუატაციის დარგში მოწინავე საწარმოო გამოცდილების გაზიარებისათვის; მოაწყობს გაზიფიკაციის დარგში ჩვენი ქვეყნის და საზღვარგარეთის ტექნიკის მოწინავე გამოცდილებისა და მიღწევების შესწავლას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშავებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საგაზო მეურნეობის საწარმოებისათვის დახმარების გაწევას საწარმოო გეგმების, საგაზო ქსელის და დანადგარების დაპროექტების, მშენებლობისა და რეკონსტრუქციის გეგმების შესრულებაში;

ი) განიხილავს ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების გაზიფიკაციის იმ საპროექტო დავალებებს, რომლებიც შეტანილ უნდა იქნან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად, და თავის დასკვნებს წარმოუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

კ) განახორციელებს კონტროლს სამრეწველო მომხმარებლების მიერ გაზის რაციონალურად გამოყენებისადმი;

ლ) განახორციელებს კონტროლს ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების, აგრეთვე სამრეწველო საწარმოების (მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად) გაზიფიკაციის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხისადმი.

4. საგაზო ქსელის და საგაზო მეურნეობების შენახვისა და ექსპლუატაციის წესები, მითითებანი და ინსტრუქციები, რომლებსაც დადგენილი წესით გამოსცემს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო, — სავალდებულოა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ყველა სამინისტროსა, უწყებისა, საწარმოსა, დაწესებულებისა და მოსახლეობისათვის.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გაზიფიკაციის მთავარ სამმართველოს სათავეში უდგას უფროსი. მთავარი სამმართველოს (მთავგაზის) უფროსს და მის მოადგილეს — მთავარ ინჟინერს დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი:

ა) ხელმძღვანელობას გაუწევს საქართველოს სსრ მთავგაზის საქმიანობას, უზრუნველყოფს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ გაზიფიკაციის საკითხებზე მიღებულ დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულებას;

ბ) შეაჩერებს საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა (მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად) ხელმძღვანელების ისეთ ბრძანებებსა და განკარგულებებს და აღძრავს საკითხს მათი გაუქმების შესახებ, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირის მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, სსრ კავშირის „გლავგაზის“ უფროსის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსის დადგენილებებსა და განკარგულებებს;

გ) გამოსცემს საქართველოს სსრ მთავგაზის კომპენტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და მათ შესასრულებლად, ამასთან შეამოწმებს მათ შესრულებას;

დ) წარმოების ნოვატორ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მუშათა მოწინავე გამოცდილების გავრცელებისა და დანერგვის, გაზიფიკაციის დარგში ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებული უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შემუშავების მიზნით, მოიწვევს საჭირო შემთხვევებში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ორგანოების და იმ სხვა უწყებების მუშაკთა აქტივის თათბირებს, რომლებიც გაზიფიკაციის საკითხებს განაგებენ;

ე) დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს საქართველოს სსრ მთავგაზის მუშაკებს.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს, თუ როგორ ასრულებენ საქართველოს სსრ სამინისტროები, უწყებები და სახალხო მეურნეობის საბჭო ქალაქების, დასახლებული პუნქტების და საწარმოთა გაზიფიკაციის გეგმებს, მოისმინოს და მიიღოს მათგან ინფორმაციები ამ საკითხებზე;

ბ) მიიღოს საქართველოს სსრ სამინისტროებისაგან, უწყებებისაგან, სახალხო მეურნეობის საბჭოსაგან და საწარმოებისაგან საჭირო დოკუმენტები და სხვა მასალები საქართველოს სსრ მთავგაზზე დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად;

გ) გაგზავნოს საქართველოს სსრ მთავგაზის სისტემის მუშაკები მივლინებებში რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, გარდა ქალაქ მოსკოვისა.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გაზიფიკაციის მთავარ სამმართველოსთან შეიქმნება ტექნიკური საბჭო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს სტრუქტურასა და შტატს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გაზიფიკაციის მთავარ სამმართველოს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოხატულია საქართველოს სსრ ღერბი და თავისი სახელწოდება.

71 ეკონომიური ბინებიანი საცხოვრებელი სახლების ტიპობრივი პროექტების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს 1—319ს მოქმედი სერიის დამატებით საქართველოს სსრ შვიდბალიანი სეისმურობის რაიონებში მშენებლობისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ეკონომიური ბინებიანი და აგურის კედლებიანი შემდეგი ტიპის საცხოვრებელი სახლების ტიპობრივი პროექტების საპროექტო დავალებანი, რომლებიც შეიმუშავა საპროექტო ინსტიტუტმა — ქალაქმშენპროექტმა:

ა) 70-ბინიანი 5-სართულიანი სახლისა;

ბ) 48-ბინიანი 5-სართულიანი სახლისა (მაღაზიებით);

გ) 48-ბინიანი 4-სართულიანი სახლისა (უაბაზანებოდ);

დ) 24-ბინიანი 4-სართულიანი სახლისა.

2. დამტკიცდეს საპროექტო დავალებათა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 3 ივლისი, № 550.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის
3 ივლისის № 550 დადგენილების დანართი

ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები

ეკონომიური ბინებიანი (რომლებსაც არა აქვთ კეთილმოწყობა და გარეგანი ქსელი) და აგურის კედლებიანი საცხოვრებელი სახლების ტიპობრივი პროექტების საპროექტო დავალებებისა

სახლის ტიპი	საერთო მოცულობა (კუბ. მეტრი)	საერთო საცხოვრებელი ფართობი (კვ. მეტრი)	საშუალო საცხოვრებელი ფართობი (კვ. მეტრი)	ერთი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობის ღირებულება (მან.)	ერთი ბინის ღირებულება (მან.)
5-სართულიანი 70-ბინიანი	9962,7	2044,5	30,0	1125,8	32900
5-სართულიანი 48-ბინიანი (მაღაზიებით) . . .	9482,35	1375	28,6	1173,0	33600
4-სართულიანი 48-ბინიანი (უბაბანებოდ) . . .	7133,28	1383	28,8	994,2	28650
4-სართულიანი 24 ბინიანი	4368	773	32,2	1148,8	37000

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

72 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურების ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის ტიპობრივი შტატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურების ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის ტიპობრივი შტატები, დანართის თანახმად.

2. დაწესდეს, რომ მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურის საშტატო ცხრილს დაამტკიცებს მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობების და მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურების ტრესტის მმართველი ამ ტიპობრივი შტატების შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის, შრომის გეგმისა და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების ხარჯთაღრიცხვების ფარგლებში.

სამუშაოთა მოცულობის გადიდებასთან დაკავშირებით მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურების გადაყვანა უმაღლეს კატეგორიაში შტატების მიხედვით წარმოებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ წელიწადში ერთხელ საფინანსო ორგანოებში შტატების მორიგი რეგისტრაციის დროს, ხოლო ამ ორგანიზაციების გადაყვანა უფრო დაბალ კატეგორიაში — სამუშაოთა მოცულობის შემცირების შემდეგ ერთი თვის ვადაში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1959 წლის პირველ აგვისტოსათვის შეუფარდოს მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურების შტატები ამ დადგენილებით დამტკიცებულ ტიპობრივ შტატებს.

4. ამ დადგენილების გამოცემასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 10 მარტის № 143 დადგენილება „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეფრინველეობის საინკუბატორო სად-

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გურების რესპუბლიკური ტრესტის და მეფრინველეობის საინკუბა-ტორო სადგურების სამმართველო პერსონალის ტიპობრივი შტატებ-ბის დამტკიცების შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუშავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 7 ივლისი, № 557.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 7 ივლისის № 551
დადგენილების დანართი

ტიპობრივი შტატები

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურებისა

	კატეგორიები შტატებით წიწილების გამოჩეკისა და გასუქების გეგმის მიხედვით		
	III	II	I
	გამოჩეკისა 150 ათასამდე ჩათვლით	გამოჩეკისა 151-დან 250 ათასამდე ჩათვლით	გამოჩეკისა 250 ათასზე ზევით
	გასუქებისა 20 ათასამდე ჩათვლით	გასუქებისა 20 ათას. ზევით 50 ათასამდე ჩათვლით	გასუქებისა 50 ათასზე ზევით
1. დირექტორი — ზოოტექნიკოსი	1	1	1
2. უფროსი ზოოტექნიკოსი . .	1	1	1
3. ზოოტექნიკოსი გასუქების დარგში	—	1	2
4. ზოოტექნიკოსი საჯიშე საქმის დარგში	1	1	1
5. უფროსი ბუღალტერი . . .	1	1	1
6. მოანგარიშე-მოლარე	1	1	1
სულ . , ...	5	6	7

შენიშვნა: 1. როდესაც გამოჩეკილია 250 ათასზე მეტი წიწილი და გასუქებულია 50 ათას სულზე ნაკლები, მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური მიეკუთვნოს II კატეგორიას.

2. მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურების ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებულია 100 მანეთი თვეში შენობის დალაგების სამუშაოთა ასანაზღაურებლად.

3. III კატეგორიის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურების დირექტორების თანამდებობრივი განაკვეთები დაწესდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 21 აპრილის № 1711 დადგენილების შესაბამისად.

II კატეგორიის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურების დირექტორებს თანამდებობრივი განაკვეთები დაუწესდებათ იმ თანამდებობრივი განაკვეთების 5 პროცენტით მეტი, ხოლო პირველი კატეგორიის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურების დირექტორებს — 10 პროცენტით მეტი, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათვალისწინებულია III კატეგორიის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურების დირექტორებისათვის, რომლებსაც სათანადო განათლება ან ტექნიკუმის სტაჟი აქვთ.

4. მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურების ზოოტექნიკოსებს და უფროს ზოოტექნიკოსებს თანამდებობრივი განაკვეთები დაუწესდებათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 21 აპრილის № 1711 დადგენილების შესაბამისად.

5. ტიპობრივი შტატებით გათვალისწინებულ მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურების დანარჩენ მუშაკებს თანამდებობრივი განაკვეთები შეუნარჩუნდებათ საფინანსო ორგანოების მიერ რეგისტრირებული განაკვეთების ოდენობით, ხოლო ახლად მოწყობილ მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურებში დაწესდება შესაბამის მუშაკთა იმ განაკვეთების დონეზე, რომლებიც მოქმედებენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაობის მოცულობის მსრივ ანალოგიურ საინკუბატორო სადგურებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

73 მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის, პროპაგანდისა და საგანმანათლებლო საქმიანობის გაუმჯობესების ზომების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის მიერ დასახული ამოცანები საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის საფუძველზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობის და შრომის ნაყოფიერების ზრდის დარგში მოითხოვენ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ძირეულად გაუმჯობესებას და სწორად დაყენებას.

მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, პროგრესული ტექნოლოგიისა და მოწინავე საწარმოო გამოცდილების დანერგვა წარმოადგენს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს და შემდგომი ტექნიკური პროგრესის აუცილებელ პირობას.

უკანასკნელ დროს ამ მიმართულებით საქართველოს სს რესპუბლიკაში ერთგვარი დადებითი მუშაობა ჩატარდა: გადიდდა გამოცემული საინფორმაციო ლიტერატურის რაოდენობა, ტექნიკური პროპაგანდისა და მოწინავე საწარმოო-ტექნიკური გამოცდილების გაზიარების საქმეში ებმებიან ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და წარმოების მოწინავეთა სულ უფრო ფართო წრეები.

სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის გამოცემას ბიულეტენების, ბროშურების, ფურცლებისა და სხვა საინფორმაციო მასალების სახით რესპუბლიკაში ძირითადად ეწევიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო და ცალკეული მსხვილი საწარმოები და ორგანიზაციები (სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო, საქენერგოს სამმართველო, ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა, რუსთავის აზოტსასუქის ქარხანა, დიმიტროვის სახელობის ქარხანა), ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო.

მაგრამ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის ორგანიზაციის საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს: რესპუბლიკაში არ წარმოებს ტექნიკური ინფორმაციის მრავალრიცხოვანი ორგანოების მუშაობის კოორდინაცია და კონტროლი, რაც იწვევს ძალების დაქსაქსვას, პარალელიზმს მუშაობაში, სახელმწიფო სახსრების, ქაღალდის ფონდებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პოლიგრაფიული ბაზის არარაციონალურად გამოყენებას, აგრეთვე ბევრ შემთხვევაში საინფორმაციო მასალების დაბალ ხარისხს.

მაგალითად, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო, რომელსაც აქვს ტექნიკური ინფორმაციის განყოფილება და ჰყავს 22 კაცისაგან შემდგარი შტატი ხელფასის 240 ათასი მანეთის წლიური ფონდით, სხვა საინფორმაციო მასალებთან ერთად სასტამბო წესით უშვებს ტექნიკური ინფორმაციის მრავალდარგიან ბიულეტენს, რომელიც აშუქებს მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის არააქტუალურ საკითხებს. სტატიებს ძირითადად აქვთ აღწერითი ხასიათი შესაბამისი დასკვნების, რეკომენდაციებისა და შესამუშავებელი მანქანა-დანადგარების არსებულ მანქანა-დანადგარებთან **შედარების გარეშე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტი და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის მისი ინსტიტუტი, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი საკმაო ხელმძღვანელობას არ უწევენ რესპუბლიკაში სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციას და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების პროპაგანდას; საკმარისი არ არის კონტროლი სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის მასალების გამოყენებისადმი ახალი ტექნიკის, მოწინავე საწარმოო გამოცდილების დასანერგავად საწარმოებში და მშენებლობებზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 18 აპრილის № 418 დადგენილების შესაბამისად და იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს საქართველოს სს რესპუბლიკაში სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის, ჩვენი ქვეყნის და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების და მოწინავე საწარმოო გამოცდილების პროპაგანდის ორგანიზაცია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაეკისროთ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ორგანოების საქმიანობის, აგრეთვე საქართველოს სს რესპუბლიკაში მოწინავე გამოცდილების პოპულარული სამეცნიერო ტექნიკური ლიტერატურისა და მოწინავე გამოცდილების ლიტერატურის გამოცემის საქმის კოორდინაცია და მეთოდური ხელმძღვანელობა: მრეწველობის დარგში—საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტს და მშენებლობის დარგში—საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. მრეწველობასა და მშენებლობაზე მოწინავე გამოცდილებისა შესახებ პოპულარული სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის გამოცემა დაეკისროს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს", ამასთან მთელი ეს ლიტერატურა უნდა გამოიცეს ფასიანი, ხოლო სამეცნიერო-ტექნიკური საინფორმაციო მასალების (ბიულეტენები, საინფორმაციო ფურცლები, უცხოური ლიტერატურის თარგმანები) გამოცემა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს, ამასთან აღნიშნული მასალების გამოშვება დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ინსტიტუტს.

3. დაეკისროთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს:

ა) სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების უზრუნველყოფა საინფორმაციო მასალებით ჩვენი ქვეყნის და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების შესახებ, აგრეთვე ისეთი მასალებით, რომლებიც განაზოგადებენ მოწინავე გამოცდილებას მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე;

ბ) იმისადმი კონტროლი, რომ დაყვანილ იქნან მკითხველთა ფართო წრემდე რესპუბლიკაში გამოცემული სამეცნიერო-ტექნიკური საინფორმაციო მასალები, რათა გამოყენებულ იქნან ისინი საწარმოებში და მშენებლობებზე; საჭირო ზომების მიღება მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე საწარმოო-ტექნიკური გამოცდილების მიღწევების უსწრაფესად დანერგვის უზრუნველყოფისათვის.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს ფართოდ შემოიღონ საწარმოთა და წარმოების ნოვატორთა მუშაობის პროგრესული მეთოდების შესწავლა და განზოგადება მრეწველობასა და მშენებლობაზე ამ მეთოდების დანერგვის ღონისძიებათა შესამუშავებლად.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტს გააძლიეროს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ინსტიტუტის მუშაობა იმ ან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ბიულეტენების გამოცემა მრეწველობისა და მშენებლობის ხაზით ყოველთვიურად თითო ნომერი ქართულ და რუსულ ენებზე 1000 ცალი ტირაჟით თვითეული, საინფორმაციო ფურცლების გამოცემა 100 ნაბეჭდი ფურცლის წლიური მოცულობით და უცხოური ლიტერატურის თარგმანების გამოცემა წელიწადში 100 ნაბეჭდი ფურცლის მოცულობით.

6. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს შეიტანოს კულტურის სამინისტროს გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს 1959 წლის სამუშაოთა გეგმაში სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ბიულეტენების, საინფორმაციო ფურცლებისა და უცხოური ლიტერატურის თარგმანების დაბეჭდვა, რომლებსაც გამოსცემს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ინსტიტუტი ამ დადგენილების თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუბაბა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 11 ივლისი, № 577

74 საქართველოს სს რესპუბლიკაში სკოლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს ინსტრუქცია საქართველოს სს რესპუბლიკაში სკოლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის შესახებ.

2. დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს მტკიცედ იხელმძღვანელონ აღნიშნული ინსტრუქციით, ხოლო საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და სტატის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკურმა სამმართველომ უსასტიკესი კონტროლი გაუწიოს ზუსტად შესრულებას ადგილებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუპავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 15 ივლისი, № 579

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 15 ივლისის № 579
დადგენილებით

ინსტრუქცია

საქართველოს სს რესპუბლიკაში სკოლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის შესახებ

I. აღრიცხვის ორგანიზაციის ზოგადი დებულებანი

1. კანონით „საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცების და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ 1959—1960 სასწავლო წლიდან შემოღებულია საქართველოს სს რესპუბლიკაში ყველგან საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლება, ნაცვლად საყოველთაო სავალდებულო შვიდწლიანი განათლებისა, 7-დან 15 წლის ასაკამდე ბავშვებისა და მოზარდებისათვის.

ქალაქებსა და სოფელ ადგილებში საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების გატარებაზე კონტროლის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე ყოველწლიურად ტარდება ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვა 7-დან 15 წლამდე ჩათვლით.

მომავალ წელს პირველ კლასში მისაღებ მოსწავლეთა კონტინგენტების დასაგეგმავად ყოველწლიურად დგება აგრეთვე 6 წლის ბავშვების სიები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სკოლის ასაკის ბავშვთა აღრიცხვას ატარებენ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები. სტატისტიკური სამმართველოს ორგანოები ადგილებზე უშუალო მონაწილეობას იღებენ იმ ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის მომზადებასა და ჩატარებაში, რომლებსაც საყოველთაო სავალდებულო სწავლება ეხებათ, და პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათი დროულად და ზუსტად აღრიცხვისათვის.

3. პასუხისმგებლობა 7-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვთა და მოზარდთა სწავლებაში ჩაბმისათვის ეკისრება აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

4. ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვა ხორციელდება სასოფლო საბჭოების, ქალაქებისა და სხვა ქალაქის ტიპის დასახლებათა და ადმინისტრაციული რაიონების საზღვრებში. აღრიცხვა წარმოებს სიების შედგენის გზით თანდართული ფორმის მიხედვით, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს იმავე საკითხების შემცველი ბარათებით; სიების შესადგენად საჭირო ცნობების წყაროს წარმოადგენენ სოფელ ადგილებში სასოფლო საბჭოს საკომლო წიგნები და დროებით მცხოვრებთა სიები, ქალაქებში—საბინაო წიგნები მოსახლეობის გაწერის შესახებ. ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც ამ წყაროების მონაცემების სისწორე ეჭვს იწვევს, ხდება ცალკეული კომლების ან სახლებისა და ბინების ჩამოვლა.

5. აღრიცხვაზე უნდა იყოს აყვანილი ყველა ბავშვი და მოზარდი 6-დან 15 წლამდე ჩათვლით, რომლებიც ცხოვრობენ სასოფლო საბჭოს, ქალაქისა და სხვა ქალაქის ტიპის დასახლების ტერიტორიაზე, როგორც ისინი, ვინც სკოლებში ან სხვა სასწავლებლებში (ტექნიკუმებში, შრომითი რეზერვების სკოლებში, ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვთა და სხვა სკოლებში) სწავლობს, ისე ისინიც, ვინც არსად არ სწავლობს. 15 წლის ასაკამდე ბავშვების ჩათვლით დაწყებითი ან შვიდწლიანი სკოლის კურსდამთავრებულნი და სკოლებიდან გასულნი, ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვებსა და მოზარდებზე (უსინათლოები, გონებრივად ჩამორჩენილები, ყრუმუნჯები) შედგება ცალკეული სიები, რომლებიც გამოყენებული იქნება ამ ბავშვთა ჩასაბმელად სპეციალურ სკოლებში.

6. ბავშვთა და მოზარდთა სიების შედგენა და მათში შემდგომი ცვლილებების შეტანა ეკისრებათ სოფელ ადგილებში სასოფლო საბჭოების აღმასკომებს, ხოლო ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახ-

ლებულ ადგილებში (დაბებში)—სახლთა მმართველებს, უფროსი სახლების, საერთო საცხოვრებლების კომენდანტებს. საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების დირექტორებს, საქალაქო და სადაბო აღმასკომების სპეციალურ რწმუნებულებს პირადი საკუთრების სახლებში. სასოფლო-სადაბო და საქალაქო აღმასკომები სიების შესადგენად მოიწვევენ სკოლების დირექტორებს (გამგეებს), სახალხო განათლების კომისიების წევრებს, სხვა საბჭოთა აქტივს.

7. ბავშვთა და მოზარდთა სიები ინახება სოფლის, სადაბო და საქალაქო აღმასკომებში ან ქალაქის რაიაღმასკომებში (რომლებსაც რაიონული დაყოფა აქვთ), როგორც საბუთები საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებაზე კონტროლისათვის და როგორც მასალა ამის შესახებ ანგარიშის შესადგენად.

იმ ბავშვებზე შედგენილი თვითეული სია, რომლებსაც 6 წელი შეუსრულდათ, შემდეგში მთელი პერიოდის მანძილზე გამოიყენება იმ დრომდე, ვიდრე სიაში შეტანილ ბავშვებს 15 წელი შეუსრულდებათ. სიაში ყოველწლიურად შეიტანება ყოველ მოცემულ წელს დაბადებულ ბავშვთა და მოზარდთა შემადგენლობაში მომხდარი ცვილებები, ე. ი. ჩაიწერებიან მოსულები, ამოირიცხებიან წასულები, კეთდება აღნიშვნები სწავლების შესახებ. ის სიები, რომლებიც ხანგრძლივი ხმარების გამო უვარგისი გახდა, მთლიანად ან ნაწილობრივ განახლდება საჭიროების მიხედვით.

8. სკოლების დირექტორები (გამგეები) სასწავლო წლის განმავლობაში საჭირო ზომების მისაღებად სათანადო აღმასკომს (საქალაქო, სადაბო ან სასოფლო აღმასკომს) აცნობენ იმ ბავშვების შესახებ რომლებმაც მეცადინეობა შეწყვიტეს. შეტყობინება გაიგზავნება არა უგვიანეს 5 დღისა მოსწავლეების მიერ სკოლაში მეცადინეობის შეწყვეტის დროიდან.

II. მოსამზადებელი მუშაობა აღრიცხვის ჩასატარებლად

9. სკოლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა სიების დროულად შედგენისა და შემოწმების მიზნით, რაიონული და საქალაქო აღმასკომები მოვალენი არიან 1 აგვისტომდე:

ა) სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასკომებისა და მილიციის ორგანოების მეშვეობით დააზუსტონ საკომლო წიგნებსა და საბინაო წიგნებში ჩანაწერები 6-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვების შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) სპეციალურად დანიშნული რწმუნებულების მეშვეობით შეადგინონ ბავშვთა სიები ქალაქებისა და მუშათა დაბების იმ სასოფლებში, რომლებიც მოქალაქეთა პირად საკუთრებაშია და შეამოწმონ სახლმმართველობისა და სხვა საბინაო-კომუნალური მეურნეობების მიერ წარმოდგენილი სიები.

გ) სსრ კავშირის სტატისტიკური სამმართველოს რაიონული (საქალაქო) ინსპექტორების მონაწილეობით მოაწყონ იმ პირთა ინსტრუქტაჟი, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სკოლის ასაკის ბავშვთა აღრიცხვის სისრულისა და დროზე ჩატარებისათვის;

დ) უზრუნველყონ აღრიცხვის სიის ფორმის დაბეჭდვა. მოამარაგონ სუფთა ბლანკებით ის პირები, რომლებიც ბავშვთა აღრიცხვას ეწევიან, ხოლო სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომები, გარდა ამისა, ბლანკებით „ნაკრები ცნობები 1 სექტემბრისათვის 6 და 7 წლის ასაკის ყველა ბავშვის და 7—15 წლის იმ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობის აღრიცხვის შესახებ, რომლებიც სკოლებში არ სწავლობენ სასწავლო წლის დამდეგისათვის“ (რაიაღმასკომის ფორმა № 77).

ბავშვთა აღრიცხვის ინსტრუქციას და ნაკრები ანგარიშგების ფორმას ბეჭდავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

III. სოფელ ადგილებში ბავშვთა აღრიცხვის წესი

10. სასოფლო საბჭოების აღმასკომები მოვალენი არიან:

ა) დააზუსტონ საკომლო წიგნებსა და დროებით მცხოვრებთა სიებში ჩანაწერები ბავშვებისა და მოზარდების შესახებ 6—15 წლის ჩათვლით;

ბ) ამ დაზუსტების საფუძველზე შეიტანონ საჭირო ცვლილებები ბავშვთა და მოზარდთა სიების იმ დედნებში, რომლებიც სასოფლო საბჭოებში ინახება;

გ) არა უგვიანეს 15 აგვისტოსი შეადგინონ იმ ბავშვთა სიები, რომლებსაც 1 სექტემბრისათვის შეუსრულდებათ 6 წელი, აგრეთვე იმ ბავშვებისა, რომლებსაც 1 სექტემბრისათვის შეუსრულდებათ 7 წელი (ე. ი. შეამოწმონ გასულ წელს შედგენილი 6 წლიანთა სიები) და დანარჩენი ასაკის იმ ბავშვებისა, რომლებიც არ სწავლობენ;

დ) არა უგვიანეს 20 აგვისტოსი გადასცენ თვითეული სკოლის დირექტორს (გამგეს) 7—15 წლის იმ ბავშვთა და მოზარდთა სია, რომლებმაც მოცემულ სკოლაში უნდა ისწავლონ.

11. სკოლების დირექტორები (გამგეები) შეამოწმებენ ბავშვთა და მოზარდთა გამოცხადებას სკოლაში, გამოარკვევენ გამოუცხადებლობის მიზეზებს და არა უგვიანეს 5 სექტემბრისა წარუდგენენ სასოფლო საბჭოების აღმასკომებს იმ ბავშვთა სიებს, რომლებიც სკოლაში არ გამოცხადებულან, გამოუცხადებლობის მიზეზების აღნიშვნით. ხოლო წლის განმავლობაში აცნობებენ იმ ბავშვების შესახებ, რომლებმაც მეცადინეობას თავი მიანებეს. ამასთან დირექტორები მიაწვდიან აგრეთვე ცნობებს იმ ბავშვების შესახებ, რომლებიც გამოცხადდნენ სკოლაში, მაგრამ არ იყვნენ შეტანილი სასოფლო საბჭოების აღმასკომების მიერ წარდგენილ სიებში. მეცადინეობაზე ბავშვთა გამოცხადების შემოწმება წარმოებს სასოფლო საბჭოს აღმასკომისაგან მიღებული სიების და იმ მოწაფეთა სკოლაში არსებული სიების საფუძველზე, რომლებიც სწავლობდნენ სკოლაში წინა სასწავლო წელს.

12. მიმდინარე და შემდგომ სასწავლო წლებში სკოლაში ჩასაბმელ 6 და 7 წლის ასაკის ბავშვთა სიების, აგრეთვე იმ ბავშვთა და მოზარდთა შესახებ სკოლებიდან მიღებული ცნობების საფუძველზე, რომლებიც სკოლაში არ გამოცხადებულან, სასოფლო საბჭოს აღმასკომი შეადგენს ნაკრებ ცნობას 1 სექტემბრისათვის 6 და 7 წლის ასაკის ბავშვთა და 7—15 წლის ასაკის იმ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობის შესახებ, რომლებიც სკოლაში არ სწავლობენ სასწავლო წლის დასაწყისში (რაიაღმასკომის ფორმა № 77) და არა უგვიანეს 15 სექტემბრისა წარუდგენს სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს რაიინსპექტორს.

13. სასწავლო წლის განმავლობაში სასოფლო საბჭოების აღმასკომები მოვალენი არიან მიაწოდონ სათანადო სკოლებს ცნობები სკოლის ასაკის იმ ბავშვების შესახებ, რომლებიც მოცემულ დასახლებულ პუნქტში მოვიდნენ სასწავლო წლის დაწყების შემდეგ, რათა სკოლამ მიიღოს ზომები ამ ბავშვთა სკოლაში ჩასაბმელად.

ცნობა გაეგზავნება სკოლას არა უგვიანეს 5 დღისა იმ დროიდან, რაც ბავშვი ან მოზარდი მოვიდა მოცემულ დასახლებულ პუნქტში.

IV. ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში (დაბებში) ბავშვთა აღრიცხვის წესი.

14. ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში (დაბებში) მილიციის ორგანოებმა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის მითითებით 1 აგვისტომდე უნდა შეამოწმონ საბინაო წიგნების ჩანაწერების სის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორე 6—15 წლის ასაკის ბავშვებისა და მოზარდების შესახებ. შეიტანონ აღნიშნულ წიგნებში საჭირო შესწორებანი.

15. სახლმმართველები, უწყებრივი სახლების, საერთო საცხოვრებლების კომენდანტები, საბავშვო სახლების გამგეების, საქალაქო (რაიონული) აღმასკომების რწმუნებულები მოქალაქეთა პირადი საკუთრების სახლების საბინაო წიგნებში შემოწმებული ჩანაწერების საფუძველზე შეადგენენ იმ ბავშვთა სიებს, რომლებსაც 1 სექტემბრისათვის უსრულდებათ 6 წელი, იმ ბავშვებისა, რომლებსაც უსრულდებათ 7 წელი (ე. ი. შეამოწმებენ გასულ წელს შედგენილ 6 წლიანთა სიებს) და დანარჩენი ასაკის იმ ბავშვებისა, რომლებიც არ სწავლობენ და არა უგვიანეს 10 აგვისტოსი ამ სიებს წარუდგენენ რაიონული დაყოფის არ მქონე ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლების (დაბების) საქალაქო აღმასკომს ან სადაბო საბჭოს აღმასკომს. ხოლო რაიონული დაყოფის მქონე ქალაქებში—რაიაღმასკომებს.

16. საქალაქო, რაიონული და სადაბო აღმასკომები ამოწმებენ და სისტემაში მოყავთ ბავშვთა და მოზარდთა შესახებ წარმოდგენილი სიები, აჯგუფებენ მათ სკოლების მიკრორაიონების მიხედვით, არა უგვიანეს 15 აგვისტოსი გადასცემენ სიებს იმ სკოლების დირექტორებს (გამგეებს), რომლებშიაც უნდა ისწავლონ ბავშვებმა და მოზარდებმა. ბავშვთა და მოზარდთა ძირითადი სიები ინახება აღმასკომებში.

სკოლის დირექტორი ან გამგე სისტემატურად ყურადღებას აქცევს სკოლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა სწავლებას თავისი სკოლის მიკრორაიონში და მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომების საშუალებით ღებულობს საჭირო ზომებს სკოლის გარეთ დარჩენილ ბავშვთა სწავლებაში ჩასაბმელად, ამასთან სიებში შეაქვთ საჭირო ცვლილებები მოსწავლეთა სკოლაში მოსვლისა ან სკოლიდან გადასვლასთან დაკავშირებით.

17. სკოლების დირექტორები (გამგეები) ამოწმებენ ბავშვთა და მოზარდთა გამოცხადებას სკოლაში, არკვევენ გამოუცხადებლობის მიზეზებს და არა უგვიანეს 5 სექტემბრისა უდგენენ საქალაქო, რაიონულ და სადაბო აღმასკომს იმ ბავშვთა სიებს, რომლებიც სკოლაში არ გამოცხადებულან, გამოუცხადებლობის მიზეზების აღნიშვნით. დირექტორები ანცობებენ აგრეთვე იმ ბავშვთა შესახებაც, რომლებიც გამოცხადდნენ სკოლაში, მაგრამ არ იყვნენ შეტანილი სკოლაზე გადაცემულ სიებში. ბავშვთა გამოცხადების შემოწმება წარმოებს აღმასკომებისაგან მიღებული სიებისა და სკოლაში არსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული იმ მოწაფეთა სიების საფუძველზე, რომლებიც სკოლაში სწავ-
ლობდნენ წინა სასწავლო წელს.

18. მიმდინარე და შემდგომ სასწავლო წლებში სკოლაში ჩასაბ-
მელ 6 და 7 წლის ასაკის ბავშვთა სიებისა, აგრეთვე იმ ბავშვთა და
მოზარდთა შესახებ სკოლებიდან მიღებული ცნობების საფუძველზე
რომლებიც სკოლაში არ გამოცხადებულან, საქალაქო აღმასკომი
(რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა), ქალაქის რაიაღმასკომი
(რომლებსაც რაიონული დაყოფა აქვთ) და სადაბო აღმასკომი შეად-
გენს ნაკრებ ანგარიშს 1 სექტემბრისათვის 6 და 7 წლის ასაკის ყვე-
ლა ბავშვისა და 7—15 წლის ასაკის იმ ბავშვთა და მოზარდთა რაო-
დენობების შესახებ, რომლებიც არ სწავლობენ სკოლებში სასწავლო
წლის დასაწყისში (რაიაღმასკომის ფორმა № 77) და წარუდგენენ მას
სსრკ სტატისტიკური სამმართველოს რაიონულ (საქალაქო) ინსპექ-
ტორს არა უგვიანეს 15 სექტემბრისა.

19. სასწავლო წლის განმავლობაში სახლმმართველები, უწყებ-
რივი სახლების, საერთო საცხოვრებლების კომენდანტები, საბავშვო
სახლების, სკოლა-ინტერნატების გამგეები მოვალენი არიან მიაწო-
დონ აღმასკომს, ხოლო აღმასკომები მოვალენი არიან გაუგზავნონ
სათანადო სკოლებს ცნობები სკოლის ასაკის იმ ბავშვთა შესახებ,
რომლებიც ახლად მოვიდნენ საცხოვრებლად, რათა მიღებულ იქნას
ზომები ამ ბავშვების ჩასაბარებლად მოცემულ სკოლაში. აღმასკო-
მები სკოლებს ცნობებს გაუგზავნიან ბავშვის ან მოზარდის მოსვლის
დროიდან არა უგვიანეს 5 დღისა.

V. სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონული და საქალაქო ინსპექტორების მოვალეობანი

20. სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს
ორგანოები ადგილებზე ღებულობენ უშალო მონაწილეობას იმ ბავ-
შვთა და მოზარდთა აღრიცხვის მომზადებასა და ჩატარებაში, რომ-
ლებსაც საყოველთაო სავალდებულო სწავლება ეხებათ:

ა) აღწერის მონაცემების სისწორისა და სისრულის უზრუნველ-
საყოფად ატარებენ სასოფლო და სადაბო საბჭოების საკომლო წიგ-
ნებისა და აგრეთვე სახლმმართველობების საბინაო წიგნებში ჩანა-
წერების სისწორის შემოწმებას თვითეული ბავშვისა და მოზარდის
დაბადების წლის და თვის შესახებ, რომლებსაც საყოველთაო სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალდებულო სწავლება ეხებათ; საჭირო შემთხვევაში აკეთებენ კარდაკარ შემოვლას;

ბ) ინსტრუქტაჟს აწყობენ სკოლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის ჩასატარებლად მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მიერ გამოყოფილ (დანიშნულ) პირთათვის.

გ) ამოწმებენ ნაერთი ანგარიშის მონაცემების სისწორეს (რაიაღმასკომის ფორმა № 77) 1 სექტემბრისათვის 6—7 წლის ბავშვების და 7—15 წლის ბავშვების რაოდენობის შესახებ, რომლებიც სასწავლო წლის დასაწყისისათვის სკოლებში არ სწავლობენ და იღებენ ზომებს შემოწმების დროს გამოვლინებული ნაკლის გამოსასწორებლად;

დ) აღმასკომებიდან მიღებული ანგარიშების (ფორმა № 77) საფუძველზე ამავე ფორმის მიხედვით შეადგენენ ნაკრებ ანგარიშს და სტატისტიკური მუშაობის გეგმით დადგენილ ვადებში უდგენენ სსრკ სტატისტიკურ სამმართველოს სისტემის ზემდგომ ორგანიზაციას და მშრომელთა დეპუტატების საბჭოს შესაბამის აღმასკომებს;

ე) საანგარიშო მონაცემებისა და ბავშვთა და მოზარდა აღრიცხვის სისწორის შემოწმების მასალების საფუძველზე მოახსენებენ ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებს სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის შედეგებს.

№ 3

ასსრ, ოლქი ..... ქალაქი .....

რაიონი ..... სასოფლო საბჭო .....

დასახლებული პუნქტი .....

დაბადების თვითეული წლისათვის შედგება ცალკე სია ქალაქებისა და საქალაქო დასახლებებში სიებს შედგენენ სახლმმართველები, კომენდანტები, რაიონული (საქალაქო) აღმასკომების რწმუნებულები, სახლების, ინტერნატების დირექტორები, ხოლო სოფლებში — სასოფლო საბჭოები.

საყოველთაო სწავლების სასკოლო კონტინგენტთა აღრიცხვა

ს ი ა

წელს დაბადებული ბავშვებისა (მოზარდებისა) 195 წლის 15 აგვისტოსათვის

(სიის შემდგენელი სასოფლო საბჭოს ან დაწესებულების დასახელება)

№№ რიგზე	მეურნეობის ნომერი სოფლ. საბჭოს საკომლო წიგნი	ბავშვის ოჯახის მისამართი (სოფელი, ქუჩა, სახლი ბინა №)	მშობლების (მამის ან დედის) ან მათი შემცველების გვარი, სახელი, მამის სახელი (აღინიშნოს ნათესაური კავშირი, მეურნეობა და ა. შ.)	ცნობები ბავშვის (მოზარდის) შესახებ				დასახელება სკოლისა ან სასწავლებლისა, სადაც სწავლობს და როგორ კლასშია	იმ პირთა მიმართ, რომლებიც არ სწავლობენ, მაგრამ წინათ სწავლობდნენ, აღინიშნოს— რამდენი კლასი დაამთავრეს და რა მიზეზით არ დადიან სკოლაში
				გვარი, სახელი, მამის სახელი	სქესი	დაბადების წელი და თვე	მშობლიური ენა		

სიის შემდგენი პირის თანამდებობა, გვარი და ხელმოწერა

სიის შედგენის თარიღი 195 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

75 წყნეთში მოსახლეობისათვის მისაყიდი აგარაკების ფასების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს წყნეთში მოსახლეობისათვის მისაყიდი აგარაკების ფასები:

ერთოთახიანი აგარაკი 16 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობით . . . . . 42.630 მან.

ოროთახიანი აგარაკი 25.3 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობით . . . . . 57.370 მან.

სამოთახიანი აგარაკი 36.2 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობით . . . . . 71.390 მან.

2. ჩაითვალოს გაუქმებულად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 21 ნოემბრის № 723 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი. 1959 წლის 17 ივლისი. № 590

76 საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სარემონტო სახელოსნოების მუშათა შრომის ანაზღაურების შესახებ

„საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სარემონტო სახელოსნოების მუშათა შრომის ანაზღაურების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 11 ივნისის № 626 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. შემოღებულ იქნას საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სარემონტო სახელოსნოების მუშათა შრომის ანაზღაურებლად შემდეგი საათობრივი სატარიფო განაკვეთები 8-საათიანი სამუშაო დღის დროს, დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში სამუშაო დროის ხანგრძლივობის შემცირების გათვალისწინებით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანრიგები	I	II	III	IV	V	VI
საათობრივი სატარიფო განაკვეთები (მან. და კაპ.)						
ნარდად მომუშავეებისათვის:						
ცივ სამუშაოებზე	1—85	2—13	2—44	2—81	3—27	3—89
ცხელ, მძიმე სამუშაოებსა და შრომის მავნე პირობებიან სამუშაოებზე	2—10	2—42	2—77	3—19	3—72	4—42
დროებრივი მომუშავეებისათვის						
ცივ სამუშაოებზე	1—65	1—90	2—18	2—51	2—92	3—47
ცხელ, მძიმე სამუშაოებსა და შრომის მავნე პირობებიან სამუშაოებზე	1—85	2—13	2—44	2—81	3—27	3—89

2. ნება დაერთოთ საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების იმ სარემონტო სახელოსნოების დირექტორებს (გამგეებს), რომლებშიაც წარმოების პირობების მიხედვით ცალკეულ სარემონტო სამუშაოებზე მიზანშეწონილი არ არის შრომის სანარდო ანაზღაურების შემოღება, მიიღონ ამ სამუშაოებზე შრომის ანაზღაურების დროებრივ-პრემიული სისტემა იმ ანგარიშით, რომ მიეცეთ დროის მიხედვით მომუშავე მუშებს პრემიები სატარიფო განაკვეთის 20 პროცენტამდე თვეში სამუშაოთა ხარისხიანად და დროულად შესრულებისათვის.

დებულებას დროებრივ მომუშავეთა დაჯილდოების შესახებ და პრემიების კონკრეტულ ოდენობას დაამტკიცებს საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სარემონტო სახელოსნოების დირექტორი (გამგე) პროფკავშირის მუშათა კომიტეტთან შეთანხმებით იმ ტიპობრივი დებულების შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტის და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის მიერ.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს უზრუნველყონ:

ა) გამომუშავების ნორმების გადიდება საშუალოდ 40—50 პროცენტით და მომსახურების ნორმების გადიდება საჭირო რაოდენობით; შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან შეთანხმებით იმ ანგარიშით, რომ გარანტირებულ იქნას საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სარემონტო სახელოსნოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღება, ისე, რომ არ გადიდდეს ხელფასის ფონდი სამუშაოთა შესადარები მოცულობისათვის;

ბ) ნორმირების მოწესრიგება სარემონტო-სახელოსნოებში, მოქმედი საცდელ-სტატისტიკური ნორმების მაქსიმალურად შეცვლა ტექნიკურად დასაბუთებული ნორმებით და ტარიფის წილის გადიდება ნარდად მომუშავეთა ხელფასში 70—75 პროცენტამდე და დროის მიხედვით მომუშავეთა ხელფასში 80—85 პროცენტამდე.

4. აღნიშნული სარემონტო სახელოსნოების მუშათა შრომის ანაზღაურების ახალი პირობები შემოღებულ იქნას ხელფასის ფონდის გაუდიდებლად მას შემდეგ, რაც შემცირდება საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშათა საშუალო-წლიური რიცხვი შემდეგი რაოდენობით: საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში — 40 კაცით და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში — 80 კაცით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 25 ივლისი, № 610

შეკვეთა 622 ტირაჟი 1850

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

6·70/62

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებულზე“
ხელისმოწერა გრძელდება „სოიუზპეჩატის“ ყველა განყოფილებაში.

ხელისმოწერის წლიური ფასი 30 მანეთი.